

652
1975/3

ბიბლიოთეკა
საქართველოს
საგარეო საზღვარების
მინისტროს

საქართველო
1975 2



ქოჩოქი

ზინაარსი

პოეზია, პროზა

ა. მუავია — ლექსები	3
ბ. ჯგუზური — პური ნოველა	6
გ. ძირკვაძე — თეონა ნოველა	10
დ. დავითაძე — ლექსები	13
ე. მოდუბაძე — მას საკუთარი თავისა სჯერა მოთხრობა	17
ვ. ფურცხვანიძე — ლექსები	31
ზ. ვარშანიძე — სიკვდილი სახე- ლოვანი ნარკვევი	33

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

შ. ჭურიძე — ომი და ლიტერატურა	53
ი. მებრეღიძე — ნოდარ დუმბა- ძის „დიდროს“ შესახებ	62

წერილები

ა. ახვლედიანი — მემოდ აბაშიძე დაბადების ასი წლისთავის გამო	68
ო. თურმანიძე — ქარიშხალი მთაში	75
ლ. კალანდარიშვილი — სოფე- ლი და ფრონტი	85

წიგნის თარო

რ. ზამელაშვილი — კომეტის ტრაგიკული ცხოვრების მართა- ლი ფურცლები	89
მ. შენგელია — მნიშვნელოვა- ნი ძეგლი	95

18/16

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირისა და
აჭარის განყოფილების
ორგანო

ბ ა თ შ ი — 1975
მარტი — აპრილი

ქ. მარქსის სახ. საფ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.4.75. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.

შეკვეთის № 1374, გე 00948, ქაღალდის ზომა 60×90¹/₂, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

აჭარის შურნალ-გაზეთების გამომცემლობა

დ დ ე ს ა ს წ ა უ ლ ი

ამ სათაურით დაიბეჭდა ჩემი პირველი
ლექსი 1945 წლის მაისში.

მზე მიფერავდა უსუსურ რითმებს,
მზე გამარჯვების — ყინულს რომ აღნობს...
გმადლობთ იმ დიდი აღმაფრენისთვის,
მამულო, გმადლობთ!

გმადლობთ,
რომ ქედებს ნისლი აშორდა,
სხივთა ფერები მოჩქეფს ულევით,
დაბერებული ჩემი ბავშვობა
რომ აწყრიალე სალამურივით.

დაბერებული,
შუბლშეჭმუხენილი,
გადაჩვეული თამაშს და სიცილს...
გმადლობთ, მაისის დიდო ქუხილო,
რომ დაგვიბრუნე სინედლე მიწის!

„დღესასწაულიც აი, რას ჰქვია!“ —
გული მღეროდა თავდავიწყებით,
შეგფოფინებდი ზეცას ნატყვიარს,
თითქოს ვარსკვლავებს ხელით ვიჭერდი.

ვნახე სალუტი,
ელვა კოცონთა,
ვნახე — ქუჩები შვებით განათდნენ;
ვნახე — უცნობი უცნობს კოცნიდა
და ულოცავდა დილას სანატრელს.

ზოგი ცეკვავდა,
ზოგს — არც სჯეროდა,
ზოგი ცრემლს ღვრიდა გულაჩვილებით;
შვილდაკარგულ მამა მღეროდა
და თვალში ედგა მზე და ჩრდილები.

ვნახე უკვამლო ზეცის ფერები,
გაცოცხლებული მიწის სიმწვანე,
და ფრთებშესხმულმა ბედნიერებით
დღესასწაულიც მაშინ ვიწამე.

მაშინ სიმღერით ყელი ამევსო
და სამუდამოდ შევრჩი მზიანეთს...
გმადლობთ, სამშობლოვ უსაყვარლესო,
იმ დიდ სიხარულს რომ მაზიარე!

ჩემს დას ლიდას

ჯერ არ გწვევია სიბერის ჟამი,
ნუ დაგაღონებს ფიქრი ამგვარი;
შენ ახალგაზრდა გაჭალარავდი
და ცალუღელად ზიდე ჭაპანი.

ღელვიან გზებზე ლოდინით დაღლილს
არ დაგკლებია ყინვა და თქეში;
იმედად ორი უმწეო ბალღი
ბაირალივით გეჭირა ხელში.

და მოდიოდი ცეცხლის წვიმაში
წყევლით,
მუქარით,
ლიმილით,
ლოცვით;
არ ჩაგიმუხლავს ბედის წინაშე,
არ დაცემულხარ სულით და ხორციით.

რაი თუ თალხით გამოგიცვლია
შენი ფერადი ტანისამოსი,
გულს ნუ გაუხსნი დარდებს ნისლიანს,
ნუ შეგაშინებს წელი სამოცი!

ისევ ბიბინებს სულში ჯეჯილი,
ისევ ოცნების ღვივის ტაძარი,
თმებს კი თოვლი აქვს შემორჩენილი
ორმოცდაერთის მკაცრი ზამთარის.

ო ბ ე ლ ი ს კ ე ბ ი

დგანან, ფიქრობენ,
დგანან, ფიქრობენ,
იცივებიან მდუმარედ მაღლა:
რა ცეცხლიანი ქარები ქროდნენ,
ყველგან სიკვდილის ტოვებდნენ დამდას.

ქროდნენ
და ლამის მიწა გადახმა,
გულშემზარავად ტყვია წიოდა,
დნებრთან.
ოდერთან.
თერგის გადაღმა,
სტალინგრადში თუ კავკასიონთან...

დგანან ამნაირ ფიქრში გართულნი,
გათოშილ ტანზე მზე ეფინებათ;
მეომრებივით მხრებშემართულნი
ეჭიდებიან ჟამთა დინებას.

ხან ტკივილიან განცდებს აგვიშლის,
ხანაც მღერიან გმირთა ღიდებას,
და გვახსენებენ ყოველ ნაბიჯში,
„რაც დავიწყებით არ იბინდება“.

მუჰამედ ჯუზუჰი

ვ უ რ ი

მე მაშინ რვა წლისა ვიქნებოდი, მეტი არა, და დედას რომ არ წავეყვანე, რა თქმა უნდა, მე იქ არ წავიდოდი. ან საიდან ვიცნობდი იმ კაცს, ვისთანაც უნდა მივსულიყავი, გაგონებით კი გამეგონა შინ, იმ კაცს რომ ალეს ეძახდნენ. მას ახსენებდნენ, ჟამიდან-ჟამზე ახსენებდნენ, ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა — მისი სახელის უხსენებლად საუბარი არ გამოვიდოდა, სიტყვა სიტყვას ვერ წაებმებოდა და მიტომაც ახსენებდნენ ალეს. ცნობილია, ლამაზი ლანდშაფტი გულს ახალისებს, და გარკვეული გავლენაც აქვს ალბათ ჩვენს მეტყველებაზე, მაგრამ ეს ბუნებრივი ურთიერთობა სათქმელსა და გარემოს შორის, ომის წლებში, ომიანობის ჟამს — ცოტათი შეიცვალა; დაირღვა სიტყვათა რიგი, რომელიმე სიტყვა ამოტივტივდება უცებ სიტყვათა ჯგროდან, ამოტივტივდება და მკაფიოდ დაგიდგება წინ, — ასეთი სიტყვა იყო მაშინ. — პური. გამოვა სიტყვათა კრებიდან ეს ოთხად-ოთხი ასოსაგან შემდგარი სიტყვა და მთელი თავისი მნიშვნელობით დაგიდგება წინ, შორდება ის გარკვეული აბსტრაქტულობა, რაც ყოველგვარ სიტყვას ახლავს, დაწერილსა თუ ნათქვამს, გამოგეცხადება და თითქოსდა, რაღაცნაირი ხილული სუნიც ასდის, მკაფიო და ხელშესახები, ხოლო აქედან გამომდინარე, ცოცხალივით ეპყრობი მას, სულიერივით, არ იტყვი — პური შევჭამეო, „ჩვენ გუშინ გვქონდა პური და შევჭამეთ“, ამას არ იტყვი, არ იტყვის გამზრდელი შენი — პური არა გვაქვსო, შენ იკითხავ პურს და დედა გეტყვის: „პური გაგვითავდა“, ან ასე იტყვის: „პური არ არის!“ იყო და არ არის და არა — „გვქონდა“ და „არა გვაქვს“. და ეს ყველაფერი ახლა მახსენდება, ისევე ნათლად მიდგება თვალწინ, როგორც მაშინ, იმ ომის წლებში, იმ ომიანობის ჟამს, იმ გაუთავებელი ომიანობისა, მე რომ რვა წლისა ვიყავი და დედამ პურზე

გამაგზავნა. მარტო კი არ გამაგზავნა, ოღონდ, მაშინ მე გზაც კი არ გე-
 ცოდინებოდა იქამდე, სადაც უნდა მივსულიყავი, და აკი მიტომაც ვამ-
 ბობდი, დედამ წამიყვანა-მეთქი. მერე დედაჩემი ქუჩის კიდესთან გაჩერა-
 და, ქუჩის მოსახვევთან, მოფარებულში იდგა დედაჩემი და იქიდან მანი-
 შნებდა ხელით, — წადი, წადიო, პურის წერტისაკენ მანიშნებდა, აი,
 იმ წერტს ხომ ხედავ, იქითკენ წადიო, იქით მოგცემენო პურს. უნდა
 მივსულიყავი იქ და მეთქვა იმ კაცისთვის, ვინაც, როგორც მერე გავიგე,
 დედაჩემს ბიძაშვილად მოუდიოდა: ალე-ბიძია, მე შურას ბავშვი ვარ,
 დედამ გამომგზავნა-მეთქი; ის ტალონი კი, რასაც ამ სიტყვებზე მეტი ძა-
 ლა ჰქონდა, როგორც მერე გავიგე, მე ხელში არ მეკავა, ტალონი ჩვენ არ
 გაგვანდა. სამი დღე იყო, რაც ისეთი ტალონი დაგვეხარჯა და ახლა სწო-
 რედ იმ სიტყვებს უნდა გაეკეთებინა ის, რასაც ის ტალონი აკეთებდა,
 რაც გამოლუღული გვქონდა და იმ სიტყვების მნიშვნელობას უახლოვდებო-
 და, დედამ რომ დამაბარა; კი მიყურებდა საწყალი დედაჩემი იქიდან, იმ
 ქუჩის მოფარებულისა, ეს ვიცოდი და ერთი სული მედგა, იმ კაცთან
 დანაბარი მიმეტანა; შურას შვილი ვარ-მეთქი, ამას რა ჯანდაბა დამავიწ-
 ყებდა, თან იმ კაცს სახელსაც ვეტყოდი, როგორც დედამ დამარიგა, ალე-
 ბიძია, მე შურას შვილი ვარ-მეთქი, დედაჩემი კიდევ მისი ბიძაშვილი იყო
 და თუკი იქ მივიდოდი, პურსაც კი წამოვიღებდი, რა თქმა უნდა; ჯერ ვი-
 ფიქრე, პირდაპირ მივალ-მეთქი ალე-ბიძიასთან, მაგრამ იქ რომ რიგი და-
 მხვდა და გაწამაწია იყო, ეს სურვილიც უმაღვე დამეკარგა, თან ერთი
 ჩია ტანის კაცი დამამახსოვრდა, რომელიც დიდის ამბით დადიოდა რიგის
 თავიდან რიგის ბოლომდე და როგორც იტყვიან, წესრიგს იცავდა; ური-
 გოდ კაცს არ უშვებდა, არც რიგს დაუკარგავდა ვინმეს, აბა, შენი რიგიაო,
 უთხრა ერთ ყმაწვილს, დასაძინებლად ხომ არ მოხვედრიო აქ. რაღა დაა-
 ძინებდა ოღონდაც, ისეთი სუსხიანი დილა იდგა! ადრე გათენებული იყო,
 მაგრამ, ხალხს, როგორც ჩანდა, ჯერ კიდევ ბნელში დაეკავებინა თავისი
 რიგი. იმ ყმაწვილმა რომ პური აიღო, გეგონებოდა, აი, მართლაცდა, ახლა
 გამოიღვიძაო, თვალები უბრწყინავდა, უკან არცკი მოუხედია, ისე მოჰ-
 კურცხლა იმ პურიანა, დიდი ბიჭი იყო, ჩემზე ერთი ხუთი-ექვსი წლით
 მეტი იქნებოდა, — მირბოდა და მიუხაროდა. მერე ხომ ბავშვიანი ქალი
 იდგა, იმ ქალმაც აიღო პური, და ყველაფერი ისე იყო, მე ყოველთვის
 ვხედავდი იმას, ვინც რიგის თავში ხვდებოდა და პურს იღებდა, რიგი
 ოდნავად გაზნექილი იყო, მე რიგის ბოლოში ვიდექი და მიტომაც ვხედა-
 ვდი მათ, ალე-ბიძია კი ჯერჯერობით არა ჩანდა. კი იყო იქ, რა თქმა უნდა,
 წერტში იდგა და პურს არიგებდა, მაგრამ მისი პირისახე არა ჩანდა-მეთ-
 ქი. რიგი ცოტ-ცოტა მიიწევს წინ, მე გულში ვიმეორებ სათქმელს, და
 მდგავარ ჩემთვის, დედაჩემი კიდევაც დამავიწყდა, ქუჩის მოფარებულში

რომ მიცდის. ერთი ფარაჯიანი კაცი მიდგას წინ, ძველი, გახუნებული ფარაჯა აცვია მას და როცა რიგი ძალუმაღ შეინძრევა, არ გამოვარდნო ბიჭიკო, მეუბნება ის კაცი მოუბრუნებლად, — აი, აქ ჩამჭიდნო ხელი, — ფართე სარტყელი აქვს შემოვლებული ფარაჯაზე და იმაზე შიშანიშნებს, ჩაფრენილი ვარ იმ ფართე სარტყელზე, გამოვარდნით რიგიდან არ გამოვვარდები, მაგრამ, არც წინ რომ არ მიდის საქმე! იქ, რიგის თავში მდგომმა ქალმა ერთი წივილ-კივილი მორთო, მე მეტი მეკუთვნის, შენ მაკლებო, ყვიროდა და წიოკობდა; აი, სწორედ მაშინ დავინახე პირველად ალე-ბიძია, — მას გრძელი დანა ჰქონდა წერტილან გამოშვერილი და ერთი ამბით უწყრებოდა იმ ქალს, — ვერა ხედავ, რა რიგი დგასო, ქვეყანა შენზე კი არ თავდებაო, აბაო, ამბობდა ალე-ბიძია და იმუქრებოდა. საოცარი ის იყო, რომ ყველანი რატომღაც ალე-ბიძიას მხარეზე იყვნენ, იმ ქალს კი არ ესარჩლებოდნენ, მართალი არიო, არამედ, ალე-ბიძიას ემხრობოდნენ, ნოქარი არიო, ბატონო, მართალი, ამბობდნენ პირდაპირ. რას ფიქრობდნენ გულში და რას არა, იმას არ ვამბობ, ეს არ ვიცოდი მაშინ, და ახლა თუ ვიცი, განა ამჟამინდელი ცოდნა რა ბედენაა, ისეთ რიგში მე აწი ვერ დავდგები, მაშინ რომ ვიდექი და რომც ყველაფერი გამეორდეს და იგივე მდგომარეობა შეიქმნას, რაც მაშინ იყო, და მე პატარა ვიყავი, — როგორ მოვიქცეოდი, განა რომელ მათგანს დავუტყერდი მხარს, რომელზე ვიტყოდი მართალია-მეთქი და რომელზე — არა, ამას ვამბობ, მაგრამ განა იმათ არ იცოდნენ, თუ ვისთვის უნდა დაექირათ მხარი, იმ დღეს რომ იქ იდგნენ და ელოდნენ თავიანთ რიგს! ყველაფერი ისე იყო, ცხადია, როგორც უნდა ყოფილიყო და მე თუ ის ქალი მეცოდებოდა უფრო, ვინემ ალე-ბიძია, განა მაშინ ვიცოდი, რომ ალე-ბიძია იმ დღეს პურს არ მომცემდა, არ მომცემდა კი არა და, არც მიცნობდა და არც გამომელაპარაკებოდა სულაც, არც დედაჩემს გაიხსენებდა და დაივიწყებდა კიდევაც, დედაჩემი რომ მისი ბიძაშვილი იყო, რომ მე მისი გამოგზავნილი ვიყავი და ნამდვილად რომ შურა იყო დედაჩემი, მაგრამ, სანამდის მე რიგის თავში მოვექცეოდი, ამას როგორ ვიფიქრებდი. ალე-ბიძია, მე შურას შვილი ვარ-მეთქი, ვუთხარი მას. ვისი რიგიაო, იკითხა ალე-ბიძიამ. ის ფარაჯიანი კაცი უკვე წასული იყო, რომლის ქამარზეც მე ვიყავი ჩაფრენილი და უკან რომ ქალი მედგა — იმან რომ არაფერი თქვა, ესე იგი, იმან რომ თქვა, ჩემი რიგიაო, მას მერე რომ იდგა იმანაც ის გაიმეორა, რა თქმა უნდა, მერე კიდევაც მიჰყვა ერთმანეთს კაცი თუ ქალი, ქალი თუ კაცი, და ამრიგად იღებდნენ თავიანთ წილ პურს, მაგრამ ვინემდის ის პურს აიღებდა, მისი წილიც უკვე აწონილი იყო, მცირეოდენი დროც ხომ რჩებოდა, ალე-ბიძია თავისუფალი იყო მცირე ხნით, სანამ კიდევ აუწონიდა პურს ვინმეს, და სწორედ მაშინ ჩავურთავდი მეც იმ სიტყვებს: ალე-ბიძია, მე შურამ გამომგზავნა, შურას შვილი ვარ-მეთქი.

აღე-ბიძიამ ვერ მიცნო. მე კი ვერ მიცნობდა და ეს რა გასაკვირია, ასეც
უნდა ყოფილიყო, აღე-ბიძია, როგორც დედა ამბობდა, ომის დაწყები-
დან არ ყოფილა ჩვენსას, მაგრამ ვერც დედაჩემი იცნო იმ დღეს აღე-
ბიძიამ, ან შეიძლება სულაც განზრახ წამიყრუა და არ გაიგონა ის სიტყ-
ვები, რაც უნდა გაეგონა და არ გამცა პასუხი, თუმცა ყოველი ახალი
პურის აწონვის მერე ვიმეორებდი იმ სიტყვებს ხმამაღლა, ესა და ეს ვარ-
მეთქი; და აღე-ბიძიამ რომ არ მომაქცია და არა ყურადღება არაფრის-
დიდებით (შეხედვით კი შემომხედა, ეს კარგად მახსოვს), მე ძალიან მო-
მეწვა გული და მგონი, ასეც კი გავიფიქრე მაშინ, ეს კაცი, ალბათ, აღე-
ბიძია არაა-მეთქი და რიგიდან გავედი.

აღე-ბიძია კი იყო ნამდვილად.

ნოღა ძიკვაძე

თ მ რ ნ დ

მას საოცარი თვალეი და ქანდაკებასავით ჩამოქნილი ტანი აქვს, ლამაზია.

მისი დაბადება ოჯახში მერცხლის შემოფრენას ჰგავდა. უხაროდა დედას, უხაროდა მამას. ხუმრობა ხომ არ იყო, ოცნება აუსრულდათ.

იზრდებოდა თეონა, ტანს იყრიდა, ცეცხლით ევსებოდა ღამესავით შავი თვალეი, მთელი სოფლის თვალი იყო ცქრიალა გოგონა.

ასკინკილათი ჩამოიბრუნდა ორღობეებს. თავის ტოლ გოგო-ბიჭებს დააწიოკებდა, მერე სახლში შეფრთხილდებოდა და მამიკოს მიესიყვარულებოდა.

— შვილო, მიმღერე რამე! — თხოვდა მამა.

და მღეროდა თეონა. ტოროლასავით წკრიალა ხმა ჰქონდა. მთის წყაროსავით ანკარა ხმა. მღეროდა და მამას თვალეებში შესციცინებდა, ცდილობდა გაეგო, მოეწონა თუ არა.

აღტაცებული ამირანი ანც გოგონას მკერდში იკრავდა. აბრეშუმით რბილ თმას უწეწავდა, ხუმრობით ყურებს უწევდა. გულში კი მუდამ ერთი ოცნება ჰქონდა შემონახული — თეონა მომღერალი გამხდარიყო, ცნობილი მომღერალი.

იზრდებოდა და ფერ-ხორცით ევსებოდა თეონა. შოლტივით მოქნილ ტანს დაარხევდა სოფელში. სიცილი უყვარდა და იცინოდა, სიმღერა უყვარდა და მღეროდა. სიცოცხლე უყვარდა და ანთებული თვალეებით შესციცინებდა მზეს, ცაღწვდილ მთებს, ქაფიან ჩანჩქერებსა და ფრიალო კლდეებს.

ცეცხლს უკიდებდა ბიჭებს, შურით გულზე ხეთქავდა გოგონებს. თავს იწონებდა თეონა. საოცრად მომხიბვლელი თვალ-წარბი ჰქონდა თეონას.

* * *

მამა ომში წავიდა. მთელმა სოფელმა გააცილა ამირანი. თეონაც აცილებდა, ლამაზ თვალეებში სევდას დაებუდებინა. მზად იყო, ეტირა. მეზო-

ბლები რომ არა, ალბათ, ტირილით აიკლებდა იქაურობას.

დიდ გზაზე გავიდნენ. მანქანა ჯერ არ ჩანდა. ამირანმა ზურგჩანთა ფრთხილად დადო მიწაზე და ბრტყელ ლოდზე ჩამოჯდა.

ქარიშხალი ტრიალებდა ვაჟკაცის გულში. მიდიოდა და არ ეთმობოდა ცოლ-შვილი, სოფელი და გულკეთილი მეზობლები. ხარბი თვალები შეავლო მწვანეში ჩაფლულ ქედებს. ვინ იცის, დაბრუნდება თუ არა, ვინ იცის, რა გზების გავლა მოუხდება. ხიფათებით სავსეა დღე ხვალინდელი. ათასგვარი ხლართებია ომის ბილიკებზე. იქ ბრმა ტყვიაც ბევრია. ამირანს შეაყრეოლა, მაგრამ შიში სულაც არ უგრძვნია. უბრალოდ, არ ეთმობოდა მშობლიური კერა და სათუთად გაზრდილი თეონა.

— შვილო, მიმდერე რამე!

თეონამ გაოცებით შეხედა მამას. სულაც არ იყო სიმღერის გუნება-ზე, მაგრამ თვალები მაინც ძველებური შუქით გაუნათდა. წინანდელ ანც გოგონად იქცა. ხელები მკერდზე დაიკრიფა და მამის ხათრით...

მღეროდა თეონა. წკრიალა ხმა ჰქონდა თეონას. მამის საყვარელ სიმღერას მღეროდა.

საოცრად ლამაზი იყო იმ დღესაც თეონა.

* * *

დასრულდა თეონა. სიმწიფის ატესტატი აიღო. მამა ყოველთვის ახსოვს თეონას. ხშირად სწერს ბარათს. იგონებს განვლილ დღეებს. ლამაზი ხელით ავსებს სუფთა ფურცლებს.

ნაკითხი გოგოა თეონა. უყვარს წიგნები. სახლში პატარა ბიბლიოთეკაც აქვს, მამამ აჩუქა. მამამ დაუტოვა...

ახლაც წერილს სწერს თეონა, შორიდან ესიყვარულება მამას.

...რამდენიმე დღის შემდეგ პასუხი მოიტანა ცალფეხა ფოსტალიონმა.

ოჯახის დარდი აწუხებდა ამირანს. თეონას თხოვდა, უფრო დაწვრილებით მოიწერე ოჯახის ამბებში, საშუალო განათლება რომ მიიღე, ახლა რას აპირებ, სიმღერა ხომ არ დაგავიწყდაო.

არა, სიმღერა არ დაგიწყებია თეონას. კონსერვატორიაში შესვლა გადაწყვიტა.

დედამ სამგზავროდ მოამზადა შვილი. მალე გზაც დაულოცა და თბილისში გაისტუმრა. წასვლისას თხოვა, პირველ გამოცდაში რა ნიშანს მიიღებ, დეპეშით მაცნობეო.

წავიდა თეონა. გული დასწყვიტა შეღერებულ ბიჭებს.

პირველმა დეპეშამ „ფრიადი“ მოიტანა.

მეორემაც...

მესამემაც და...

სტუდენტი გახდა თეონა.

* * *

დაბრუნდა ამირანი. აღარ ჰქონდა მარჯვენა. საფეთქლებთან თმა შე-

ვერცხლოდა.

არდადეგებზე იყო მაშინ თეონა. მამის დაბრუნებამ გაახარა. გარეთ გამოფრთხილდა. ეზოში შეეგება ომგადახდილ მშობელს, ჩაეკონა, მოეფერა, მიესიყვარულა. ატირდა და აატირა. სიხარულის ცრემლებმა ჩამო-
ბანა მწყაზარი სახე.

* * *

დეკემბერია. მთებში მოთოვა. აცივდა. გატკბა ბუხარი. მომრავლდა სტუმარი, გაჩაღდა სტუმარ-მასპინძლობა.

კალფება ფოსტალიონმა თეონას ბარათი მოიტანა.

თეონა იწერებოდა, საახალწლოდ ჩამოვალო, ოცდაათში ავტობუსზე დამხვდითო, შეიძლება ამხანაგებიც წამოვიყვანო.

მაგრამ მარტო ჩამოვიდა თეონა.

არ დაუსვენია, არ ჩაუმჯლავს. გასაკეთებელი გააკეთა. იატაკი იმ-
დენი ხეხა, ახალს დაამსგავსა.

მოუსვენარი გოგოა თეონა. შრომა-გარჯა პატარაობიდანვე შეითვისა. დაუზარელია. რა ლამაზია, ღმერთო!

ცეცხლი უკიდიათ ბიჭებს...

* * *

სუფრა გაიშალა. მალე სტუმრებიც მოვლენ. ღუმელში საამოდ ღუ-
ღუნებენ მუხის ჯირკები.

რამდენიმე საათიც და... ახალი წელი შემოაბიჯებს. მოვა და მოიტანს ახალ სურვილებს, ახალ ოცნებებს. ბევრ ნატვრას...

გარეთ თოვს. ხვავიანად თოვს. რიდეაფარებული ციდან განუწყვეტ-
ლივ ცვივიან ფარფატა ფანტელები. ფრთათეთრა ფანტელები.

ოთახში მათ გარდა ჭერჭერობით არავინაა. თეონა მხიარულ ამბებს ჰყვება. მამა უსმენს. უსმენს და იცინის.

— იმღერე, შვილო! — გააწყვეტინა თხრობა მამამ.

თეონა პიანინოს მიუჯდა. პირველი აკორდები აიღო. გრძელი, თლი-
ლი თითებიჟ კლავიშებს მიესიყვარულა.

მღერის თეონა, მამის საყვარელ სიმღერას მღერის. მისი ხმა წყარო-
სავით მოედინება. ღმერთო, რა მგრძნობიარე ხმა აქვს თეონას.

დასრულდა სიმღერა. თეონამ მიტრიალებაც ვერ მოასწრო, რომ ოთ-
ახში ტაშის ხმა გაისმა.

შეკრთა თეონა.

მიტრიალდა და დაინახა, მამა მარცხენა ხელს გამეტებით იცემდა ლო-
ყაზე და თვალებიდან სიხარულის ცრემლები სცვივოდა.

„ნაომარაზე“ დაცემულ ლომებს .

მთა „ნაომარაზე“ თურქებთან ბრძო-
ლაში დაცემული ბევრი აჭარელის
საძეაღლეა...

ჩაგძინებიათ, დაღლილხართ
ლომებო, ნაომარისა.
თქვენი სიცოცხლე რად ღირდა,
ან ძალა თქვენი მკლავისა!
ახლოს ჩაგივლის, შეგხედავს,
მგზავს მუხლი აუტოკდება.
ვინ გაიზრდება თქვენსელა,
თქვენფერი ვინდა მოკვდება?!
აბორკიანო ქედებო,
ეს გული თქვენთან დამრჩება.
მე უნდა თვითონ ვეძებო
მოჭრილი ძმების მარჯვენა.
ან კაცი, მისი მნახველი,
ვისაც მზის დროშა ეჭირა,
ვისგანაც მთები ნახმლვეი
შუაზე გადახლეჩილა.
ვინც წაქცეულა ჯიხვივით,
უბღლია ბალახ-ბულახი,
კლდედ დარჩენილა ჭიხვინით
ყალყზე შემდგარი ულაყი.
...ხმლები — ხმლებს, სამტროდ
შემართულ
თვალეbs — თვალეbs ჩეხავენ,

ეს ცისარტყელა ჩნდება თუ
სისხლია ამომჩქეფარე.
მზე იწვის თუ ეს კაშკაში
შინდარჩენილის ეშხია,
ადრე მომკვდარა ვაჟკაცი,
ცად სული აუღეშხია.
დამწარებულან ბერხვენი,
ოხვრით იფლემენ თვალთასა.
მივალ და მკერდით ვეხლები
ხან სულს იმათასა, ხან მთასა.
ხან ვნატრობ, ბედმა მიმუხთლოს,
ელვამ გამფხოზოს ბრჭყალებით,
ხან მინდა თვითონ მივუხტე.
სიკვდილს დავთხარო თვალეbs.
მაგრამ, შორია წარსული,
დაყრუებული საფლავი.
დარდით დამჭვნარა ასული,
ჩამქრალა როგორც ვარსკვლავი-
ხევ და ხევ ღამე მოძვრება
და დაძრწის ქარი მშიერი.
სატრფოს მაგიერ ოცნება,
სანთლების ნაცვლად — იელი...

იყო სოფელი სავსე ავაზნით,
 სიმიანდით, მზით და მწიფე ოტურით.
 იყო წვალემა უფრო ლამაზი.
 ტკბილი და არა ავადმყოფური.
 და როცა ხნულში ხარების ღმერთად
 ლომა ხარივით ჩადგა ტრაქტორი —
 სოფელში თეთრი მომრავლდა სევდა
 ჭაღაროსანთა ყრუ სიმარტოვის.
 მოსძალებია ყანას ლოპენა,
 არ უმრავლია სიმიანდის ქაჩაჩს.
 შეჰყვარებია პატრონს ოპერა.
 შესქელებია უშრომლად კაჩა.
 და უცდის დაღლილ ვაჟკაცის სუნთქვას
 პანტის ძირებში გაშლილი ჩრდილი.
 და ცის თვალემა ლურჯი და სუფთა
 ხანდახან დედის ცრემლებით ტირის.
 — ო, უმადურო შვილო და ძირო,
 უარყოფელო ფესვის და ფუძის,
 შორეულ ვარსკვლავს რაც უნდ უცქირო
 შენ უნდა მიწის გჯეროდეს უწინ.
 ჩავალ, ჩავთიბავ ღვალს და დილყას
 და მოვრწყავ ჭალას ცას რომ შესცქერის.
 შენ კი, რაც უნდა იარო დიდხანს,
 ბოლოს ამ მიწას სად გაექცევი?!
 და როცა მოხვალ გასინჯულ აზრით,
 დაცლილ სიცელქით თუ აცეტებით —
 იცოდე, მაშინ ვიქნები მკაცრი,
 მაშინ სინანულს არ დავჯერდები,
 მოვნახავ სანთლით ჭიშსა და ჭილაგს,
 ვისაც მამული არ დავიწყნია,
 ვისაც სიცოცხლის ახარებს ეინი,
 ვისშიც ქართველის ცხელი სისხლია,
 და დავულოცავ ერის სახელით,
 ხატის სახელით,
 რჯულის სახელით
 მიწას, ერთხელ რომ მისგან წახველი
 და უსასრულო არგე ნალველი.

შენ დაუჩოქებ სიკვდილს მუხლებით
რომ არ დაგფაროს ცოდვის ეწერმა,
მაგრამ, ამოდ! შენი უღელი
გაფრენილ წარსულს ვერ დაეწევა!

მ ე ტ ა მ ო რ ფ ო ზ ა

ისევ მხედებიან შეძახილით, ზრდილი თავაზით
ამა ცხოვრების გუშინდელი „ბატონ-პატრონნი“,
ვისთვისაც დღემდე ყოველივე იყო თამაში
და ვისი ფიქრიც არის „ვაჰ დრონი“...
ცხოვრება იყო გრძელი კიბე,
სადაც თვით იდგნენ
და ვით ქვემძრომნი, მიილტვოდნენ ფეხათრეული.
და როცა დაჰკრა აღსასრულმა, ვერ შეურიგდნენ,
ვერ დაივიწყეს ცრუ დიდება ვერც ადრეული.
ახლა გზა მათი სიმართლესთან არის ლაქუცი,
მემთვრალიობენ,
ჩუმი ბოლმით გზას ძლივს აგნებენ,
და რომ იხელთონ, სიფხიზლეშიც პირველ და უწინ
მართალ განაჩენს შურისგების ყულფს მოარგებენ.
გვმართებს სიფრთხილე, მეგობრებო!
სენი იმათი
გადამდებია, მაცდურია და შენიღბული.
უფრო ღრმად შეძვრნენ ნიჟარებში მტრები სიმართლის,
სოროებიდან მოჩანს მზერა ისევ იღბლური.
და ძუნწებს ლამის შემოადნეთ ოქრო ალერსში.
უცდიან ღამეს,
მათ არ მოსწონთ ჩვენი ნეონი.
სამაგიეროდ ნდობა ჩადგა მუშის თვალებში,
სამაგიეროდ გაუნათდა გლეხს სამზეონი.
ცისკენ აღერილს,
რწმენა, ჩვენი, უროს და ნამგალს,
არის გვირგვინი,
დაფნაც არის,
არის თავთავიც.

და როგორც გლეხი მუხლზე მომდგარ ყანას

გამარგლავს,



ჩვენც ჯნდა ისე ვიყოთ მართალნი!

მივცეთ ყოველი განსასჯელად ჩვენს დიდ სიმართლეს,

მუშურ ხუთწლედებს,

გმირულ მეცხრეს,

ათის გარიყრაყს.

ცისკენ აზიდულ ათას მარჯვენს, ვინაც ხმას აძლევს

მამულს, ნდობის და სიმტკიცის ნიშნად.

გვმართებს სიფხიზლე, მეგობრებო!

სული სატანის

ხრჩოლავს ვით კვამლი.

იკრუნჩხება და იზლაზნება.

პირველკაცობის, პირველდროშის მზესთან მიტანა

რევოლუციურ ერთგულებით ითხოვს გაძლებას.



13116

ნოღა მოღეგაჲ

მას სავსეთარი თაგისა სჯჳრს

ნერვიულობისაგან თვალეზი ამოუწითლდა, სავარძელი უკან დასწია და ისე წამოხტა, თითქოს ნემსი ეჩხვლიტოთ. ოთახში გაიარ-გამოიარა. სამზარეულოში ცოლი თეფშებს რეცხავდა და წყლის ჩხრიალი ისმოდა. ზიზღი ვერ დამალა, სამზარეულოს კარს ისე შეხედა, გეგონებოდა, აი ეს არის შეამტვრევსო, მაგრამ მან ჯიბეში ხელი ჩაიდო და ოთახში გაიარა. ერთმანეთს ადევნებული აზრები მოსვენებას არ აძლევდა, საკუთარ თავზეც გაბრაზებული იყო და სხვებზეც — მთელ ქვეყანაზე. რა შესანიშნავად ხვდება, ხედავს ყველაფერს და ვერ უთქვამს. არაფერი ისე არ კეთდება, როგორც ფიქრობს და, რაც მთავარია, რაშიც თვითონაა დარწმუნებული... ნუთუ ადამიანები ვერ ხედავენ, არ იციან, ცხოვრების ელემენტარული კანონები. როგორც მას სჯერა, ისე რომ იყოს?! ოო... რამდენი რამ გაკეთდება, მოუგვარებელი მოგვარდება. არა, არაფერი არ იციან, სრულიად არაფერი!...

კარებთან მივიდა, გამობრუნდა, სიგარეტი ამოიღო, გაასწორა და ტუჩებში გამოიჩრა. ფანჯარასთან შეჩერდა, ქუჩაში ხალხის ნაკადი მიედინებოდა, რა მშვიდი სახეები აქვთ, ან თუ რომელიმე შეწუხებულია, თუ ოდნავ ფიქრის კვალი ეტყობა სახეზე. დიდი რეგვენი ვინმეა, ფიქრობს, სწუხს, ჯავრობს, რაზე არც მან იცის. საბრალონი არიან, ისეთი პატარა რამ ახარებთ და ისეთი პატარა რამ აწუხებთ... სიგარეტს მოუკიდა, კვამლი ფანჯრის მინას მოედო, ნისლში გახვეულს დაემსგავსა ქუჩა, ხალხი კიდეც უფრო პატარა და უძლური მოეჩვენა.

— არა, რაღაც დიდი რამ უნდა მოვახდინო! — გაიფიქრა მან და ფანჯარას მოშორდა, შუა ოთახში შედგა. სამზარეულოდან წყლის ჩხრია-

ლი აღარ ისმოდა. ეტყობოდა, ქალი ახლა იატაკს ჰგვიდა. როცა ასე ანერვიულებული, შეწუხებული, გაბრაზებული იყო, ცოლს არაფრის გამო შეეკამათებოდა, დაუყვირებდა, ხელებს დაიქნევდა და გარეთ გავარდებოდა. ცოლს კი არავითარი დანაშაული არ მიუძღვოდა. კიბეს ჩაირბენდა და ქუჩაში ისე გავიდოდა, თითქოს ხალხისათვის თვალების ამოკორტნა სურსო, რომ მას ვერ უგებენ, მის აზრს ვერ ხვდებიან, რომ ისე არაფერი კეთდება, როგორც მას სწამს... ახლა მიზეზი ვერ ნახა, ცოლთან შესულიყო, სათქმელი გაეზიარებინა, თუმცა ის მაინც ვერაფერს გაიგებს, ფუჭი იქნება მასთან ლაპარაკი. პირდაპირ გაემართა კარებისაკენ, შეაღო და მაგიდასთან მჯდომ ბიჭს ქორივით დახედა. იგი წიგნს კითხულობდა, მაგიდას მკერდით მიყრდნობოდა და ფეხებს ჰაერში აქნევდა.

— კარგად იმეცადინე! — უთხრა მან.

ბიჭმა შიშით შეხედა, მამის ასე ანერვიულებული სახე პირველად არ უნახავს, მაგრამ მაინც ტანში გააჟრჟოლა, წინადადებები ერთმანეთში აერიო, სიტყვას სიტყვისაგან ვერ არჩევდა, წინადადებიდან აზრი ვერ გამოჰქონდა... მამა ნეტა როდის გაიხურავს კარებს?

— ვიდრე გაკვეთილს კარგად არ დაისწავლი, სკამიდან არ აღგე! — დასძინა მან.

— ვმეცადინებო, მამა!

— ნუ შემელაპარაკები!... მეტი უნდა იკითხო და მეტი უნდა იცოდე! წიგნებზე თვალის გადავლება ბევრს არაფერს მოგცემს, დაკვირვებით უნდა იკითხო. შენ რომ კითხულობ, არ კმარა... შენმა მასწავლებელმა რა იცის, შენ რომ იცოდე!

ბიჭი გაოცებული შესცქეროდა. მამამ ოთახში გაიარა, აღარ ახსოვდა, რომ ბიჭი მეცადინეობას მოაცდინა, ჩვეულებრივ თავისთვის მსჯელობდა, ახალი აზრები გონებაში გაუჯდა, ვილაცას უბრაზდებოდა, ვილაცას ეკამათებოდა. მერე მაგიდასთან გაჩერდა და სიგარეტი კბილებით დაღეჭა, ენის წვერით დაატრიალა.

— რა უნდა იცოდეს ღღეს ბავშვმა, აზრზე არა ვარ! — თქვა მან ხმამაღლა და ორი თითი ისე ასწია, თითქოს ღმერთს შესთხოვს, გაკვეთილი მომაყოლეო, — სწავლის ღლევანდელი მეთოდი ყოვლად მიუღებელია, ყველაფერს ასწავლიან და ფაქტიურად არაფერს არ ასწავლიან!.. ესო, ისო, არაა სწორი! მოსწავლე გადატვირთულია, ძირითადად რასაც უნდა სწავლობდეს, ვერ სწავლობს! ჰმ! რატომ არ უკვირდებიან ამ მდგომარეობას?! მცდარ გზაზე დგას პედაგოგიური მეცნიერება, სრულიად ახალ თეორემებს შეეკმნინდი, რომ... საინტერესოა, — ბიჭს დახედა, დაიხარა, გეგონებოდა, უნდა განმარტოს, როგორ უნდა ისწავლებო-

დეს საგანი, მან კი ბიჭს ხელი გაჰკრა, — ადე, შენ ერთი ბიბლიოთეკიდან პედაგოგიკის სახელმძღვანელო მომიტანე... ჩქარა!

ბიჭი ოთახიდან ენაუთქმელი გავარდა. მან ოთახში წინ და უკან სიარული განაგრძო... ძალიან დიდი გაუგებრობაა, ამა თუ იმ საგანს ნათლად უნდა აღიქვამდეს ბავშვი, რა საჭიროა ესოდენ სირთულე. ხდება პირიქით, იმდენს ეჩიჩინებიან, უხსნიან, ძალზე მარტივ საკითხებს რთული შეთოდებით, რომ ყველაფერი გაუგებარია. განმარტე მარტივად, გასაგებად, უთხარი შენი, საკლასარი... ჰმ! თავად მასწავლებელმა რა იცის, სხვას რომ ასწავლის... ბავშვიც ზერელედ სწავლობს და შედეგიც არასახარბიელოა. არავითარ შემთხვევაში სხვების ნააზრევით ბავშვს თავი არ უნდა გამოეტენოს, არამედ დამოუკიდებლად უნდა მივიდეს იმ საკითხამდე, რაც ასე თუ ისე სხვებს შეუსწავლია. ბავშვს თუ იმას ასწავლი, რასაც თვითონ ხედავს, იცის, არ დააინტერესებს! არა, არ იციან, არ ესმით!...

ბიჭმა კარი კრძალვით შეაღო და მამას შიშხამდგარი თვალით შეაჩერა.

— მოიტანე?

— კი!

— რა?

— პედაგოგიკა!

— მომეცი! შენ კარგად იმეცადინე! — ოთახიდან გავიდა, წიგნი ხელში შეატრიალა და სავარძელში ჩაჭდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, თავი ზრქენივით ეჭირა, თითქოს ქვეყნად მისთვის ახალი არაფერია, წიგნი შუხლზე გადაშალა, დაიწყო კითხვა, პირველი ამბავი რომ ჩაათავა, თავი ასწია, ყველაფერი ნათელია, ახალს ვერაფერს ამბობს, ეს ასე რომ არის, თქმა არ სჭირდება, აზრი ისე გასაგებია, ძნელია სხვა რაიმე თქვა. აი ასე სწერენ... ეს ხომ ცნობილია... რა ხდება, ვერაფერი გაუგია... წიგნი მოისროლა და დივანზე დააგდო. რა უნდა წაიკითხო, როცა უკვე იცი, რასაც კითხულობ. ფეხი დაუშვა, სავარძლის რბილ საზურგეს მიეყრდნო, თვალები ერთ წერტილში გაუშეშდა, უკეთესი წიგნის დაწერა შეიძლება, უკეთესი პედაგოგიკის სახელმძღვანელოს, უფრო ღრმა და ხელშესახები გახადო თითოეული საკითხი. უნდა დაიწეროს, როგორ?... წამოდგა, ახლა რომ დრო ჰქონდეს?... ისეთ საქმეებს აკეთებს, რაც მის გულთან არ მიდის. ყველაფერი ბედია, რამდენი რამის გაკეთება შეუძლია და ვერ აკეთებს...

თავიდანვე არ გაუმართლა, სამი წელი აბარებდა უნივერსიტეტში გამოცდებს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სამივეჯერ პირველსავე გამოცდაზე ქართულ წერაში ჩაიჭრა, სხვა გზა რომ ვერ გამოიხატა, ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩააბარა, რადგან კონკურსი ნაკლები იყო და სამიანე-

ბიც შველოდა. ოდნავადაც არ იტაცებდა ეკონომიური მეცნიერება, მაგრამ მეცადინეობა რომ დაიწყო, ორი-სამი ლექციის შემდეგ ბედის კმაყოფილი გახდა, ძალზე დიდი პერსპექტივები გადაეშალა თვალწინ. მეტი, თუ ადამიანს არა აქვს ეკონომიური განათლება, არსად არ ივარგებს, პირველ რიგში არ გამოდგება სახელმწიფოს სათავეში. ყოვლად შეუძლებელია იმსჯელო რაიმე საკითხზე თუ ეკონომიკა არ გესმის. ლექტორ-მასწავლებლებსაც კი აოცებდათ მისი მონდომება. სწავლობდა დღისით და ღამით, მაგრამ მეოთხე-მეხუთე კურსზე მეცადინეობას უკლო, აღარ აკმაყოფილებდა ლექციები, არც წიგნები, ყველაფერი იცის, ახალს ვერაფერს ეუბნებიან. როგორც კი დიპლომს აიღებს, მეტი გასაქმნი მიეცემა, დაწინაურდება, კარგი ეკონომისტი თითზე ჩამოსათვლელია, უფრო ღრმად თუ დაუფკვირდებით, არც არის, მან უნდა მოახდინოს გადატრიალება ეკონომიურ მეცნიერებაში, სრულიად ახალი თეორიები უნდა შექმნას, ახლებურად განიხილოს ესა თუ ის საკითხი. ხუთი წლის სწავლა უშედეგოდ არ ჩაივლის, გასაკეთებელს გააკეთებს... უნივერსიტეტი ჩვეულებრივი ნიშნებით დაამთავრა, გული ოდნავადაც არ დასწყვეტია, რა მნიშვნელობა აქვს ნიშნებს, თუკი ცოდნა გაქვს, მაგრამ პირველი უიღბლობა მაშინ განიცადა, როცა ერთ-ერთ ქარხანაში რიგით ეკონომისტად გაანაწილეს... დროებითია, მალე დარწმუნდებიან მის შესაძლებლობაში. მოინდომა, მაგრამ ციფრები, ერთი და იგივე ციფრები, ერთსა და იმავე საკითხებზე მალე მობეზრდა, სრულებით არაა მისი საქმე ციფრებზე კირკიტი, მას მეტის გაკეთება შეუძლია, საწერ-კალამს მიაგდებდა და სკამიდან წამოვარდებოდა. სხვა რამეზე უნდა იფიქროს, ეს ციფრები ახალს არაფერს აძლევს და არც ახალს არაფერს ეუბნება. სამუშაოს მიატოვებდა და ფიქრობდა, რა გაეკეთებია. დრო შეუმჩნევლად შემოეცლებოდა და სამუშაოც გაუკეთებელი რჩებოდა, უფროს ეკონომისტთან ჰქონდა კამათი და ჩხუბი, იგი ხელს აიქნევდა და გარეთ გავარდებოდა, ვის ველაპარაკები, კაცმა არაფერი არ იცისო.

არა, თავიდანვე არ გაუმართლა.

ტელეფონის ზარის წკრიალმა გამოარკვია, შებრუნდა და ყურმილი აიღო.

— გისმენთ!

— ლავრენტი ბრძანდებით?

— კი, ბატონო!

— ნუნუ ვარ, საქმეთა მმართველი, დირექტორი გიბარებთ, რევიზია ჰყავს, რაღაც საკითხია გასარკვევი!

— უფროსი ეკონომისტი სადაა?

— აქ არის, მაგრამ...

— ე, ბატონო, იგია დირექტორის მარჯვენა ხელი, ჩემთან რა უნ-

დათ, მან იცის ყველაფერი და პასუხიც მან გასცეს!... მე ავად ვარ, ვერ მოვალ!

— აუცილებლად მოვიდეს, გვჭირდებაო!

— არა, მგონია, სადაც საჭირო ვიქნები, ჩემით მივალ!

— თქვენი ნებაა!

და ყურმილი დაუდევს. მას ჩაელიმა, ყურმილი ხელში შეატრიალა და ტელეფონზე დადო. ნახოს ღირეპტორმა, დარწმუნდეს, რა მთავარი ეკონომისტი ჰყავს, მისი თუ არ სჯერათ, ნუ დაუჯერებენ. შესაფერის სამუშაოზე მაინც არ ზის... ერთხანს იქნება, მერე სხვა, უფრო დიდ საქმეს გააკეთებს და ქარხანაში ერთი წუთითაც არ გაჩერდება. ახლა რა ქნას, ოჯახი ჰყავს, ცოლ-შვილი მისი საპატრონოა. ცხოვრებამაც ისე მოუჭირა საღებები, რომ გასაქანს არ აძლევს, თორემ, რომ არ მტულობდეს, ყოველდღიური წვრილმანებით არ იყოს დაკავებული, დროც მეტი ექნება და დიდ საქმესაც გააკეთებს... მაგიდაზე დაგდებულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოს გადახედა, ისევ ირონიით ჩაელიმა, პედაგოგიურ მეცნიერებაში შეუძლებელი არაფერია, მაგრამ რა მოხდება? არაფერი! რაც არ უნდა ახალი თქვას, მაინც ერთი რიგითი მეცნიერი იქნება.

ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა, ფანჯარაში ეჭვით გაიხედა, ძალიან დიდი საქმეებისათვისაა მოწოდებული, სასაცილონი არიან ეს მოფუსფუსე ადამიანები, განა მათ შეუძლიათ რაიმეს გაკეთება?... არა! ერთმანეთს ზერელე, არაფრისმთქმელი აზრებით კვებავენ და ვერც ერთ საკითხში ღრმად ვერ ერკვევიან. დრო რომ ჰქონდეს?... ცხვირი ფანჯრის მინას მიადო, თითქოს გარედან შემოსულ გაურკვეველ ხმებს ყური მიუგდო. პირდაპირ სისხლი ყელში აქვს მოწოლილი. რას წარმოადგენენ ისინი? რას?... არაფერს! საკმარისია ერთი... ჭიანჭველებივით გაისრისებიან... ადამიანები თანდათან დაპატარავდნენ, დამრგვალდნენ, მერე დაგრძელდნენ, ჭიანჭველებს დაემსგავსენ და... მიღოლავნენ... ჰა, ჰა, ჰა... ყველაზე მალეა დგას, ისინი ვერასოდეს ვერ ავლენ მის სიმაღლეზე!

ფანჯარას გაგულისებული მოშორდა. რა გააკეთოს თავდაპირველად, ძნელია თქმა, როცა ყველაფრის გაკეთება შეგიძლია და დრო არ გყოფნის. დრო... დილით ცხრა საათზე სამსახურში მიდის, პირველ საათზე შესვენებაა, შინ ექვს საათზე ბრუნდება... ცოლი, შვილი — როდის დაჯდეს მაგიდასთან. გაეცლება ყველას და ყველაფერს, ერთი თავისთვის სადღაც შორს, განმარტოებით ადგილი რომ ჰქონდეს! რაც უნდა ის ქნას, თვითონ თავისას გააკეთებს. მაგრამ განმარტოება კარჩაკეტილობას გამოიწვევს, მოწყდება დიდ საქმეებს, ვერავინ ვერ მიხვდება, ვერავინ გაუგებს მას... ერთ საათს აწვალა ამ ფიქრებმა, ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში მიმოდიოდა, შუა ოთახში ჩერდებოდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ნერვიულობდა... ბედი, ჰო, ბედი, თორემ... ცოლიც ისე-

თი შეხვდა, მასთან ვერაფერს იტყვი, ვერ გაუგებს, არა, არაფერი არ ეს-
მის... ნაგავი!.. ჩაეღიმა, სახეზე ნერვიულობა ჩამოერეცხა, ნაკვთები გა-
უსწორდა, თვალებში გამოიხედა, დიდი იდეები გონების მიღმა ჩაესვენა.
საათს შეხვდა, შესვენება კარგა ხნის დამთავრებული იყო, ოთხი სრულ-
დებოდა. მოაგონდა, რომ დირექტორი იბარებდა; რევიზია აქვთ და იბა-
რებენ. შეწუხდა, უცებ ვერ მიხვდა, რატომ აცდენს სამუშაოს, ხომ შეი-
ძლება მოხსნან, მაშინ რა უნდა ქნას? აი ეს არის მთელი უბედურება,
მოდო ახლა აუხსენი უნიჭობებს, რატომ არ წადი სამუშაოზე... ძალიან
კარგი თუ არ წავიდა, ხვალ დირექტორს ეტყვის, შეუძლოდ ვიყავიო...
მათ რომ რაიმე ესმოდეთ, არც უნდა ამუშავებდნენ, ხელს უნდა უწყობ-
დნენ, რომ დიდი საზოგადო საქმეები აკეთოს!...

ასე მოუგვარებელი იყოს ცხოვრებაში ყველაფერი, ყოვლად წარ-
მოუდგენელია. ადამიანები სულ შეიცვალენ, ერთმანეთს ვეღარ იტანენ,
მხოლოდ გამორჩენაზე ფიქრობენ, თუ შენში სარგებელს ვერ ხედავს,
შენი დანახვაც არ უნდათ, ფეხს ვერ მოიცვლი ცხოვრებაში, თუ ვინმე
მხარს არ გიჭერს, გაისრისები, გაგაბრიყვებენ, სულელად გაგასაღებენ.
ჰმ! უფლება რომ ჰქონდეს.. არავინ დასაძლავი არაა, ყველას ჭკუას ას-
წავლიდა... კბილები ბრაზით გაადრქიალა, ხელები მომჯიღა და კინაღამ
ფანჯრის მინას დაჭკრა.

— ლევან! — დაუყვირა ბიჭს. მერე უცებ გამოერკვა და გაუკვირდა,
რატომ დაუძახა ბიჭს.

მის ყვირილზე ცოლმა გამოიხედა.

— რა ამბავია, ლავრენტი!

— არაფერი!

— დღეს სამსახურში არ მიხვალ?

— მაგი არაა შენი საქმე!..

ქალმა ფარული სიმკაცრით ახედა და გაბრუნდა. ქმარს ჭირვეულო-
ბა დასჩემდა, სრულიად გამოიცვალა. ერთს არ იკითხავს, ოჯახში თუ რამ
გასაკეთებელია, არ იკითხავს, არც იმაზე შეწუხდება, უჭირს თუ ულხინს.
ასეთი არ იყო იგი და ჯავრმა შეიკლა ქალი. მაგრამ ეს კია, ხელფასი თა-
ვის დროზე მოაქვს, არ ლოთობს და არც ქუჩა-ქუჩა ზოგიერთებივით
არ დაეხეტება. ამიტომ ითმენს, რა უნდა ქნას, ასეთი ბედი ერგო წილად...
რაც არ უნდა სთხოვოს, არ შეუსრულებს, რაიმე განსაკუთრებულ ჩაც-
მაზე, ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ნათესავებშიც არ დაჰყვება, თქვენ ვინ
მოგისმენთ, ქალები რაღაცას ლაყბობთო, ეტყოდა ხოლმე და თუ შეეკა-
მათებოდა, თითოეულ ნათესავს დაუხასიათებდა. ქალი ხედავდა, მეგო-
ბრებიც ჩამოცილდნენ, თუ ვინმე მოაკითხავს, დასცინის, ჯავრობს, რომ
მას ვერ უგებენ და მოჰყვება მათ გაბიაბრუებას.

ქალი გაგულისდებოდა და ეტყოდა:

— მხოლოდ შენ ერთს გაგეგება ყველაფერი!

— აბა, რა?! — წამოიძახებდა მთელი ხმით, — არ ვამბობ, ყველაფერი ვიცი-მეთქი, მაგრამ მათ ჩემი არ ესმით... მე ცამდე მართალი ვარ და მათ არ მოვწონვარ, ერთი მე მკითხე, რა შეხედულებისა ვარ მათზე!

— შენ კაცი ვერ გაგიგებს! — გესლით დასძინა ქალმა.

— ხმა!

ქალი ენას მუცელში ჩაიგდებდა. იგი მოჰყვებოდა, რას ფიქრობდა, რა მიზნები აცოცხლებდა.

— შენ ჩვენი მეზობელიც არ მოგწონს?! — შებედავდა ქალი.

— ვინ?

— აი, გრიგოლი!

— რატომ უნდა მომწონდეს?! ჰმ, ვერაფერი გამიგია!

— მიდი და შეედარე, როგორ ცხოვრობს იგი!

— ა, სულელი! განა ქონებაშია ცხოვრების მიზანი?... მე პატიოსნად ვცხოვრობ, ის კი თაღლითობს!

— რა იცი, რომ თაღლითობს? — გაბრაზდა ქალი.

— ვიცი! და საერთოდ მე მასეთი ცხოვრება არ მაინტერესებს!

— ჰოო... — და ქალი გაეცლებოდა...

იგი შუა ოთახში იდგა, კარის ხმაზე მიხვდა, რომ ქალმა კარი გაბრაზებით გაიხურა. ჩაელიმა. მაგრამ მეორე ოთახიდან ბიჭს რომ არ გამოუხედავს, არაფერი უთქვამს. უნებლიეთ უცნაური აზრი აეკვიატა, აი ისე, როცა ერთხელ კინოსურათი ნახა და კინოსცენარის დაწერა გადაწყვიტა. მათემატიკაში სკოლაში ძლიერი იყო და რა მაინცდამაინც ეკონომიური ფაკულტეტი აირჩია, დაემთავრებინა ფიზიკა-მათემატიკური, რამდენი რამ ხდება დღეს ტექნიკურ მეცნიერებაში და ისიც უთუოდ რაღაცას დიდს გააკეთებდა. რა არის მათემატიკური ფორმულები, არაფერი! ლაბორატორია რომ ჰქონდეს, უდიდეს მეცნიერულ ცდებს ჩაატარებდა, პატარა აღარაა, ორმოც წელს გადასცილდა და ერთხელაც დრო ვერ გამოიხატა, რაც მას სურს ის აკეთოს. ახლა რომ ლაბორატორია მოითხოვოს, ვიღაც დასცინებს, გიჟად მონათლავს კიდეც, თორემ... მთელ ცხოვრებას ანდომებენ რაღაც უმნიშვნელო გამოგონებას, კუს ნაბიჯით მიდიან, თავად კი, თავად დიდი-დიდი ერთი, ან ორი თვე—მსოფლიო გაიგებს მის სახელს. საუკეთესო ბინას მისცემენ, ხუთ ან შვიდ ოთახიან ბინას, ეყოლება მსუბუქი ავტომანქანა, გამოვა სიმპოზიუმებზე, იმოგზაურებს მსოფლიოს დიდ ქალაქებში. შეხვედრები, შეხვედრები... ასე აღარ იქნება, ახლა გამარჯობის თქმა უჭირთ... არა, რატომ თავიდან არ დაფიქრდა, ფიზიკა-მათემატიკურზე უნდა შესულიყო... ფიქრებს ჩაჰყვა, შემოჯარულმა ოცნებებმა თავი გაუსივა, ძალა გამოელია და მიწვა. მერე ჩამობურთული გონება რომ გადაეწმინდა, წამოხტა, მიხვდა, რომ ორი თუ სამი საათი

ფუტ ოცნებაში გაუტარებია. სინანულით თავი დააქნია, არ გაუმართლა... ისე კი ფიზიკა-მათემატიკურზე შეუძლებელს შეძლებდა, ახლა რა უნდა ქნას, პირობები არა აქვს, რატომღაც ცხოვრება ასე აწყობილი, რატომ?!

ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა, იატაკს დააჩერდა, თითქოს რაღაცას დაეძებდა, ხელები ნერვიულად მომჯილა, გული სინანულით აევსო, წლები შემოეცალა და ჯერ არაფერი გაუკეთებია. რაღაც გზა უნდა გამოინახოს, შეუძლებელი უნდა შეძლოს, შეუძლებელის შეძლებას ბევრი ფული მოჰყვება, რამდენჯერ გაიკითხ-გამოიკითხა — რომანებსა და მოთხრობებში ცოტა ფულიაო, უთხრეს. ლექსი თავის დღეში არ დაუწერია და ამასთან პოეტის სახელი ეთაკილება, პოეტს ნორმალურ ადამიანად არავინ თვლის, ყოველ ლექსის დაბეჭდვაზე უნდა იწვალო, ხან ერთს უნდა ეხვეწო, ხან მეორეს უნდა დაუჩოქო, არა, ლექსის დაწერა არ უცდია, თორემ უთუოდ დასწერს. დღეს რომ ლექსები იწერება?! ჰმ, ააწყვე სტრიქონები და გათავდა! უნიჭოები მომრავლდნენ, თავად არ იციან, რას სწერენ... ისევ ფანჯარასთან შეჩერდა — მშვენიერი, ლამაზი შუადღეა, ოქტომბრის მზე აფრქვევს მომხიბვლელ სხივებს, ხეებს ფოთლები დასცვენია, ალაგ-ალაგ მხოლოდ გაყვითლებული ფოთოლი შემორჩენილა ხის ტოტზე და საცაა ისიც ჩამოვარდება, აი დაწერე ლექსი, ჰმ! არ უნდა თორემ... რაღაც სტრიქონმა თავში ბუნდოვნად გაუელვა, აზრი ვერ გამოიტანა, მაგრამ რაკი რაღაც იაზრა, ეგონა, უკვე თქვა სათქმელი... ა, ლექსი, საწერკალამი და... მაგრამ სტრიქონზე თავის მტვრევისათვის არ სცალია, წვალების მეტი არაფერია, ებრძოლო უნდა სტრიქონებს და დრო ტყუილად დაიკარგება, მით უფრო ისეთი ლექსების წერას, რა უნდა...

მეგობარი პოეტი ჰყავს, ქალაქში ერთადერთი პოეტი. ლექსებს სხვებიც წერენ, მაგრამ პოეტი მხოლოდ ის ერთია! და ვითომ ისიც ლექსებს წერს, ხალხს რა მოსწონს, ვერ გაიგებ, ტაშს უკრავენ, შეხვედრებს უწყობენ, პირდაპირ იხიბლებიან მისი სტრიქონებით, რა არის?... არაფერი, ნაგავი!...

— შენი ლექსები?! შენი ლექსები რაა? — უთხრა ერთხელ პოეტს. ძალზე უხეში ნათქვამი იყო, პოეტი შეცბა, შეიშმუშნა, თვალები აეწყლიანა.

— მე, მაგალითად, შენს ლექსებს არც წავიკითხავ! — უთხრა მან, — შენი ლექსები ოდნავადაც არ მაკმაყოფილებს, არა მარტო მე, მკითხველსაც არ აკმაყოფილებს, დღეს სულ სხვა რაღაცაა საჭირო, აი ის, რაც შენში არაა!

— რა მაგალითად? — გაეცინა პოეტს.

— წვრილმანებზე წერა დღეს დანაშაულია!

— დღევანდელობაზე წერა წვრილმანად ხომ არ მიგაჩნია? იქნებ...

— აბა რა?! შენ რა იცი, როცა შენთან ლაპარაკი მე არ მაკმაყოფილებს, შენ რა უნდა დაწერო ახალი?!

— არაფერი!

— ჰო და, ნუ გწყინს, როცა სიმართლეს გეუბნები, შენი ლექციები არავის არ უნდა!

— შენ პოეზია გესმის?

— რა უნდა მაგის გაგებას?! არ მომწონს და გათავდა!

— გასაგებია!

— ფულისათვის წერ, რად უნდა ამას ბევრი ფილოსოფია!

— შეიძლება! — ორაზროვნად უთხრა პოეტმა.

ასე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს, ვერ დააჯერებდი, რომ მართალი არ იყო, ლექსს მხოლოდ თვითონ დასწერს, თუ არ სწერს, ეს უბრალოდ, არ უნდა! მერე ერთხელ იმ პოეტს ჰკითხა: პიესაში მეტი ფულიაო, თუ კინოსცენარში. მაგრამ რაკი თვითონ კინოფილმებს ესწრებოდა, კინოსცენარის დაწერა უფრო იოლი მოეჩვენა, თანაც უკეთესად დასწერს, ვიდრე გამოჩენილი სცენარისტები სწერენ. ეს აზრი პოეტთან სანახევროდ გამოთქვა, რადგან იგი კომპეტენტურ პიროვნებად არ მიაჩნდა. კინოსცენარის დაწერის სურვილი კი მკაცრად აწვალებდა, ახლო ნაცნობებს თუ მეგობრებს, შემთხვევით ქუჩაში მიმავალს აკვირდებოდა, რომ მათში კინოფილმის გმირი დაენახა. თუ ვინმე რაიმეს მოჰყვებოდა, ყურს დაცქვეტდა. ერთმანეთზე აკოწიწებდა ყურმოკრულ ამბებს, მსჯელობდა გონებაში და აღფრთოვანებული წამოიძახებდა: „ა, შესანიშნავია!..“

— ძალიან დიდი უნიჭოები მოღვაწეობენ დღეს ლიტერატურაში! — უთხრა მან ერთ თავის ნაცნობს, რომელიც მალაზიაში გამყიდველად მუშაობდა. — შენ იცი თუ არა, ფული უფრო აინტერესებთ, ვიდრე კარგი ნაწარმოები?! დღეს რაც იწერება, მოგწონს? არა! არც შეიძლება მოგეწონოს! ქაღალდს აფუჭებენ, მეტი არაფერი! არც თეატრში შეისვლება, ხუთი წელია ერთი სპექტაკლი არ მინახავს?

— გასულ შაბათს პრემიერაზე არ ყოფილხარ? — გაუკვირდა მალაზიის გამყიდველს.

— ჰმ! არც ვნახავ!... ხალხი სულელია, სცენაზე თითი რომ გააქნიო, იმაზე გაიცინებს!... შეიძლება სხვამ უკეთესი პიესა დასწეროს, მაგრამ არ დაუდგამენ, თუ ვინმე მხარში არ გიდგას, არაფერი გამოგივა, ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი კაცი იხაგრება!...

— კარგი ნაწარმოები მაინც არ დაიკარგება!

— რას ამბობ!... ვის უნდა კარგი ნაწარმოები, მოჩვენებითია ყველაფერი!... კარგ ნაწარმოებს, პირიქით ცუდად გაასაღებენ!...

— იმიტომ არიან ნიჭიერი მწერლები და...

— არ დაიჯერო!

— რა ვიცი, მკითხველს მოსწონს...

— რა მოსწონს?!

მაღაზიის გამყიდველმა მხრები გაკვირვებით აჩქარა, სათქმელი არაფერი ჰქონდა, დაეჭვდა, იქნებ მართლაც სცდება. თავი არ გამოუღვია, რა იცის და რა არ მოსწონს, არ უთქვამს. ნუთუ გამოჩენილი მწერლებიც ცდებიან?!

ლავრენტი მქრქალი ირონიული ღიმილით გაშორდა, თავი ოდნავ წინ ჰქონდა წახრილი და არც მიწას დასცქეროდა და არც წინ, გზის სიღრმისაკენ იცქირებოდა, იმწამს მას თვლებში არავინ უჩნდა, მქრქალი, ირონიული ღიმილი კარგა ხანს არ მოშორებია სახეზე, მერე ტუჩები შეუქანდა, ხმამაღლა არაფერი უთქვამს, გაიფიქრა: „რა აკითხებთ წიგნს, სენივითაა ეს უნიჭობა მოდებული! წიგნი ასე როდი უნდა იწერებოდეს, რაღაც ახალია საჭირო, ისეთი, რაც სხვამ არ იცის, კაცი უნდა დააფიქრო, ახალი სამყარო უნდა დაანახოს!“. კალამს თვითონ უნდა მოჰკიდოს ხელი, თორემ... სულ მუქთად ღებულობენ ეს მწერლები ფულს, მასე რომანებისა და პიესების წერა ყველას შეუძლია, ოღონდ თავხედი უნდა იყო, არაფრის არ უნდა გრცხვენოდეს... დაჯექი და წერე!.. იგი აღარ მიდიოდა, მირბოდა...

— ლავრენტი!

შეჩერდა, წინ წახრილი თავი გაასწორა.

— ნაგავი!

— რა იყო, რამ გაგაბრაზა?

— აღამიანებს ტვინი ისე აქვთ მომართული, ვერაფერს გახდები... ლამის თავის ქალა გადაუხსნა და ჭანჭიკები უნდა მოუჭირო, თორემ არაფერი გამოვა!...

— რაო, ვინ გყავს მხედველობაში?

— ყველა!... ჰგონია, რაიმე იციან!... იცი, შეხ რა ხდება?... კაცს ელემენტალური ცოდნა, წარმოდგენა არა აქვს თავის საქმეზე და თანამდებობას ებლაუჭება! სხედან კაბინეტებში და მათ საქმეს სხვა აკეთებს! ამიტომაც რომ არაფერი არ კეთდება! თუ ბაბა არ გყავს, ფეხს ვერ მოიცვლი, რაც უნდა ნიჭიერი იყო!... შენ იცი, ეკონომისტი ვარ და ჩემი საქმე კარგად გამეგება, მეტსაც ვიტყვი, ჩემსავით ვერავინ ვერ ერკვევა... მერე? უბრალოდ არ შემოიძლია ჩემი აზრი გამოვთქვა. სიმართლის მთქმელი დღეს არავის არ უნდა. ეჯავრება კიდევ. იცი, შენ რაები მაქვს მოფიქრებული?! დრო ვერ გამოვნახე, დავჯდე და დავწერო!... ზოგს კი უსაქმურობა ახრჩობს, რა გააკეთოს არ იცის!...

იმ ნაცნობსაც მალე მოშორდა, არ მოუსმენია, რას იტყოდა, ჩქარა წავიდა, უკვე აღარ იცოდა, საით მიდიოდა, სასეირნოდ არ გამოსულა ქუჩაში, არც საქმისათვის, პირდაპირ წავიდა, გაგულისებულის, გაბრა-

ზებუღი, გაუტჩებუღი, კვლავ საკუთარ თავში დარწმუნებუღი, ხალხს პირს არიდებდა, თუ ნაცნობი პირისპირ თვალეში შეეჩეხებოდა, თავს დაუტრავდა, თუ არა და, არავისი დანახვა არ უნდოდა. სიმარტოვე მოუწადა, გაცლოდა ყველაფერს, მაგრამ სიმარტოვე გულს გაუწვრილებდა და ქუჩაში ხეტიალი არჩია. საკუთარი გონების ძალაში საბოლოოდ დარწმუნდა, მხოლოდ დრო სჭირდება, ეს დრო კი არ ჩანს, მუდამ დაკავებულია, თანაც იძულებულია წვრილმანებზე იფიქროს, და ეს რომ არ გააკეთოს, ყოვლად შეუძლებელია, ყოველდღიურობა მოითხოვს. როცა გადაწყვეტს, ახლა მაინც შევუდგები ჩემს საქმესო, არავის ყურს არ ვათხოვებ, არც ცოლ-შვილის კაპრიზებს მოვისმენ და არც ფუჭი საკითხებით გამოვიტენი თავსო, სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა რაღაც მიზეზი, რომ თავის გადაწყვეტილებაზე ხელი აეღო, რაკი მიზეზი ჰქონდა, თავის მოქმედებასაც ამართლებდა და იტყოდა, ჩემს საქმეს შემდეგ მოვკიდებ ხელსო. უხაროდა კიდევ, რომ მიზეზი გამოუჩნდა...

ოთახში გველისნაკბენივით შეტრიალდა, გეგონებოდა, ხელს რაღაცას დაავლებს და დაამსხვრევსო, კედელს დაეტაკება და თავით გაიტანსო. ცოლი სამზარეულოში ფუტფუტებდა, ბიჭი მეორე ოთახში სეცადინებოდა, გარეთ მშვენიერი მზიანი დღე იდგა, საღამოვდებოდა, ის დრო იყო, როცა სამუშაო საათების შემდეგ ხალხი ქუჩაში მატულობს. ვინ კიდევ სასეირნოდ გამოდის, დაუყვება ქუჩას და მახლობელ სკვერში ჩამოისვენებს, ან ნაცნობს გაუვლის და საღამო ხანს ერთად გაატარებენ. ასეთ დროს შინ ვერ ჩერდება ლავრენტი, ერთ-ორჯერ უნდა ჩაიაროს ცენტრალურ ქუჩაზე, ვინმე ნაცნობს გაესაუბროს, ცოტა ხნით კაფეშიც შევიდეს, ისაუბროს, თავისი აზრები გამოთქვას, სხვასაც მოუსმინოს, საკუთარი რწმენა განიმტკიცოს. ზოგჯერ ხმას არ ამოიღებს, გულისყურით უსმენს მოსაუბრეს, მერე როცა გაეცლება, თავისთვის იტყვის, სწორად მსჯელობდა, მაგრამ ძირითად საკითხებში ვერ ერკვევა, მაინც ზერელედ ლაპარაკობსო, ნაგავი!

ახლა ქუჩაში გასვლა არმოუწოდებია. ცოლთან შევიდა სამზარეულოში, ჯერ მაგიდაზე დაყრილ თეფშებს დახედა, მერე გაზქურაზე შემოდგმულ ქვებში ჩაიხედა, ხელი აიქნია, ცოლს შეხედა ცერად.

— რა არის ეს?

— სადილი!

— ჰმ, სადილი, თორემ არ იყოს...

— შენ ხომ სოუსი გიყვარს?! — მოკრძალებით უთხრა ცოლმა.

— მიყვარს... მე რაც მიყვარს, შენ იგი არც დაგესიზმრება!

ცოლს სახეზე სიბრაზე გამოეხატა.

— შენ გააკეთე, თუ კი ჩემი...

— ჰმ! გავაკეთებ!.. რა გგონია!

— ჯერ კარტოფილიც არ შეგიწვავს შენი ხელით!

— საქმეც ესაა, კარტოფილიც არ შემიწვავს და რომ მოვინდომო, შენზე უკეთეს სადილს გავაკეთებ... ქალებმა რა იცით, სადილის გავაკეთება!

სამზარეულო ვიწრო იყო, იგი შეტრიალ-შემოტრიალდა, ცოლს მხარზე ხელი მოუთათუნა: „შენ ნურასოდეს თავს ნუ გამოიდებ ჩემთან, მე შენზე უკეთ ვიცი ყველაფერი და შენზე უკეთესად გავაკეთებ რასაც მოვისურვებ!“ ამაყი სახით გამოვიდა სამზარეულოდან, თანაც უკვირდა თავისი უნარის, რა არის ისეთი, რომ მან ვერ გააკეთოს. მერე ისევ სავარძელში ჩაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ნიკაპი თითებში ჩადო. თვალები დაუვიწროვდა, მერე გაუფართოვდა და ღიმილი გამოეხატა. ეს უკვე მისი სულიერი გამარჯვება იყო, მოიფიქრა, რამდენი ხანია თავში უტრიალებს ერთი მშვენიერი ცხოვრებისეული დეტალი და ფორმა ვერ მოუწახა. სკამიდან წამოხტა — ორი მეზობელი, შუაში შარაგზა, ერთი ტყის მცველია, მეორე — მესიმინდე... ამ სურათმა თანდათან გაიტაცა, ბოლოს ხელი გამარჯვების ნიშნად აიქნია, მაგრამ იმავე წამს დაფიქრდა, წარბი შეკრა, სახე მოედრუბლა... არასოდეს კინოსცენარი არ წაუკითხავს, არ უნახავს, რა ფორმით იწერება, როგორ ყალიბდება თითოეული დეტალი, სახე, სურათი...

— ლევან!

ბიჭმა კარებში გამოიხედა.

— მეექვსე კლასში კინოსცენარი თუ ისწავლება? — ჰკითხა მან.

— არა, მამა!

ოთახში ნერვიულად გაიარა, ნიკაპზე ხელი მიიჭირა.

— შენ თუ იცი, სად შეიძლება კაცმა წაიკითხოს?

— ჟურნალ „ტეატრში!“

— ნამდვილად?!

— კი, ამას წინათ წავიკითხე!

— მართლა?... სად გქონდა?

— ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე!

— შინ გაქვს?

— არა, თუ გინდა, მოვიტან!

იგი დაფიქრდა.

— არა, არ მინდა! — ოთახში გაიარა, — კინოსცენარი ხომ პრინციპში მოთხრობასავით იწერება?

— კი.

— ჩვენ გვაქვს რომელიმე ცნობილი მწერლის მოთხრობა შინ?

— არა, ამას წინათ გთხოვე და არ მიყიდე!

— როგორ, ერთი მხატვრული ნაწარმოები არ გვაქვს შინ?! არც

შენს სახელმძღვანელოშია რაიმე მოთხრობა?

— კი. — ბიჭი გაბრუნდა და მამას თავისი სახელმძღვანელო მიუტანა, — აქ რამდენიმე მოთხრობაა.

— კარგი, შენ წადი!

ბიჭმა მამა შუა ოთახში დატოვა. ლავრენტიმ სახელმძღვანელო ხელში შეატრიალა, გადაშალა, ერთი პატარა მოთხრობა აღმოჩნდა ცალ გვერდზე, არც მწერლის გვარი წაუკითხავს და არც მოთხრობის სათაური, დაიწყო მოთხრობის კითხვა — ძალზე ნათელი წინადადებები, ყველაფერი გასაგები და ხელშესახები — გაეცინა. ამას რა წაკითხვა უნდა, ეს ხომ ყველაფერი ნაცნობია.

— ლევან!

ბიჭმა კარებში გამოიხედა.

— მომიტანე ქალაღი და საწერკალამი.

ბიჭმა თავისი საწერკალამი და რვეული მიუტანა.

— წადი!

ლავრენტი მაგიდასთან დაჯდა, რვეული წინ დაიდო და საწერკალამი მოიმარჯვა. ასე მსუბუქად წერას რა დავიდარაბა სჭირდება: წარმოიდგინა ორი მეზობელი, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ ცხოვრობენ და შუაში შარავზა ჩაუდით. შეადგინა პირველი ორი სიტყვა: „ორი მეზობელი“... შემდეგ ველარაფერი დაწერა, სიტყვა ვერ მოძებნა, ვერც აზრი ააწყო, ანერვიულდა. „ორი მეზობელი...“ გაიფიქრა და დაუმატა: „ცხოვრობს“... საწერკალამი მაგიდაზე დადო და სახელმძღვანელოში ჩაიხედა, წაიკითხა მოთხრობის პირველი წინადადება, რა იოლადაა ნათქვამი, ასე თქმა მასაც შეუძლია, თავი ასწია და ისევ გაიფიქრა: „ორი მეზობელი...“ კვლავ ვერ მონახა სიტყვა, რვეული და საწერკალამი მიაგდო და ადგა. რა ხდება, ენის წვერზე აზის სიტყვა და ვერ ამბობს, აზრს ვერ გამოთქვამს... რა არის აქ ძნელი, შეუძლია და არ გამოუდის. ოთახში სიარულს მოჰყვა. „ერთი მეზობელი ტყის ერთგული მცველია“... წარმოესახა სხვადასხვა სურათები, მაგრამ საწერკალამი ხელში რომ აიღო, ისევ ვერ ააწყო სიტყვები. ტანში რაღაც გაუჯდა და მიხვდა, ახლა ვერაფერს დაწერდა... უთუოდ ქუჩაში გასვლის დროა, ცოტა ხნით გაივლის, დაწყნარდება, გონებას მოიკრეფს... ქუჩაში ხომ შესანიშნავი აზრები ებადება, მთელი დღეა სახლიდან ფეხი არ მოუცვლია, ალბათ, ამანაც იმოქმედა, მაგრამ იგრძნო, რომ რატომღაც გარეთ გული არ მიუწევს, სამსახურში არ ყოფილა და ვინმე ქუჩაში რომ გადაეყაროს, არაა კარგი. მოაგონდა, რომ ღირექტორი იბარებდა, რევიზია ჰყავდათ. ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა, მაგრამ არავინ არ უპასუხა. სამუშაო საათები კარგა ხნის დამთავრებული იყო, ახლა სამსახურში არავინ არ იქნება, გადაწყვიტა, საქმეთა მმართველისათვის შინ დაერეკა.

— ალო! — ჩაესმა ყურმილში.

— ნუნუ ხარ?

— კი!

— ლავრენტი გელაპარაკება... რა მოხდა დღეს?

დუმილი ჩამოვარდა.

— ცუდადაა საქმე... მგონი...

— რა?

— მგონი მოხსნას გიპირებენ!

— მე?... რატომ?... ეს როგორ?... არ უთხარი, ავად არისო?

— კი, მაგრამ... საქმე ჩაშალაო.

— ჩაშალაო?...

— ჰო, თავის საქმეში ვერ ერკვევაო.

— ვინ თქვა ეს?

— ოქმში დაიწერა.

— მაშ... — სახე დაემანჭა, ყურმილი დააგდო და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. რა საოცარი რამ ხდება, არაფრად არ თვლიან, სამსახურიდან მოხსნას უპირებენ, ვის?... ეს როგორ!... მერე უცებ მოტყდა, მხრებში მოიხარა, დაიღუპა და ეგ არის, უმუშევარი დარჩება... დირექტორი უნდა ნახოს., რაღაც სამუშაო მაინც გამოუენახოს, თუნდაც მონგარიშის ადგილი... მაგიდაზე რვეულსა და საწერკალამს მოჰკრა თვალი, შესძაგდა რვეულიცა და საწერკალამიც, შესძაგდა საკუთარი თავი და საკუთარი აზრებიც... იდეალები... ხელები მომჯილა და შუბლზე მიირტყა...

— ეჰ. რა ძნელია, როცა კაცს არ გაგიმართლებს! — თქვა მან.

— მართლაც ძნელია! — უპასუხა საკუთარ თავს, სავარძელში ჩაჯდა, მკლავები სახელურზე დააწყო და სახე გაუშეშდა. მერე უცებ ფერდკარგულ სახეზე ნაკვთი შეუთამაშდა და წამოიძახა:

— მე მაინც!... დრო!... დრო უნდა გამოენახო!



ამ ლამაზ ცის ქვეშ

ისე ლამაზი ცა მხურავს ახლა —
მიწას სალოცავ ხატად იწამებ...
ღელავს, ბობოქრობს, სიცოცხლის ტალღა,
ამ ლამაზ ცის ქვეშ... ჩემი მიწა, მე!

სიწმინდის ზღუდეს ვეხლები მკერდით,
გულში ვიღაცა მალულად გალობს
და... იღეწება ოცნების კევრით
მოხეტიალე ფიქრების კალო...

ბ ა ნ უ ო რ ე ბ ა

შორს, შორს მიდიხარ,
დიდი გზა გელის,
მე შენ გაცილებ და... ძალზე ვღელავ...
გასამგზავრებლად
მზად არის გემი
და მოლოდინში ირწევა ნელა;
ბობოქრობს ეჭვი...
და მაინც ვლამობ —
შემოვამსხვრიო სევდას გალია;
...დგახარ გემბანზე,
სულაც არ ნადვლობ
განშორებას და... მიგიხარია.

აპა, გაისმა
საყვირის ხმები,
მეზღვაურებმაც ასწიეს ტრაპი,
სულ მალე გავა
პორტიდან გემი
და მოგონება დარჩება... ნაპირს.

მამია პაჩუანიძე

სიკვდილი სსკელტოვანი

გუძღვნი სამამულო ომში დაღუპული
მეგობარი პოეტის შალვა იოსელიანის
ხსოვნას.

საუბარი აჩრდილთან

— გამარჯობა მამია! — ვილაცამ შორიახლოდან მომადახა, შევეკრთი. გავიხედე და შალვა იოსელიანი დავლანდე.

— გაგიმარჯოს შალვა! — და მე მისკენ გავექანე. ჩვენ მონატრებულად გადავეხვიეთ ერთმანეთს.

— მეგობარო, აკი 60 წლისა ხარ, სრულებით არ გემჩნევა, ასე, 26-27 წლისა თუ იქნები. აჰ, რა ახალგაზრდად გამოიყურები! ბიჭო, გაახალგაზრდავების წამალი ხომ არ გიბოვნია? მეც მიწილადე, მეც მიინდა ვიყო შენებრ ახალგაზრდა, ვაიმე, რომ სამოცი წელი კარზე მაცდურად მიკაკუნებს!

— ეჰ, ჩემო მამია, ტყვია რომ არ მომხვედროდა, მაშინ მეც სამოცი წლის ვიქნებოდი, — მწარე ღიმილით თქვა მან და ცრემლი მოერიო.

— არა თქვა, არა თქვა, მეგობარო, შენ ნუთუ ტყვია მოგხვდა? შენ ნუთუ ფერფლად იქეცი, ნუთუ მიწად იქეცი! არა, არა თქვა-მეთქი! — მე კანკალი ამიტყდა. ვთრთოდი ვით ყინვასა და სუსხში გათოშილი მგზავრი. მან სინანულით შემომხედა და აღერსიანად მითხრა:

— დამშვიდდი ჩემო მამია, დამშვიდდი. სიკვდილმა ხომ არ შეგაშინა? მე კი სრულებით არ მეშინია სიკვდილისა. მე არ ვარ მკვდარი. მე

ცოცხალი ვარ, ცოცხალი. რა ვუყოთ, რომ თქვენს გვერდით აღარა ვარ, მე სამშობლოს შეეწირე ჩემი სიცოცხლე. მასვე დავუტოვე ანდერძად ჩემი ლექსების ერთი პატარა კონა. მე არ გამწირავს სამშობლო, რადგან მე მისთვის არ მიღალატია, რადგან მე მისი ერთგული ჯარისკაცი ვიყავი და პირწმინდად მოვიხადე ჩემი ვალი, პირწმინდად აღვასრულე ჯარისკაცული ფიც.

ეს თქვა და ერთი-ც მეომრული სტრიქონი წაიმღერა, მერე ხელი დამკრა და... ჰაი, საოცრებავ, ის გაფრინდა სადღაც...

მე ფიქრებიდან უცებ გამოვერკვიე, აღარც შალვა იყო და აღარც არავინ. ჩემს წინ იდგა ტოტებჩამოშლილი ძეწნა — თითქოს სიმბოლო გადამოსილი დედისა, მარადუამს ომში დაღუპულ შვილზე რომ ჰგოდებს. გაოგნებული ვიდექი და მივყვებოდი ფიქრთა ნიაღვარს. გული ჩემი თრთოდა თუ სტიროდა... და გული ჩემი გოდებდა...

ჩემო მტირალო ძეწნავ, რამდენ სევდიან დღეს მაგონებს შენი ჩამოძენილი, ჩამომტირალი ტოტები. შენ მაგონებ ომში წასულ მეომრის დედას შვილის მოლოდინში წყლისპირად რომ ჩამოთვლემია, დედას, რომლის შვილი დაეცა ბრძოლის ველზე და იგი აღარ დაბრუნდება.

იქნებ შენა ხარ ჩემი მეგობრის დედის ხატება... მაშ, ერთად მოვეხმოთ მეომარ შენს შვილს, ერთად მოვეხმოთ ჩემს მეგობარ პოეტს, რომელიც წავიდა და აღარ ჩანს, აღარ ჩანს...

ვაჰ, ბედო, ბედო, ომში წასული პოეტისა...

შეხვედრა რუსთაველის ძეგლთან

1936 წელი...

უკვე მეორე წელია თბილისში ვარ.

ო, როგორ მიყვარს ყმაწვილკაცს თბილისი. მან უნდა გამწაფოს და გამზარდოს თანამედროვე მოქალაქედ; და მერე დავიდგამ უღელს მამულისას და ისე ერთგულად გავწევ მას, როგორც ამას შთაგვაგონებდნენ დიდი მამულიშვილები — ვაჟა, აკაკი, ილია... დიახ, დიდი მგოსნების საქმე და ნაღვაწი ჩემი ანდერძანაგვი იყო, რომლითაც უნდა გამეკვლია გზა აწმყოსა და მომავალში; მათი ცხოვრება და შემოქმედება ჩემი საყვარელი საშვილიშვილო წიგნი იყო, წიგნი სიბრძნისა. ეს წიგნი მე გზას გამინათებდა, ხელში სანთელს დამაჭერინებდა, ენას ამომადგმევინებდა და მეტყოდა: აბა, წადი და ემსახურე შენს ხალხს, შენს ქვეყანას! მაგრამ...

მე უნდა დავუბრუნდე მშობლიურ ზღვისპირეთს. მეტი გზა არ ჩანს. ჯანმრთელობის გაუარესება არ მაძლევს საშველს ჩემი სურვილები აღვი-სრულო...

იმ დღეებში ვილაც ბათუმელი შემხვდა და ბათუმელი ამხანაგების
ამბავი კკითხე. მან მითხრა — შალვა იოსელიანი თბილისში უმაღლესში
მოეწყო. როგორ მინდოდა მისი ნახვა, მასთან საუბარი... მინდოდა მენა-
ხა შალვა, მაგრამ სად — მისამართი არ ვიცოდი.

დახე ბელს, ნატვრა ამიხდა.

ერთ დღეს ჩვენ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს რუსთაველის ძე-
ვლთან.

— გამარჯობა ჩემო მეგობარო!

— გაგიმარჯოს შალვა!

და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვეით. ვსაუბრობდით, შალვას რაღაც
აწუხებდა, ძველებურად ხალისიანად ვერ ლაპარაკობდა, ჩემი ჯანმრთე-
ლობის შესახებ მან უკვე იცოდა, მაგრამ მე კი არაფერი ვიცოდი მისი.
თურმე მასაც აწუხებდა რაღაც და ძალიანაც აწუხებდა.

— როგორ ხარ? როგორაა შენი ჯანმრთელობა? — მკითხა მან. ხე-
ლი ჩავიქნიე, უნდა განვერიდო სწავლას, რადგან ექიმები მირჩევენ, და-
სვენება გინდაო. შენ რატომ ხარ დაღონებული? რა დაგემართა?

— მე? დროებით მეც ვტოვებ თბილისს. მივდივარ ბათუმში, ჩემს
ბათუმში... მერე ჩაფიქრდა. ერთხანს ასე იყო გაოგნებული. მერე თავი
ასწია და მითხრა:

— გულს ნუ გაიტეხ ჩემო მამია. ნუ გეშინია, არ იღარდო. მალე კა-
რგად ვიქნებით... რას მიბარებ ამხანაგებთან? ხომ არ გინდა რამე ვუთხრა
პარმენ ლორიას? დიახ, ვეტყვი, რომ მწერალთა კავშირმა დახმარება აღ-
მოგვიჩინოს.

— მე ჩამოვალ და მაშინ ვილაპარაკოთ ამაზე.

— არა, შენს ჩამოსვლამდე მე ყველაფერს გავაკეთებ. შენ მორიდე-
ბული ყმაწვილი ხარ და დამუნჯდები. შენს მაგიერ მე ვიტყვი, მე... გული
არ გაიტეხო... აბა, ნახვამდის, მეჩქარება, დეკანი უნდა ვნახო, — და შა-
ლვამ დასამშვიდობებლად ხელი გამომიწოდა. მერე მობრუნდა და მომა-
ძახა: — მოდი ჩემს ბინაში, მე ამადა ამ ქუჩაზე ვცხოვრობ, იკითხე საშა
იოსელიანი, გინდ მე. — მერე უცებ მიბრუნდა და ფეხჩქარა გაუყვა ქუ-
ჩას. ხელთათმანიანი ხელების ქნევა ისე შვეწოდა, უეჭველად, ვილაც წა-
ბაძვდა, მიდიოდა ისე, თითქოს ლექსებს ჩურჩულებდა გულში. მისი ნა-
ბიჯების რიტმი ისე ჩამესმოდა ყურში, თითქოს ეს არის სიმებს ჩამოჰკ-
რესო, მიდიოდა ჩემი მეგობარი და გული მეთანადრებოდა...

მე რა თქმა უნდა, არ მომიცლია, დრო არ მქონია, რომ შემევლო შა-
ლვასთან ბინაში. პირობა მივეცი და ვერ აღვასრულე. ბათუმში რომ შემ-
ხვდა, მისაყვედურა, რად არ მოდი ჩემთან, ჩემს ნათესავს გავაცნობდი,
ქარგი აღამიანიაო. მერე მითხრა — მწერალთა კავშირში შევიაროთ, პარ-

მენ ლორია ვნახოთო. მე სხვაგან მიმეჩქარებოდა და უარი ვუთხარი. და-
მემშვიდობა, თანაც გამაფრთხილა, აუცილებლად მნახე ხელოვნების
მინაწერი

* * *

მინაწერი: შალვა იოსელიანს სამოცი წელი შეუსრულდა. საოლ-
ქო გაზეთის „საბჭოთა აჭარის“ რედაქციიდან მთხოვეს — როგორც ფრო-
ნტელს და შალვა იოსელიანის თანატოლს წერილი დამეწერა შ. იოსელი-
ანზე... დავეწერე და მალე კიდეც გამოქვეყნდა. რამდენიმე დღის შემდეგ
ვლებულობ წერილს. კონვერტს აწერია — თბილისი 2, მეჩნიკოვის ქუჩა
№ 3, საშა იოსელიანი. გამიკვირდა, არ ვიცნობდი ასეთ პიროვნებას. აი,
რას მწერდა უცნობი ადამიანი:

„დიდი სურვილი მქონდა და მაქვს თქვენთან შეხვედრისა, მხოლოდ
ეკრანის საშუალებით გიცნობთ და რასაკვირველია გულში ჩამწვდომია
მე თქვენი მრავალი ლექსი როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით მიძ-
ღვნილი მემედ აბაშიძეზე („გლოცავს შენი სავანე“), რომელმაც მდულარე
ცრემლი მაფრქვევია. ჩემსავით ვერავინ ჩაწვდება მის შინაარსს, ვინაი-
დან ეს ოჯახი ჩემთვის იყო ჩემი სულიერი სავანე... მეორეც, პოეტი შალ-
ვა იოსელიანი გვაახლოვებს ჩვენ. მე არ შეგაწუხებთ მრავალსიტყვებით
და გიგზავნით შალვას ლექსს, რომელიც არის დაწერილი მისი ჩემთან
ყოფნის დროს“.

უცნობი ადამიანი საშა მადლობას მიძღვნის წერილისათვის, რომე-
ლიც გაზეთში გამოვაქვეყნე მებრძოლ მეგობარ შალვა იოსელიანზე, გა-
მიკვირდა თუ საიდან წაიკითხა, საიდან მოხვდა მის ხელში გაზეთის ის ნო-
მერი. მაშინვე დაუთუკავშირდი შალვა იოსელიანის დას გალინას... და ყვე-
ლაფერი გაირკვა: საშა მათი ახლო მოკეთე ყოფილა, ეს სტატია მისთვის
გაუგზავნია გალინას... შალვა, სტუდენტობისას ამ საშას ბინაში ცხოვრო-
ბდა... და აი, ჩემს ხელთ მოხვდა სტუდენტი შალვა იოსელიანის თითქმის
ორმოცი წლის წინათ დაწერილი ლექსი. მე ხელი შევაავლე ამ ფურცელს...
და რამდენი რა მომაგონდა გულის ამაჩუყებელი, რამდენი რამ!

მომაგონდა ჩვენი შეხვედრა რუსთაველის ძეგლთან, ჩვენი საუბარი...
და შალვას მიპატიუება — იკითხე საშა იოსელიანიო. და ქუჩაც, ნომერიც
დამისახელა. ღმერთო ჩემო! ორმოცი წლის წინათ უნდა გამეცნო საშა,
ჩემი მეგობარი პოეტის უფროსი დობილი... და ახლა მისი წერილი მომ-
დის. ახლაც რომ შემხვდეს ქუჩაში, ვერ ვიცნობ...

მე თქვენ გნახავთ ძვირფასო საშა, ასე სასოებით ორმოც წელიწადს
რომ ინახავდით შალვას ლექსს, ლურჯი მელნით რომ დაუწერია, ახლა სა-
კმაროდ გაუფერულებულა ნაწერი, მაგრამ თავისუფლად წაიკითხება.. და
მე ვკითხულობ მას, ვკითხულობ პირველად და... ვაქვეყნებ.

ოთახის კარებს შევალე ცივად,
გულში ჩიტების ხმები ღიღინებს.
მაშინც კედლიდან ჩვეულებრივად
თქვენი სურათი მე გამიღიმებს.

და მეტყვის თითქო — რად ამრეზილხარ,
რამ შეგირხია ფიქრები ნეტავ?
ამ მაგიდასთან დღედაღამ ზიხარ,
ზიხარ და გულის სურვილებს კეტავ.

ეზოდან მესმის ჩუმი კამათი,
ყურს ვინ დაუგდებს, მე სად მცალიან,
თან ჩურჩულებენ ჩემს მისამართით —
ვინ არის ნეტავ? ცოლიანია?

მე ჩვეულებრივ სურვილებს ვიჭრობ
საკუთარ ლექსით, ჩემი ნაწერით,
და ცუდი რამე რომც გავიფიქრო,
თქვენი სურათი თავზე დამცქერის.

შეკერდზე შემრჩება სუნთქვა ღიღივით,
გულში ჩამწვარი ვერცხლის ჟანგივით,
კედელს ჰკიდია თქვენი ღიმილი
აფართქალეზულ ფარშავანგივით.

1936, 15 ივლისი.

ღეიღა საშა

1975, 11 მარტი. თბილისში ვარ. უეჭველად უნდა ვინახულო ქალბატონი საშა. მივიჩქარი მეჩნიკოვის ქუჩისაკენ. მარჯანიშვილის მოედანთან ახლოსაა. აი, ისიც — ნომერი სამი. ავდივარ კიბეზე. მეორე სართული. კართან ზარის ღილაკს ხელს ვაჭერ. დაბალი ტანის ქალმა გამიღო კარები, ვეკითხები, საშა აქ ცხოვრობს მეთქი. კიო, მიპასუხა, მაგრამ ამჟამად შინ არაა, სადღაც წავიდაო. რა ვუთხრათ? არაფერი, კვლავ მოვალ

მეთქი. მოგვიანებით მივედი. ქალბატონი საშა პირმლიმარედ შემომეგება, გუმანით მიცნო. ო, როგორ გაეხარდა ჩემი გაცნობა! სამოცდათხუთმეტი წლისაა, მაგრამ სიმპათიური შესახედაობის, ენაწყლიანი, მკვირცხლო უცებ გაგიშინაურებს, თითქოს დიდიხანია გიცნობს და იცნობ. მაფრთხილებს: ქალბატონი საშა არ დამიძახოთ, დამიძახეთ დეიდა საშა! კარგი, ასე იყოს მეთქი.... ჩვენ გვიანობამდე ვსაუბრობთ.

დეიდა საშას 1933 წლიდან 1938 წლამდე აჭარაში უმსახურია სხვადასხვა თანამდებობაზე. მერე კვლავ თბილისს დაბრუნებია.

დეიდა საშამ გონების თვალთ გადაფურცლა თითქმის ორმოცი წლის წინანდელი ფოლიანტები. მიყვებოდა შალვას შესახებ და თან თვალები ეცრემლებოდა.

— შალვა იოსელიანი, — მიამბობდა დეიდა საშა, — 1936 წელს ცხოვრობდა ჩემთან, თბილისში, ამ ბინაში. მაშინ იგი სწავლობდა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. — ვინ არის ეს ახალგაზრდა? — კითხულობდნენ მეზობლები. მოსწონდათ, ზოგს სიძელ უნდოდა, ზოგს კიდევ რა ვიცი... კარგი, მჭევრმეტყველი ახალგაზრდა იყო და ვის არ მოეხიბლავდა. მას ეხერხებოდა კონტაქტების დამყარება მისთვის სასურველ ადამიანებთან. ჰქონდა საოცარი ტაქტი. განათლებული ახალგაზრდა იყო და ამითაც ხიბლავდა იგი ყველას. მარტო არ მოიცდიდა. ჩემთან სტუმრად მოჰყავდა მწერლები, პოეტები. ერთხელ ვკითხე — ის მაღალი ახალგაზრდა ვინ იყო მეთქი. მიპასუხა, პოეტია, ირაკლი აბაშიძეო. როცა მარტო იყო, იგი მიუჯდებოდა მაგიდას და ლექსებს წერდა. როცა დაამთავრებდა, დამიძახებდა ლექსი უნდა წაგიკითხოო. მიკითხავდა კი არა, გალობდა; რაც არ უნდა წაეკითხა, მოგეწონებოდა. რამდენი რამ უნდა გაიხსენო ადამიანმა, ნეტავ დღიურები მეწერა, ახლა ხომ ყველაფერს ჩაგიკაკლავდი. კიდევ მიამბე რამეო? რა ექნა ჩემო მამია, რომ ორმოცი წლის წინანდელი ამბები დამავიწყდა. ჰო, ერთს კიდევ გავიხსენებ. მაშინ აჭარაში ვმსახურობდი, ბათუმის მტს-ის მთავარი აგრონომი ვიყავი. შალვა ბათუმის რადიოკომიტეტის რედაქტორი იყო. მას დაავალეს, გასცნობოდა მოწინავე მეჩაიეს აიშე, გურგენიძეს, რომელიც სოფელ ყოროლისთავში ცხოვრობდა. აიშე უკვე დაჯილდოვებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით. იყო მოსკოვშიც. შეხვედრია სტალინს, რომელსაც იგი საჩუქრებით დაუჯილდოვებია. შალვას უნდა დაეწერა წერილი აიშეს საქმიანობასა და მისი მოსკოვში მოგზაურობის შესახებ. შალვამ მე გამომიარა სამსახურში და მთხოვა გავყოლოდი ორთაბათუმში (ახლანდელ ჩაისუბანში). არ ვაწყენინე. წავედი... აიშეს ოჯახში ვესტუმრეთ. შინ დავგვხვდა ბევრი ვისაუბრეთ. შალვამ იქვე შეადგინა ტექსტი, რომელიც რადიოში უნდა წაეკითხა აიშეს. ჩვენი მისვლით გახარებულ გოგონას რაღა ექნა არ იცოდა, თავს გვევლებოდა. კარგა მანძილი ჩამოგვაცილა.

უკანასკნელად შალვა 1941 წელს ვნახე. აქ მეწვია. დაღვრემილი იყო, არ ვიცი რატომ. მეც არაფერი მიკითხავს. ლაპარაკობდა ცოტას, რაღაც აწუხებდა. მოიცა, მგონი უკვე ომი მძვინვარებდა... და რაღაც ემხიარულებოდა. მერე გავიგე ჯარში წასულა.

თვალეზზე ცრემლებს იწმენდს დეიდა საშა. წამოსვლისას გადმომცა შალვას სურათი, გადაღებული 1936 წელს. მადლობა გადავუხადე და გამოვეშვიდობე.

პატარა ქოლბა

ერთხანს შალვა იოსელიანმა მოუხშირა სატრფიალო ლექსების წერას, მივხვდით, ამ ლექსებს ადრესატი ჰყავდა, მაგრამ ავტორი გულის ხეობადს არავის უმხელდა, ლიტერატურულ საღამოებზე გატაცებით კითხულობდა ლექსებს სიყვარულზე და მისი მგზნებარე მუშის ცეცხლი ჩვენც გადმოგვედო. ჩვენც ვიღაცას ვეტრფოდით და ვთზავდით სატრფიალო ლექსებს, მაგრამ როდი გამოგვდიოდა ისეთი ცეცხლოვანი ლექსი, როგორც ეს შალვას.

— ჯერ სიყვარულს უნდა მისცე გული და მერე უნდა სწერო ლექსები სიყვარულზე, — გვეტყოდა ხოლმე ნიშნის მოგებით შალვა.

ვის ეტრფოდა ნეტავ? ვინ უკლავდა გულს პოეტს, ვინ ალაგზნებდა მის სულს პოეზიად? ინტერესმა ძალუმად გაიღვიძა ჩემშიც. როცა ვკითხე ვინ გიყვარს მეთქი, მიპასუხა, — მე ხომ არ გეკითხები ვინ გიყვარს მეთქი, შენც ნუ შემეკითხებიო, და იმის შემდეგ არაფერი მითქვამს.

შალვა იოსელიანი მასწავლებლის სახლის დირექტორად რომ მუშაობდა, ხშირად შევივლიდი მასთან და დიდხანს გვიანობამდე ვსაუბრობდით. მერე მეტყოდა გამაცილეო. ერთ საიდუმლო ქუჩამდე მიმაცილებინებდა თავს და მერე გამაფრთხილებდა — აქეთ ფეხი აღარ გადმოდგა, ეს შეყვარებულთა ქუჩაა და აქ გავლის უფლება აქვს მხოლოდ პოეტ შალვა იოსელიანს და ერთ ასულსო. ნახვამდის. ხვალაც გამომიარე! — ხელს გამომიწვდიდა და ნელი ნაბიჯით გაჰყვებოდა ქუჩას. ერთ საღამოს, როცა შალვა გავაცილე, გამომშვიდობებისას წყენით ვუთხარი: — რა ისე საიდუმლოა შენი ქუჩა, რომ მე იქ გავლის უფლება არა მაქვს? დღით გავიარე და მაინც და მაინც შენი ქუჩა არ მომწონებია, ერთი დანგრეული ქუჩაა, არსად ყვავილებს პირი არ უჩანს, შენ კი ამ ქუჩას ედემად მიხატავდი.

— ო, შენ ბრმა ხარ, ბრმა მეგობარო, — მითხრა შალვამ: — როცა მიჯნურის თვალეზს ჩაგიდგამს ღმერთი, როცა შენც მიჯნურის გულით შეხედავ იმ ქუჩას, სადაც გეგულება ის, ვინაც გიყვარს, დრგვლივ ვარდ-ყვავილები აყვავდება, და საამო სურნელით დაგათრობს... ვერ მიხვდი რას გაუბნები? კი? გწყინს, რომ აქეთ ფეხი არ გადმოგადგმევინე? აბა,

ყველას ხომ ვერ გაჩვენებ ვინც მიყვარს. სიყვარულს მალვაც შეენის. ხვალ, ზეგ გაგაცნობ... ახლა კი გამომყევინ, აბა, გამომყევინ; როცა გეტყვი, გაბრუნდი მეთქი, ნულარ დააყოვნებ.

მივყევით ქუჩას. არც ვარდი იყო და არც ეკალი. იყო ჩვეულებრივი ქუჩა.

ერთგან შეჩერდა და ერთ აივანზე მიმანიშნა: — ხედავ, აივანზე გაშლილ პეპლისფერ პატარა ქოლგას?

— კი ვხედავ.

— ჰო, იმ ქოლგაზე მე ლექსი დავწერე „პატარა ქოლგა“. ხვალ რომ ჩემთან მოხვალ, წაგიკითხავ, ვნახოთ, მოგეწონება თუ არა. თუ მოგეწონება, მაშინ ქოლგის პატრონსაც გაგაცნობ.

მერე ხელით მანიშნა — უკან გაბრუნდიო. აღვასრულე მისი თხოვნა. ერთხელ კი უკან მოვიხედე. შალვა აივნის ქვეშ იდგა გარინდებული; რატომღაც კარზე არ მიუკაკუნებია... მერე გამოტყდა, რომ იმ ღამეს არავის შეხვედრია. კარები მაგრად მიეხურა ტრფიალს და ამაყ მგოსანსაც აღარ უკადრებია მიკაკუნება.

რა მოხდა? ყოველივეს მივხვდი მხოლოდ მაშინ, როცა შალვამ წამიკითხა ლექსი „პატარა ქოლგა“. კითხულობდა ნელა, საამოდ, თითქოს ჩურჩულით ვალობდა.

პ ა ტ ა რ ა ქ ო ლ გ ა

გაზაფხულს მოსდევ შავი ზღვის პირად,
და თვალებს თითქოს აჩერებ მწყრალად,
პატარა ქოლგა ჰგავს მზესუმზირას,
მზეს ემაღები თუ ღიმილს მალავ?..

შედგები... დგება ტალღის დინებაც,
ფიქრებს გაჰყვები ფიქრთა ამაღა.
შემხედავ, უცებ, გაგელიძება...
და ჩრდილიც ღიმილს ველარ დამალავს.

აღარ შევხვდეთო, ხომ დავთქვით ასე,
დავთქვით კი, მაგრამ განა დროებით?
აბა, ამ ბაღში, აბა ამ გზაზე
რატომ დადიხარ განმარტოებით?

რატომ მოდიხარ შავი ზღვის პირად,
და თვალებს თითქოს აჩერებ მწყრალად,
პატარა ქოლგა ჰგავს მზესუმზირას,
მზეს ემალები, თუ ღიმილს მალავ?



რა თქმა უნდა, პოეტის ტრფიალი ასული ღიმილს მალავდა, რადგან, ავტორისავე სიტყვით რომ ვთქვათ, გაბუტული ვიყავითო.

მე არ ვიცი როდის შერიგდნენ ისინი... მე არ ვიცი მათი საიდუმლოებანი, მაგრამ ვიცი ვინ იყო „პატარა ქოლგის“ ადრესატი.

დღეს აღარც პოეტია ამ ქვეყანაზე და აღარც მგოსნის ტრფიალი ქალი.

ნეტარ ხსენება იყოს იმ მანდილოსნისა, რომელმაც შთააგონა მგოსანს დაეწერა მშვენიერი სატრფიალო ლექსები.

ლია ბარათი

შენ მეუბნებოდი, აჭარბებ. აბა, რაა ისეთი მისი პოეზიაო. შენ ახალგაზრდა ხარ, თავისთავზე შეყვარებული, და მართლაც რომ აჭარბებ. ჯერ ერთი, წინამდგომს, წინაპარს დაფასება უნდა, მით უმეტეს სამამულო ომის ჯარისკაცს, რომელმაც მსხვერპლად შესწირა თავი ხალხს. მერე და, შენ, და შენს ტოლებს, გგონიათ, შემოქმედებაში ისეთ სიმაღლეებს ხელი ჰკიდეთ, ლამის გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს და სიმონ ჩიქოვანს გაუტოლოთ თავი, მე ამას ვჯობნი, მე იმას ვჯობნი, მე არც ერთ ქართველ პოეტზე ნაკლები არა ვარ! — აი, თქვენი საყვარელი სიტყვები, როცა თავისთავზე ასეთი წარმოდგენის ხარ, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებას ღალატობ, ცდუნებას აპყოლიხარ და თავშეუკავებლობა დაგჩემებია. შენ ნიჭიერი ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ბევრ რამეში ცდები, რაც არ უნდა გითხრა, მაინც შენსას გაიძახი. ეს ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის ამღვრეული ქინია.

ნუთუ გგონია, რომ შალვა იოსელიანი, რომელიც ომამდე მოღვაწეობდა, შენს პოეტურ სიმაღლეებს თვალს ვერ გაუსწორებს? ალბათ ასევე ფიქრობთ ჩემზეც, სხვაზეც. იქნებ ასეთი რწმენა გაძლევს პოეტურ პათოსს, თორემ უიმედოდ ჩამოგეძინებოდა პოეზიის ნათელსვეტებიან მაღალ კიბეზე?! თვითრწმენა აუცილებელია, მაგრამ გადაჭარბებულმა გულისტქმამ არ უნდა აგიტანოს, მოუმწიფებელ ფიქრებს სადავე უნდა მოსდო. ხომ გაგიგონია, თეთრსა და შავსა ღვინოსა, განა ერთფერად სმა უნდა, ენაზე მოსულ სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდაო. ერთი ეს მით-

ხარი, რამდენი წლისა ხარ? ოცდახუთის? ოცდაშვიდის? ოცდაცხრის? შალვა იოსელიანი ოცდაორი წლის ახალგაზრდა იყო, როცა პირველი კრებული გამოსცა. აბა, თვალი გადაავლე ამ კრებულს! ასე უშუალო და ასე მელოდიურია შენი ლექსები? შალვას ლექსების ღირსება ისიცაა, რომ ცხოვრებისეულია. ავტორი ფხიზლად იხედება ცხოვრების შუაგულში და ისე ქმნის თავის პოეტურ ქმნილებებს. მისი ყოველი სტრიქონი ავტორისეული ხელწერაა. აბა, ახლა დაუკვირდი შენს სტრიქონებს. „შენი ზოგი ლექსი მწიგნობრულია. ზოგიერთი სტრიქონი ამა და ამ პოეტების სტრიქონებს მაგონებს. აი, ეს სტრიქონი შენეული არაა, ეს მეტაფორაც სხვისია. რად გინდა ეს. არ სჯობია შენი იყოს და თუნდ სუსტი? ზოგი შენი ლექსი ხელოსნურია. არა, უნდა იყო ნამდვილი ხელოვანი, უნდა სწერო იმაზე, რაც შენს სულსა და გულშია გამჯდარი“, — ასე გეტყოდა შალვა იოსელიანი ახლა ჩვენთან რომ ყოფილიყო. იგი მოუბრუნებელი, პირდაპირი იყო და ნამდვილად ასე გეტყოდა, დაგარიგებდა, გასწავლიდა, შენ დამუწვდებოდი, ან და რა გექნებოდა სათქმელი!

მოდით, ჯერ გავიხსენოთ პოეტის ბიოგრაფია, პოეტის დამ გალინამ მოკლედ ასე გადმოგცა ძმის ბიოგრაფია: ჩემი ძმა შალვა დაიბადა 1914 წლის 22 ივლისს წყალტუბოში. მამა ალექსანდრე 1919 წლიდან მუშაობდა ზეინკლად ბათუმში. დედა აგრაფინა დიასახლისი იყო. შალვამ 1935 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელსვე სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. შალვას უმსახურია სხვადასხვა თანამდებობაზე: აჭარის რადიომათუწყებლობის კომიტეტში ლიტერატურულ გადაცემათა რედაქტორად, აჭარის ხელოვნების კომიტეტის განყოფილების გამგედ და უკანასკნელად ბათუმის განათლების სახლის დირექტორად, საიდანაც 1941 წლის სექტემბერში მოხალისედ წავიდა ფრონტზე. უკანასკნელი მისი წერილი, რომელიც ოჯახს ამჟამად ერთ-ერთ რელიქვიად შემორჩა, გამოგზავნილია ქერჩიდან 1942 წლის 11 აპრილს.

შალვამ პირველი ლექსი დაბეჭდა 1934 წელს გაზეთ „ახალგაზრდა ლენინელში“, 1937 წელს გამოიცა მისი პირველი კრებული „სიმღერები“, 1939 წელს — უფრო მოზრდილი კრებული „ლექსები“, ხოლო შემდეგ პოემა „დაბრუნება“.

ახლა, ვნახოთ, როგორ შთაბეჭდილებას სტოვებს კრებული „სიმღერები“, რომლის ავტორი მაშინ ოცდაორი წლის იყო. ამ ლექსთა უპირველესი ღირსებაა უშუალობა და მელოდიურობა, თითქოს გალობს პოეტი, ხოლო მის გულში სიმები ირხევია და საამო ხმებს გამოსცემენ. მოუხმოდ პოეტის ამღერებულ გულს:

და ამ დილით ისევ, გგონებ,
 მზე მომიქნევს ოქროს ხმალს,
 ჩამოვუტან ამ გოგონებს
 ჩვენი ქვეყნის ფორთოხალს.
 ვეტყვი ამბავს, ლექსს უთბილესს,
 იავნანინასთანას,
 ვეტყვი კიდევ: ეს ლუთბიემ
 თქვენთან გამომატანა. („მთაში“)



ბათუმზე მიძღვნილ ლექსში ვხვდებით კეშმარიტ პოეტურ სტრიქონებს:

ამიხმაურდი ზღვაო, კრიალავ,
 როგორც ტალღებში ნათქვამი ლექსი,
 ხესთან დამხვდება თვალეცქრიალა
 და გაყვითლებულ ფორთოხალს მესვრის.

შეიძლება პირდაპირ ჩანგზე დაამღერო პოეტურად, ლაკონურად, მელოდირად და ფერადოვნად ჩამოქნილი ლექსები: „ფორთოხლების ქარავანი“, „გაზაფხული აქარაში“, „სიმღერა ფორთოხლებში“, „დიდაქარის დილა“, „ვარუდილა“ და სხვა. აქ თავისი მაჟორული ტონით, დინამიურობით, ვაჟკაცური შემართებით ყურადღებას იპყრობს ვრცელი ლექსი „გმირი ვაჟას მთიდან“. მახსოვს, ავტორმა დაბეჭდვამდე, ერთ-ერთ ლიტერატურულ სადამოზე წაიკითხა. იმდენი ტაში დაუკრეს, რომ მერე მე ველარ გაგბედე გამოსვლა. ეს ლექსი 144 სტრიქონია და ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, ასხლეტილი სტრიქონები ერთმანეთს რაკრაკით მისდევენ და არასოდეს დაგზარდება ბოლომდე წაკითხვა. აქვე მინდა აღვნიშნო ის, რომ შალვა იოსელიანს ზარივით წკრიალა ხმა ჰქონდა და ლექსს გალობასავით კითხულობდა, მსმენელი აღტაცებაში მოჰყავდა. ლექსს კითხულობდა რხევა-რხევით, ხელების იმიტაციით. მოხდენილი და ლამაზი, კარგადაც მოსაუბრე ახალგაზრდა იყო. მალე ისეთი დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ტრიბუნაზე მის გამოჩენას ოვაციებით ხვდებოდნენ. მართო ამ ლექსით „გმირი ვაჟას მთიდან“ იგი გვერდით ამოუდგა ქართველ მოწინავე ახალგაზრდა პოეტებს მირზა ხელოვანს, ლადო ასათიანს, ალექსანდრე საჯიას და სხვებს.

შალვა და მე ახლო მეგობრები ვიყავით. არ იყო ისეთი დღე, რომ იგი არ მენახა. ყოველ ახალ ლექსს მე წამიკითხავდა. ვგრძნობდი, რომ

შალვა ყოველ ახალ ლექსში იზრდებოდა; ეს ჩემზეც გავლენას ახდენდა, მეც ვცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი მეგობარს.

შალვას ლექსების მეორე კრებული უფრო მეტ ინტერესთა არეალს მოიცავს; ჩვენ გვესმის პოეტის უფრო მომწიფებული და ლალი ხმა, ძლიერი პათოსით რომ არის გაჟღენთილი, რომელი ლექსი გინდა დაასახელო და განიხილო! აქ თითქმის ყველა ლექსი გიზიდავს პოეტური შესრულებით, ჩანაფიქრის სიღრმით, პლასტიკურობით. პოეტის ერთ ლტოლვაზეც გვინდა მივანიშნოთ. იგი თითქოს ფერმწერია, პოეტური სიტყვით სურათმხატველია. შეიძლება ვუწოდოთ მას პოეტი-მხატვარი. პოეტს ძალიან ეხერხება ხატვა. იგი თითქოს დგას გაშლილ ველზე, ხელში ფუნჯი უჭირავს და ხატავს გატაცებით, თეთრ ტილოზე მწყობრად ჯდება ფერები, ერთმანეთში ჩაქსოვილი. მოვიტან მხოლოდ ერთი ლექსიდან ნაწყვეტს: „...აშიშვლებულ პალმის ხანჯლებს დაფრქვევია სირმა, აბრეშუმის ფერად ნაჭრებს, როგორც ბროლის წვიმა, ტალღის შხეფი ესხურება დაფრქვეული წამით... ბინდი ხეებს ეხურება თალხი მოსასხამით. ზღვას ხომალდი მოიფარებს, შიგ ვარსკვლავი ღვივის. მთის კალთაზე ჯდება მთვარე და ვერ მალავს ღიმილს, თუმცა ჭრელი ჩაბალახით პირს აიხვევს ზოგჯერ, — და პერანგას გრეხილებში დაიმუხლებს ორჯერ“... ასეთი ფერწერა ბოლომდე გასდევს ლექსს. ამ რიგის ლექსთა შორის უფრო ყურადღებას იპყრობს „აჭარული პეიზაჟი“. ეს ლექსი ფერთა მუსიკაა, მოწკრიალე სიმებია მძინარე სულს რომ გააღვიძებს და მუსიკის ნარნარ ხმათა რიტმით აავსებს. „აჭარული პეიზაჟი“ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ და შალვას მეგობრებს გული აუფართქალა. ყველას მოეწონა ეს ლექსი და ავტორს უსურვეს შემდგომი გამარჯვებები პოეზიაში.

ლირიკული ტკბილი ტემპრით შემოდის ჩვენს სულში პატარა ლექსი „პალმა“. იგი დიად ახალ დღეთა მუსიკალური ჰიმნია: „ახლა ეს ლექსიც ანთებულია, ქარი ათრთოლებს ვარდის კონებს შადრევნებიანს, და თითქოს ლექსიც თანდებულია, პალმაც მგზავრივით ამ სტრიქონებს ასდევნებია. ბედნიერება ჩამომისახლდა, ანთეთ ლექსი, სიყვარული და სიმღერები! ოი, რამხელა ოცნება ახდა! დავკრიფავ ტრფობის ფერად ყვავილებს და თვითონ ლექსად დავიწერები!“

რამხელა სიბრძნეა ჩადებული ლექსში „ბავშვი!“. ბავშვის ონავარ სულს რა შეედრება! იგი მოუღლეელია, მზარდია, გაფუჭრქენის პროცესშია. ამიტომ შენატრის ბავშვის ბედნიერებას პოეტი. ბავშვმა თითქოს იცის ის ენერგია, რაც მის სულშია მიმალული, და თანდათან ძალუმად თავს იჩენს, ამიტომ ასე თამამად გაეხმიანება პოეტს: „მე დაგეწევი და შენ კი ვერა“.

შალვა იოსელიანის შემოქმედებაში ორი ძლიერი მოტივი იჩენს თავს — პატრიოტული და სატრფიალო. ეს ორი მოტივი მის კრებულს

შთაბერავს დიდ ემოციურ ძალას და ჩვენს გულს იპყრობს.

პოეტის გული ძალუმად ძგერს სამშობლოს სიყვარულით, მისი სულის ყველა სიმი სამშობლოს უგალობს. პოეტი სამშობლოსათვის ცოცხლობს, მას ეფიცება და ეალერსება: „სამშობლო მიწავ, მზე შინ, მზე გარეთ, აგნთებია და გამოსავს ვარდობა, შენ შემოგვევლოს ჩემი მგზნებარე და ვაჟკაცური ახალგაზრდობა“ („ახალგაზრდობა“). დედა და სამშობლო მისთვის ერთნაირი მაგიური და ღვთიური ცნებებია: „ბედნიერი ვარ, კვლავ ასე გხედავ, ზრუნვით დამდეგ და გული არ ობლობს, მე დღეს სამშობლოს ვეძახი დედას, თქვენ შემოგვევლეთ — შენ და სამშობლოს!“ მისი ყოველი ლექსი სამშობლოზე წმინდათაწმინდა ფიცია ახალგაზრდა კაცისა.

გჯერა ამ ფიცისა.

დღეს სინანულით ვიგონებ შენს ამ სტრიქონებს ჩემო საყვარელო მეგობარო: „თუ დაგჭირდეს, მაინც ვინძლო, — და მოადგეს მტერი კარებს, ჩემო დედავ, ჩემო ღვიძლო, ჩემი მკერდიც გადიფარე“.

და როცა შავბედი დღე გაუთენდა ჩვენს ქვეყანას, როცა ფაშისტმა ტირანებმა ჩვენი სულის ტაძრებს ყუმბარები დააყარეს, შენც მებრძოლთა რიგებში ჩადექი შენი ნებით, მოხალისედ. შენი იმდროინდელი ლექსები, „მოქმედი არმია“ რომ აწერია, მრისხანე გულით დაწერილი სტრიქონებია, ამბოხი სულის ამოძახილია: „ახლა, ძვირფასო, ბრძოლა გვჭირია და შაშხანაზე ფიქრთა განდობა, ბრძოლების შემდეგ უფრო ტკბილია სიყვარული და ახალგაზრდობა“.

და მე ახლა წინ მიდევს შენი ფრონტული წერილი. ამ წერილში ჩანს შენი სათუთი გული, შენი მოყვასი გული, შენი დიდი ადამიანობა. შენ ეს წერილი შინაურებს გამოუგზავნე და არც კი გინდოდა ყველა იმ დეტალის საჯაროდ გამხელა, რაც ამ წერილშია... და მაპატიოს შენმა წმინდა სულმა, რომ მე იგი აქ მთლიანად უნდა მოვიტანო, ხალხს უნდა გადავცე...

„სალამი დედა, პაპა, გალინა, ლიდა, გუგული, თინა, მარო, გიორგი და სხვ.

იმედია კარგად ხართ; კარგადაც უნდა იყოთ. მე კი კარგადა ვარ, ნიავიც კი ვერ მეკარება, სროლა ბავშვების თამაშად მეჩვენება; ომი და ბრძოლა შორიდან უფროა საშიში, ვინემ ახლოს.

ჩემზე არ იდარდოთ. მე კი სიტყვა მომიცია, რომ ამ დიად სამართლიან ომში სირცხვილს არ გაჭმევთ მშობლებს, ნათესავებს, ამხანაგებს. უკანასკნელი არასდროს ვყოფილვარ და არც ამ დიად დღეებში ვიქნები.

მე გამოვიგზავნეთ ფული ათასი მანეთი (1000). გიორგის გამოვუგზავნე ორასი მანეთი (200). თუ არ მიგიღიათ, ალბათ მიიღებთ. ფოსტაში მიაკითხეთ. ფულს მე კიდევ გამოვგზავნი, ხოლო შემდეგ ჩემი ხელფასიდან 450 მანეთს მიიღებთ სამხედრო კომისარიატიდან ყოველ თვეში, დანარ-

ჩენი მე დამრჩება. ძალიან მაინტერესებს მიიღეთ თუ არა კოსტიუმი ჩემი, რომელიც მე გამოგვზავნე ბაქოდან, როცა მოსკოვში მივდიოდით მომწერეთ.

ჩემთან არის ჯანელიძე კლიმენტი; ბათუმიდან ბევრია. მოიწერეთ რა არის ახალი, ვინ მოკვდა, ვინაა ცოცხალი.

ამ დღეებში გამოგვიგზავნით სამხედრო კოოპერატივზე მისამაგრებელ ტალონს.

ნეტავი სად არის თინა?

გალინა ხომ მსახურობს?

მომწერეთ ყველას ამბები.

ჩემი მისამართი:

Полевая почтовая ст. 210, 160 стр. полк, 2^{оо} батальон, 6-ая рота.

თუ ნახოთ პარმენ ლორია ან ნესტორ მალაზონია, გადაეცით ჩემი მისამართი. მე მათ მივწერე წერილი და პასუხს თუ მომწერენ კარგია. ნახვამდის.

თქვენი შალვა იოსელიანი.

2 აპრილი, 1942 წელი“.

ეს იყო და ეს...

შენ სად იბრძოდი და მე სად ჩემო მეგობარო!

შენ ქერჩში იბრძოდი — კომისარი, ჯარისკაცთა სულის მწვრთნელი. მე ვიბრძოდი ჩრდილო კავკასიის მისადგომებზე, როგორც სერჟანტი-ჯარისკაცი. ჩვენ სამშობლოს შევფიცეთ — ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე... და ჩვენ აღვასრულეთ ეს წმინდათა წმინდა ფიცი.

* * *

შალვა იოსელიანის სატრფიალო ლირიკა გამიჯნურებული პოეტის წმინდათა წმინდა გალობაა. პოეტის სატრფიალო ლექსებს ადრესატი ჰყავდა... და ვინც იყო იგი, ავტორის ჩემთვის შეფარვით გაუმყდებელია. უსიყვარულოდ შეიქმნებოდა განა „პატარა ქოლგა“ და სხვა? არა, ეს სტრიქონები შექმნილია გულზე ცეცხლმოდებული კაცის მიერ. ავტორი ერთ-ერთ ლექსში გვამცნობს, რომ ჯერ კიდევ პატარას, სკოლის ბავშვს

სიყვარული შეპარვია და მარადისად დამკვიდრებულა მის სულში. იმ დღეთა მოგონება მასში უკვდავია, რადგან წრფელი უმწიკვლო ყმაწვილის გულმა რაც განიცადა, მერე ცხოვლად დააჩნდა.

მგოსნის სიყვარული წინააღმდეგობებით არის აღსავსე, და იგი ზოგჯერ გულისმომკვლელად ეხმიანება თითქოს შორს მყოფ სატრფოს. აბა, ზხვას რას უნდა გვაუწყებდნენ ეს ნაღვლიანი სტრიქონები? „გემშვიდობები, ამ ცოტა ხნით გემშვიდობები“.

მე ახლა ვკითხულობ ამ სტრიქონებს და გული სევდით მევსება. მაგონდება, ბევრი რამ მაგონდება. მეც ვიყავი თანაზიარი მისი ფიქრებისა, მეც განვიცდიდი მეგობრის სიხარულსაც და მღელვარებასაც, თანაც მეც მიწოდდა მყოლოდა სატრფო და შალვასავით აღმომეტქვა სიყვარულის საგალობლები..

ახლა ორიოდ სიტყვა პოემა „დაბრუნების“ შესახებ.


ავტორს ეს ნაწარმოები რატომღაც არ ჩაუთვლია ჭეშმარიტ პოემად და მისთვის „ამბავი“ შეუტრქმევია. ნაწარმოები, რომელიც აჭარის წარსულ დუხჭირ ცხოვრებას ასახავს, კარგადაა შეკრული, მისი კოლიზია საინტერესოდაა გახსნილი. აქ თანდათან წარმოჩნდებიან კეთილი და ბოროტი ძალები და თანდათან გროვდება მათ შორის წინააღმდეგობანი. ერთის მხრივაა ბარათალი და მისი შეყვარებული გოგო გულფიქალი და ავნი, გულფიქალის ძმა, მეორეს მხრივაა ნაძირალები — ზაბით ოსმანოღლი და ყადირბეგი. ბარათალი ობლობაში დავაჟკაცდა, შვიდ წელიწადს სადღაც მწყემსობდა, მერე დაუბრუნდა მამის კერას, შეარჩია კარგი საწისქვილე და იშენებდა წისქვილს. უყვარდა თანასოფლელი გულფიქალი. ქალსაც უყვარდა ვაჟი. მაგრამ ქალ-ვაჟთა შორის ბოროტი ძალად გაისრიალა ზაბით ოსმანოღლი. შეშურდა ბარათალის საწისქვილე და ყადირბეგი წააქეზა, მას დაესაკუთრებინა იგი. ამასთან თვალი დაადგა გულფიქალს. მაგრამ ბარათალი არც ერთს დასთმობდა და არც მეორეს. ამის შედეგად თანდათან გაღრმავდა ამ ორ დაპირისპირებულ ძალთა შორის წინააღმდეგობა, რაც ფაქტიურად სოფლად კლასთა ბრძოლას გვაუწყებდა. ბოლოს ბარათალი იძულებული გახდა ფირალად გავარდნილიყო და ბოროტი ძალების წინააღმდეგ აღეშრათა მახვილი. ასეც მოხდა. არსებული ზელისუფლება მხარს უჭერს ბოროტ ძალებს, ხოლო სოფლის მშრომელი მოსახლეობა ბარათალს ემხრობა. მამაცი ახალგაზრდა ბარათალი ბოლოს მარცხდება. მას შორეულ მხარეში ასახლებენ.

მაღალნიჭიერადაა დაწერილი ბოლო თავი „მეწისქვილესთან“. ავტორი კი არ წერს ამ თავს, არამედ თითქოს ფუნჯი უჭირავს და ხატავს, ქსოვს ფერად, წარმტაც ხალიჩას. ეს მეწისქვილე იგივე ბარათალია, სახელოვანი მეწისქვილე, მკერდზე ორდენი რომ უბრწყინავს..

ასეთ ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს ჩვენზე შალვა იოსელიანის

ემოციური პოეზია... და გენანება, რომ ამ მაღალნიჭიერმა მგოსანმა სად-
ღაც ბრძოლის ველზე ჰპოვა სამარადისო სასუფეველი.

ნეტარ ხსენება იყოს შენი, ძვირფასო მეგობარო!



როცა იქნები თბილისში სტუმრად...

როცა თბილისში სტუმრად იქნები, არ ნახავ განა მთაწმინდას? არ
ნახავ განა დიდუბეს? როცა გაივლი რუსთაველის პროსპექტზე, განა არ
ახედავ შენ ქართლის დედას?

როცა იქნები თბილისში სტუმრად, მიდი, მიჰყევი მაჩაბლის ქუჩას...
ცამეტ ნომერში შეაღე კარი. ეს მწერალთა სასახლეა საქართველოსი, ეს
ტაძარია პოეზიისა, ეს ტაძარია საქართველოსი. აქ ადრიონენ, ამ კიბეებზე
გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი; აქ დადიონენ ნიკო ლო-
რთქიფანიძე, მიხეილ ჭავჭავაძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქოქოძე,
ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე. მარცხენა კარით, შენ გახვალ
სკვერში, სადაც ხალხის მტრებისაგან შეძრწუნებულმა პოეტმა პაოლო
იაშვილმა გულში იძგერა ტყვია. აქ სუროთ მოსილ კედელთან ახლოს
აღმართულია მარმარილოს დაფა. შენ აქ წაიკითხავ ძვირფას სახელებს,
ამოკვეთილს: მირზა გელოვანი, შალვა იოსელიანი, სევერიან ისიანი, ვლა-
დიმერ უბილავა, გიორგი ნაფეტვარიძე...

ისინი დაეცნენ ბრძოლის ველზე დიდ სამამულო ომში.

ისინი იყვნენ ჭაბუკი პოეტები ახალი საქართველოსი. მე ახლოდან
ვიცნობდი სევერიან ისიანს, ვლადიმერ უბილავას... ხოლო შალვა იოსე-
ლიანი და მე თანაშემზრდილები ვართ, ერთად ვიზრდებოდით, ერთად და-
ვვაჟკაცდით, ერთად ვეძებდით პოეზიის საიდუმლოებებს. ამიტომ ჩემს
სულში ირხევა რაღაც მძიმედ და მოგონების სევდით მევსება სული.

მე ხშირად ვფიქრობ ომში დაღუპულ ძმებზე.

მე ხშირად ვფიქრობ ბრძოლის ველზე განგმირულ მეგობრებზე.

მე ხშირად ვფიქრობ შალვა იოსელიანზე, რომელიც პოეზიის სახე-
ლოვანი ჯარისკაცი იყო. შალვამ ერთხელ ასე უთხრა პოეზიით გატაცე-
ბულ ამხანაგებს: — მე რომ ვიცოდე, ვერაფერს გავაკეთებ პოეზიაში, ახ-
ლავე თავს მოვიკლავო.

ამ სიტყვებში ძალუმად იგრძნობა პოეტის რაინდული სულის რხევა-
იგი ჭეშმარიტად რომ რაინდი იყო. მას ვაჟკაცური ხმების პოეტს ვეძებ-
დით. მისი ლექსები მაჟორულია და ბრძოლის ველზე გაჭრილ ჯარისკაცს

კვავს. იგი დღეს საქართველოში ტოლს არ დაუდებდა არავის. დღეს შალვა იქნებოდა ერთ-ერთი სახელოვანი პოეტი საქართველოსი.

მაგრამ იგი წავიდა სახლიდან 1941 წელს.. მეც წავედი..

ჩვენ ვნახეთ ომის საშინელებანი, ხოცვა-ჟლეტა, ჩვენ მოვისმინეთ დაჭრილთა კვნესა-გოდება... ჩვენ ვნახეთ გადაბუგული სოფლები, ოჯახები.. და ვინ იცის რა არ ვნახეთ.. ჩვენ ვიბრძოდით გამარჯვებისათვის... და ეს გამარჯვება მოვიპოვეთ ტანჯვით და წამებით, სისხლით, ოხებით, გოდებით, შემართებით...

მე დავუბრუნდი ჩემს ოჯახს, შალვა იოსელიანი კი — არა. და ომის გრძელ გზაზე გაწვა მოლოდინის შავი ლანდი.. დედები ელოდნენ შვილებს, ელოდნენ. შალვას დედაც ელოდა შვილს.

ჰგოდებდა დედა პოეტისა.

ვინ გაუძლებდა ომში დაკარგული ვაჟკაცის დედის გოდებას... და მე ძალიან მიმიძიმა, მიჭირდა შალვას დედასთან შეხვედრა. საბრალო დედამ შვილის ახლად გამოცემული წიგნი რომ მაჩუქა, წააწერა გულით აღმონათქვამი სიტყვები: „ჩემი შალიკოს გულითად მეგობარს, ჩემს მამიას! ამ ლექსების ავტორის დედისაგან“. აგრაფინა იოსელიანი. 20/IX 60. ქ. ბათუმი“.

მე ვფიქრობ ხშირად... მე ვფიქრობ ახლაც... მე ვფიქრობ ჩემს მეგობარ მეომარ პოეტზე, რომელსაც სამოცი წელი შეუსრულდა. მე ვხედავ მის სახებას, მის აჩრდილს, აი, კიდევ გამოჩნდა.. აი, თითქოს... ჩემსკენ მოდის, თითქოს.. მომიახლოვდა. მიცნო. მომესალმა...

— გამარჯობა მამია!

— ო, გაგიმარჯოს შალვა! სად იყავ აქამდე მეგობარო? ბიჭო, რახანი გასულა მას შემდეგ, რაც შენ ჯარში წახვედი. სად იყავ აქამდე? შენ ხომ გელოდნენ... შენ ხომ გელიან...

— მე მოველ, მოველ ჩემო მამია. მე ისევ დავუბრუნდი ჩემს ბათუმს, ჩემს აჭარას. მე ისევ დავუბრუნდი ჩემს პოეზიას, — ისაა ჩემი სიცოცხლე. აი, ხედავ, საველე ჩანთა სავსე მაქვს ლექსებით. ხვალ მოდი ჩემსას. ცოტა დავლიოთ დედაჩემის დაწურული ღვინო, და მერე წავიკითხავ ჩემს ახალ ლექსებს, ვიდრე არ მოგწყინდება.

— კარგი ჩემო შალვა, კარგი... მაგრამ ახლა მე მინდა წავიკითხო ლექსი, რომელიც დედაშენს და შენ მოგიძღვენი წავიკითხო?

— კი.

მე გადავფურცლე ჩემი კრებულის „ლოდოსის“ 116-ე გვერდი და ვიწყებ კითხვას. იგი მისმენს, იგი დუმს, მე კი ვკითხულობ...

შენი შვილიყო, დედავ, დღეს გავიხსენო მინდა...
ერთად ვიყავით, ერთად, დარი იყო თუ წვიმდა;

ლექსებს მივანდეთ გული, გულს ვითუთქავდით ლექსით,
მისი ზარის ხმა თითქოს მე ახლაც, ახლაც მესმის.

აჭარის ცის ლაქვარდი და მქუხარება ჩქერთა,
მან მიიხვეტა და თქვა: — ჰანგებიო ჩემოთა,
და ტალღასავით ჰქუხდა... და ღელესავით ჩქეფდა.

ვეჯიბრებოდით ურთერთს,
ამას რად უნდა მალვა,
რომ ოქროს კვერთხი ეპყრა, და ყველგან ჰქუხდა შალვა...

უცებ გაგვყარა ომმა ძმებივით შენაზარდნი,
და მოეკვეთა ფრთები ჩვენს ოცნებას და წადილს...

როცა ომიდან მოველ, მოგინახულე დედავ,
შემომეხვიე ყელზე, გახრჩობდა მძიმე სევდა.

დაგაიმედე: დედი, არ დამანახო შავი,
რომელი ტყვია მოჰკლავს მგოსანს და იმის შაირს!
ნუ სტირი ჩემო დედა,
ო, მოიშორე შავი!

თითქოს გახსენი წარბი, აღმოთქვი ჩუმი ოხვრით:
— იმედით ვცოხლობ, შვილო, მაგრამ კი ჯავრი
მომთხრის! —

შალვას მაგიერ მის წიგნს შენ იხუტებდი გულში.
წავიდა ომში მაშინ, თითქოს წავიდა გუშინ.

წავიდა ისე ლაღად, წავიდა წმინდა ფიცით,
ომის ქარცეცხლში ჰქუხდა,
შალვა რა იყო, ვიცით.

და რომ გვეყოლოდა შალვა, შენი სული და სუნთქვა,
გესტუმრებოდი ხშირად, შენ გაგვიშლიდი სუფრას.

და რომ გვეყოლოდა შალვა, ძმა-მეგობარი ჩემი,
ამას რად უნდა მალვა, — არ გექნებოდა ცრემლი,
არ გექნებოდა ჯავრი, სიკვდილამდე რომ გკლავდა,

სევდამ წაგართვა ჯანი,

წაგართვა რაც გიყვარდა...

და დაგრჩა მხოლოდ წიგნი, მას იხუტებდი გულში
წავიდა, ჰაი, როდის! შენ კი გეგონა — გუშინ..

ალარ ეტრფოდი ცისკარს, შენს სულში იწვა ბინდი,
იქნებ გინდოდა ადრე დანებებოდი სიკვდილს.

სევდა-გლოვაში ჩუმად შემოგეპარა ისიც...

და სადღაც, სადღაც თითქოს შალვას გოდება ისმის:

— დედიკო, ჩემო დედავ, ჩემო ლოცვავ და ფიქრო,
სახლში ვბრუნდები, შენ კი სიცოცხლე რამ ჩაგიქრო,
დედავ, დედიკო, ტკბილო, ჩემო სულო და ფიქრო! —

მაგრამ არსად ჩანს შალვა, სად დაიფერფლა, ვინ თქვას,
მოველ ძმაცაცის ფიცით და შენი შალვას ხმითა,
მინდა გიტირო დედავ;

შენ განა მარტო შალვას, ჩემიც იყავი დედა,
ჩემშიც დაანთე ცეცხლი, ჩემშიც დატოვე ელდა.

აქ გულნათელი იყავ, იქაც ნათელი გედგას,
ჩემი მეგობრის დედავ,
დედაო, მგოსნის დედავ!..

უცებ აღმოხდა გოდება შალვას: — ნუთუ ალარ მყავს დედიკო ჩემი!
ნუთუ ველარასოდეს ველარ ვნახავ მას. ჩემი სიკვდილი როდი მადარდებს.
მე ის მიკლავს გულს, დედაჩემი რომ აღარაა ამ ქვეყნად. ვახ, დედაჩემო,
— ამოიგვნეშა შალვამ... მე ვუსმენდი, იგი ჰგოდებდა ისე, თითქოს გუ-
ლი მისი ამოფრენას აპირებდა. მე მზარავდა მეგობრის გოდება. ვანუგე-
შებდი, მაგრამ არარა ესმოდა მას. შემდეგ უცებ მოსწყდა ადგილს, მოს-
წყდა ადგილს და თითქოს გაფრინდა, ალბათ დედის საფლავის მოსანახა-
ვად... მეც გავეკიდე გაშმაგებულ მეგობარს.. მაგრამ კი უცებ გავეხლარ-
თე ძეწნის ძლიერ და ხშირ ტოტებში.. დამსუსხეს სახე მჭრელმა ფოთლე-
ბმა... გამომაფხიზლეს ფიქრის მორევში ლამის ყელამდე ჩამდგარი უცებ...

სკექდა და ქუხდა, და მოდიოდა შხაპუნა წვიმა, ბუჩქთა შორის მი-
იწეოდა ღვარი ძლიერი.. აწვიმდა ძეწნას... ძეწნას, რომელიც იდგა
მგლოვიარედ ომში დაკარგულ შვილის დედასავით, იდგა და ჰგოდებდა..
მაწვიმდა მეც შხაპუნა წვიმა და ვსველდებოდი ყელამდე... მე მაინც არ

მეშვებოდნენ ფიქრები ომში დაკარგულ ჩემს სასიქადულო მეგობარზე
შალვა იოსელიანზე. თვალწინ დამიდგა მაჩაბლის ქუჩა, ნომერი ცამეტი.
მწერალთა სასახლე. პატარა სკვერი. სკვერში აღმართული მარმარილოს
დაფა... და მე ვკითხულობ ჭაბუკ მგოსანთა ძვირფას სახელებს ბრძოლის
ველზე რომ დაეცნენ სამშობლოსათვის და ჭაბუკები დარჩნენ მარად. კუ-
რთხელ იყოს თქვენი სახელები ჭაბუკო მგოსნებო, თქვენ არასოდეს და-
გივიწყებს სამშობლო, თქვენ არასოდეს დაგივიწყებს მშობელი ერი.

კურთხელ იყავით ომში დაცემულ მგოსნებო, კურთხელ იყავით!

კურთხელ იყავი ჩემო მეგობარო მგოსანო, მამაცო ჯარისკაცო
შალვა!

მთა ქუჩიძე

მეი და ლიტერატურა

„წმინდა ხელოვნების“ მიმდევარ-
თა ესთეტიკური პრინციპი „რო-
ცა ზარბაზნები ქუხს, მუზა დუმს“
არაერთხელ უარყო ცხოვრებამ,
მაგრამ მისი სიყალბე და უსაფუ-
ძვლობა განსაკუთრებული ძალით
წარმოაჩინა დიდმა სამამულო
ომმა. ეს იყო უმძიმესი პერიოდი
კაცობრიობის ისტორიაში, როცა
წყდებოდა არა მარტო ჩვენი სო-
ციალისტური სამშობლოს, არა-
მედ მთელი მსოფლიო ცივილი-
ზაციის ბედიც. ასეთ დროს მუ-
ზის დუმილი აშკარა ღალატი,
მკრეხელობა იქნებოდა და შთა-
მომავლობა არავეის და არასოდეს
არ აპატიებდა მას. და თუ თითქ-
მის ოთხწლიანი ომის მსვლელო-
ბაში ქვემეხების გრიალს თან ერ-

თვოდა „სიტყვის ქუხილი“, ეს
იყო სავსებით კანონზომიერი, ბუ-
ნებრივი პროცესი. ჩვენი დიდი
პოეტის გალაკტიონის ცნობილმა
მოწოდებამ „დავდგეთ იქ, სადაც
ქარიშხალია და სისხლიანი დვას
ანგელოსი“ ომის წლებში ახალი
ძალა, ახალი სიცოცხლე შეიძინა
და თითოეული ქართველი ლიტე-
რატორისა თუ ხელოვნების მუშა-
კის დევიზი, მათი ცხოვრების ში-
ნაარსი და მიზანი გახდა. ბრძო-
ლის ველი ყველგან იყო—ფრონტ-
ზეც და ზურგშიც და იგი ყველას
უხმობდა, ყველასაგან მოითხოვ-
და წვლილს: სხვაგვარად შეუძ-
ლებელი იყო ძლიერი და ვერაგი
მტრის დამარცხება, მისი უკუგ-

დება და საკუთარ ბუნაგში განადგურება.

კომუნისტური პარტიის მოწოდებას „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“ საბჭოთა ხალხმა უპასუხა მასობრივი გმირობით ფრონტზე თუ ზურგში. მარტო საქართველომ შვიდასი ათასზე მეტი რჩეული გაჟჟატი მისცა მოქმედ არმიას. მათი ადგილი ზურგში დაიკავეს ქალებმა, მოხუცებმა და მოზარდებმა. ქვეყანა, ხალხი ცხოვრობდა მხოლოდ ერთი ინტერესით — არათუ შესაძლებელი, შეუძლებელიც კი გაეკეთებინა მტერზე გამარჯვებისათვის. ბევრმა მწერალმა, ხელოვნების მუშაკმა იარაღი აიღო ხელთ და მაცურად იბრძოდა ფრონტზე. მათ შორის იყვნენ მამია ვარშანიძე, შალვა იოსელიანი და სხვები. ისინი ფრონტზეც არ ივიწყებდნენ თავიანთ მოწოდებას და ტყვეების ზუზუნში ქმნიდნენ გამარჯვების რწმენით შთაგონებულ პატრიოტულ ლექსებს.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში მხატვრული სიტყვა ხიშტს გაუტოლდა და მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის საბრძოლო არსენალში როგორც მტერზე გამარჯვების მძლავრი სულიერი იარაღი. ლიტერატურა შეგნებულად ჩადგა ხალხის, პარტიის სამსახურში და თავისი ნებით, გულის კარნახით იკისრა ისტორიული მისია — უადრესად აქტიური მონაწილეობა მიეღო გამარჯ-

ვების გამოჭედვაში. და მან ღირსეულად შეასრულა ეს მისია, შეძლო მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინა მკითხველებთან, შთაგონებინა და აღფრთოვანებინა ისინი საგმირო საქმეებისათვის, გაელვინებინა მათში სამშობლოს სიყვარული და ვერაგი, შეუბრალებელი და სასტიკი მტრის სიძულვილი.

პირველი სიტყვა, როგორც მოსალოდნელი იყო, პოეტებმა თქვეს. მთელი საბჭოთა ხალხის გულისთქმა გამოხატეს პარმენ რურუამ და ნესტორ მაღაზონიამ ლექსებში „მოსკოვის ბჭესთან“ და „ლენინგრადში ვერ შევა მტერი“, რომლებიც 1941 წელს გამოაქვეყნეს. დღეს შეიძლება ისინი რამდენადმე დეკლარაციული გვეჩვენოს, მაგრამ თავის დროზე მათ არ აკლდათ ემოციური ზემოქმედების ძალა. მოწოდება ყოველთვის როდია მშრალი რიტორიკა. თუ კი გულწრფელია და საერთო განწყობილებას, ხალხის მისწრაფებას შეესაბამება, იგი გარდუვალად შეიცავს ემოციურს. და, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იმდროინდელი პოეზიის ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი იყო გრძნობის მოჭარბება, მოვლენათა და ფაქტების უკიდურესად მწვავე განცდა. პოეზია და, საერთოდ, ლიტერატურა მთელი ხმით უმღეროდა გმირულს, ამაღლებულს, სამშობლოსათვის თავდადებას, აღვივებდა მომხდური მტრის სიძულ-

ვილს, რომელიც გაუგონარი, არ-
ნახული სისასტიკით სპობდა ყვე-
ლაფერს.

ახლებური იერსახე მიიღო სო-
ციალისტური ჰუმანიზმის, ადა-
მიანისა და გარემოს, საზოგადოე-
ბრივისა და პირადულის ურთიე-
რთობის ზოგიერთმა ასპექტმა. პი-
როვნება და საზოგადოება, სოცი-
ალური და ინტიმური ერთმანეთს
შეერწყნენ და განუყოფელი გახ-
ნენ, რაშიც კონკრეტულად გა-
მოიხატა საბჭოთა ადამიანის ფარ-
თო იდეური დიაპაზონი და მაღა-
ლი ზნეობრივი თვისებები. სამშო-
ბლოსა და ადამიანის განუყოფე-
ლი ერთიანობა განსაკუთრებით
მკაფიოდ გამოჩნდა ფრონტელი
პოეტის მამია ვარშანიძის ომის-
დროინდელ ლექსებში. მამული
მათში წარმოგვიდგება არა მარ-
ტო როგორც აყვავებული ბაღნა-
რი, თვალისმომჭრელი სილამაზით
განთქმული მთები და ველები —
იგი თვით სიცოცხლეა, მისი სათა-
ვე. ვინ ვინ, მაგრამ ჯარის-
კაცმა, რომელსაც ყოველ წუთს
სიკვდილი ემუქრება, იცის სიცო-
ცხლის ფასი, მისი სიტკბო და მა-
ინც მზად არის უყოყმანოდ შეს-
წიროს იგი მამულს, რადგან უსამ-
შობლო კაცი მხოლოდ არსებობს,
— მის სიცოცხლეს სიცოცხლე არ
ეთქმის. ამიტომ წერდა პოეტი:
„ეს მინატრია — თუ დავეცემი,
მხოლოდ სამშობლოს დიად დრო-
შასთან“.

სწორედ აქ იღებს სათავეს ის
მასობრივი გმირობა, რომელმაც
მთელი მსოფლიო განაცვიფრა

ომის უმკაცრეს წლებში და საბ-
ჭოთა ჯარისკაცის სახელი მარადი-
ული დიდებოთ შემოსა. სამშობ-
ლოსათვის დანაწირვა საბჭოთა
ადამიანის ქცევის ნორმა გახდა.
რა აიძულებდა მატროსოვს სხეუ-
ლით გადაჭრებოდა მტრის ამბ-
რაზურას, ან ჭოთა გამცემლიძეს,
ჰიტლერელთა ტანკს ჩავარდნოდა
და საკუთარი სიცოცხლის ფასად
აეფეთქებინა იგი? — მხოლოდ და
მხოლოდ სამშობლოს სიყვარუ-
ლი. იმ წუთში არც ერთი არ ფიქ-
რობდა დიდებასა და უკვდავება-
ზე. ვითარება მოითხოვდა თავგან-
წირვას და ისინიც არ შედრკნენ,
მამაცურად გაუსწორეს თვალი
სიკვდილს. მათ რომ არ ჩაედინათ
ასეთი საარსკო გმირობა, სხვები
ჩაიდენდნენ. ომის ისტორია ხომ
აღსავსეა მსგავსი თავგანწირვით!
ტყუილად როდი ამბობდნენ, ყვე-
ლა საბჭოთა ადამიანი პოტენცი-
ური გმირი.

შესანიშნავად გვიჩვენა ეს ნეს-
ტორ მალაზონიამ თავის ერთ-
ერთ საუკეთესო ომისდროინდელ
ნაწარმოებში „ბალადა მზარეუ-
ლზე“, რომელსაც საფუძვლად
უდევს ნამდვილი ამბავი, რეალუ-
რი ფაქტი. გოხდა ისე, რომ ჰიტ-
ლერელთა ტანკი საველე სამზა-
რეულოსთან აღმოჩნდა. მზარეუ-
ლი ივანე სერედა არ დაიბნა, შეხ-
ტა ტანკზე და ნაჯახით გადალუნა
ტყვიამფრქვევთა ლულები. ამ
გაბედული ნაბიჯით მან ცხადყო
შინაგანი ეზადყოფნა გმირობი-
სათვის, ანუ სხვანაირად რომ
ვთქვათ, ცხადყო, რომ „პოტენცი-

ური გმირი“ იყო — შემთხვევა მიეცა და ეს პოტენცია რეალურად აქცია. მართალია, პოეტმა სერედას ხასიათში ხაზი გაუსვა რომანტიკულ სწრაფვას გმირობისაკენ, მაგრამ თვით ამ მისწრაფების საფუძველი სამშობლოს სიყვარული იყო. ივანე სერედას პატივმოყვარეობა კი არ უკარგავდა მოსვენებას, არამედ ის ფაქტი, რომ ფრონტზე იყო, მაგრამ მტერს არ ებრძოდა, — ბედმა სულ სხვა ხვედრი არგუნა. „ეჰ, რა ვუთხრა, ვინც დამკლა და მზარეულად გამომზარდა“, ჩიოდა იგი და აწვალვებდა სავსებით ბუნებრივი კითხვა: ომი რომ დამთავრდებოდა, რა ეთქვა დედისათვის, თანასოფლელებისათვის: „მეც რა! კოვში მქონდა ხელში, კარტოფილი ვხარშე-მეთქი?“ ჯარისკაცის ამ წუხილში კონკრეტულად ისახებოდა, მატერიალურად ხორციელდებოდა სამშობლოს სიყვარული.

ეს გმირული პათოსი დიდი სამშულო ომის პერიოდის ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის ლაიტმოტივი იყო. პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ ფრონტელ გმირებს, მეომრებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. უფროსი თაობის ადამიანები ვერასოდეს დაივიწყებენ ირაკლი აბაშიძის „კაპიტან ბუხაიძეს“, რომელშიც პოეტმა დიდი მხატვრული ძალით და უშუალობით გამოხატა როგორც კავკასიის დამცველთა თავდადება, ისე თი-

თოეული ქართველი კაცის ფიქრი და განწყობილება, მისი მზადყოფნა ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლეც კი შეეწირა სამშობლოსათვის, მომავალ თაობათა ბედნიერებისათვის. ამ გმირული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი ნესტორ მაღაზონიას ლექსებიც, მიკლენილი ი. ჯინჭარაძის („გმირი მფრინავი“), ა. ვერულიძის („უკანასკნელი ბარათი“), კომისარ კ. გიორგაძის („სიმღერა“) და სამამულო ომის სხვა გამოჩენილი გმირებისადმი, აგრეთვე ფრ. ხალვაშის „სიმღერა გმირ ჯინჭარაძეზე“, გ. სალუქვაძის, ნანა გვარიშვილისა და სხვათა მთელი რიგი ლექსები.

საბჭოთა ადამიანების მასობრივ გმირობასა და პატრიოტიზმს, რა თქმა უნდა, თავისი მასაზრდოებელი წყარო ჰქონდა. ჩვენი ხალხი მუდამ თავდადებით იცავდა მამულს მომხდური მტრის ხელყოფისაგან და არაერთი სახელოვანი გმირი წარმოშვა, მაგრამ წინათ იგი მარტო სამშობლოს იცავდა, თავის სახლ-კარს, იმ ადგილებს, სადაც შობილა და გაზრდილა, და არა მაშინ არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტს. დიდი სამამულო ომის დროს კი, პირველად კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ხალხი იცავდა სამშობლოსაც და საზოგადოებრივ წყობილებასაც, რომელიც საკუთარი ხელით ააგო. სოციალიზმი და სამშობლო განუყოფელი გახდნენ. ომისდროინდელმა

ლიტერატურამ წინა პლანზე წამოსწია ეს მომენტი, ეს ძირეული განსხვავება და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები იცავდნენ არა უბრალოდ სამშობლოს, არამედ სოციალისტურ სამშობლოს, ოქტომბრის დიად მონაპოვრებს, სოციალიზმს. საკმარისია აქ დავასახელოთ ნ. მაღაზონიას ლექსი „ლენინგრადში ვერ შევა მტერი“, რომელშიც პოეტმა როგორც ერთი მთლიანი, ისე წარმოგვიდგინა სამშობლო და ოქტომბერი, სამშობლო და სოციალიზმი. კომუნისტური იდეალების ერთგულება, ღრმა იდეურობა დიდი სამამულო ომის პერიოდის ლიტერატურის განმსაზღვრელი, ძირითადი ნიშანია. ეს ტენდენცია ჩვენმა თანამედროვე ლიტერატურამ შემდგომ უნდა განავითაროს და სრულყოს. იგი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დიდი მონაპოვარია.

დიდმა სამამულო ომმა მთელი თავისი ძალითა და ძლიერებით წარმოაჩინა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. იგი ამავე დროს იყო ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს უმკაცრესი გამოცდა. მტერს იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა შუღლისა და მტრობის ჩამოგდებას სსრ კავშირის ხალხთა შორის. სინამდვილემ მათი ეს ვარაუდიც გააცამტვერა. სოციალისტური ერების მეგობრობა გრანტივით მტკიცე აღმოჩნდა. საშინელი განსაცდელის ქამს იგი კი არ შესუს-

ტდა, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა. ბუნებრივია, რომ ხალხთა მეგობრობა ომისდროინდელი ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი თემა იყო. პარმენ ლორიამ რომანში „ალისფერი დილა“, ამირან შერვაშიძემ პიესაში „მხედართმთავარი ბაგრატიონი“, ნესტორ მაღაზონიამ ლექსში „წყვილი წინდა“ და სხვებმა დამაჯერებლად გვიჩვენეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა, უპირველეს ყოვლისა კი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმტკიცე და სიკეთე. წყვილი წინდა, რომელსაც მთიელი ქალი დიდი სიყვარულით ქსოვდა უცნობი ჯარისკაცისათვის, განასახიერებდა როგორც ფრონტისა და ზურგის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობასა და მონოლითურ შეკავშირებას. ამ წყვილ წინდას ფრონტზე მიჰქონდა არა მარტო მატყლის, არამედ „მილიონთა გულის სითბო!“

ჯარისკაცი-მოქალაქის მხატვრული სახე, რომელიც დიდი სამამულო ომის ლიტერატურამ შექმნა, — კომუნისტური იდეალებით შთაგონებული, პატრიოტი-ინტერნაციონალისტი მებრძოლი სრული არ იქნება, თუ უგულებელვყოფთ მის სხვა ასპექტებს, კერძოდ, ინტიმს. ომს არ ჩაუხშვია ადამიანის ხმა და ლიტერატურას გვერდი არ აუვლია, არ უკუუგდია იგი, პირიქით, საგანგებო ყურადღება დაუთმო მას. საკმარისია ითქვას, რომ სწორედ ომის წლე-

ბში შეიქმნა კ. სიმონოვის უადრესად პოპულარული „მელოდე“, აგრეთვე სხვა ლექსები და მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მოქალაქეობრივ - პატრიოტულ მოტივებთან ერთად ადამიანის პირადულ გრძნობებსაც, ლირიკულ-ინტიმურ ცხოვრებასაც გამოხატავდნენ.

ჯარისკაცი-მოქალაქისა და ადამიანის საინტერესო სახე შექმნა ფრონტელმა პოეტმა მამია ვარშნიძემ ლექსებში „მამული“, „გამგზავრება“, „სიმღერა“, „მახარბელი“, „დაბრუნება საქართველოში“ და სხვა, რომლებიც თავმოყრილია 1946 წელს გამოცემულ კრებულში „მებრძოლის სიმღერები“. ამ კრებულის ლირიკული გმირის განცდები და მისწრაფებანი მრავალმხრივია. მისი უპირველესი საზრუნავი, რა თქმა უნდა, სამშობლოს დაცვა, საძულველი მტრის დამარცხებაა, მაგრამ მას აქვს საკუთარი ინტიმური სამყაროც, პირადული ინტერესებიც. ტყვიების ზუზუნსა და ქვემეხების გრილში მას ბევრჯერ მონატრებია დედის ალერსი, მონატრებია სატრფო, სახლ-კარი, მშობლიური ქალაქი; „ჩემი სახლი დგას შავი ზღვის პირად, ჩემი ლამაზი სატრფოც იქ მელის“, წერდა პოეტი და ოჯახის ეს გახსენება მამაცობისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის შთააგონებდა. მან იცოდა, რომ შორეულ ფრონტზე იცავდა თავის მშობლიურ ქალაქს, სახლ-კარს, სატრფოს ღირ-

სებას, მომავალს და, როცა გამარჯვებული დაბრუნდა საქართველოში, სრული საფუძველი ჰქონდა განეცხადებინა: „და ვამაყობ, რომ მეც დავიცავი ჩემი სახლ-კარი, ჩემი ბათუმი“.

ახლა, როცა ომის გარდასულ წლებს ვიგონებთ, თვალწინ წარმოგვიდგება არა მარტო ჩვენი ხალხის სწორუპოვარი გმირობა, გვახსენდება მისი საშინელებანიც, ტრაგედია, რომელიც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა, ცრემლები, შინმოუსვლელთა შეცხადებანი და ძაძვები, ძაძვები... დიახ, მძიმე იყო ომი, მან ბევრი სიცოცხლე შეიწირა, ბევრს განაცდევინა ენიით აუწერელი ტანჯვა-წამება, ახლობელთა დაღუპვით გამოწვეული ღრმა მწუხარება. დღეს ზოგს ჰგონია, თითქოს ომისდროინდელი ლიტერატურა გაუბრბოდა ადამიანთა ცრემლს, ტრაგიზმს და მხოლოდ გმირთა განდიდებით, მათი პატრიოტული თავდადების ასახვით იფარგლებოდა. უმსხვერპლო, უსისხლო და უცრემლო ომი არავის გაუგონია და სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას, რომელიც სინამდვილეს მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და სიმართლით ასახავს, არ შეიძლებოდა თვალი აერიდებინა ცხოვრებისეული ფაქტებისათვის. სხვა საქმეა, თუ იგი ინარჩუნებდა ოპტიმისტურ განწყობილებას. და ეს იმიტომ, რომ არავი-

თარ მსხვერპლს არ შეეძლო გაეტეხა საბჭოთა საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანების ნებისყოფა, სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო ისინი.

ამ მხრივ სამაგალითოა ფრიდონ ხალვაშის ცნობილი ლექსი „სიმღერა გმირ ჭინჭარაძეზე“. ეს იყო პოეტის დებიუტი, მისი პირველი ლექსი, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, მაშინვე, აიტაცა ხალხმა და მალე სიმღერადაც აქცია. რით მიიპყრო მან მკითხველთა ყურადღება, რით დაიმსახურა მათი სიყვარული? იმით, რომ დიდი მხატვრული სიმართლით გვიჩვენა გმირის დაღუპვით გამოწვეული ტკივილები. იგი იწყება გმირისადმი პირდაპირი მიმართვით: „რა გრიგალები გააპე, რა ბრძოლები გაქვს ნახული“... და ეს ბუნებრივია. ხალხმა ხომ იმიტომ განიცადა ღრმა ტკივილით მისი დაღუპვა, რომ თავისი გმირული საქმეებით ასახელა სამშობლო, თავისი მშობლიური კუთხე. ლექსის ძირითადი ნაწილი კი გადმოგვცემს სწორედ საყოველთაო გლოვას. ყველა დასტირის უდროოდ დაღუპულ გმირს, ყველა დაამწუხრა მისმა ტრაგიკულმა ბედმა, მაგრამ სულ სხვა იყო დედის ცრემლი და მწუხარება. ამიერიდან მისი სიცოცხლის მუდმივი თანამგზავრი გახდა ცრემლი და შვილის ბარათი. და მაინც, მწუხარებას, ნაღველს ძლევს იმის შეგნება, რომ ისრაფილ ჭინჭარაძემ თავისი სიკვდილით დაამარცხა

თვით სიკვდილი და უკვდავი გახდა. მას, აჭარის პირველ გმირს არასოდეს დაივიწყებს მადლიერი ხალხი, მშობლიური მახინჯაური.

პიროვნების ბედს ასევე მჭიდროდ უკავშირებდა საზოგადოების ბედს პოეტი გიორგი სალუქვაძე. მან არაერთი ლექსი მიუძღვნა ფრონტისა და ზურგის გმირებს, მათს საბრძოლო შემართებას, რომლებიც თავმოყრილია პოეტის პირველ კრებულებში „ლექსები“ (1945 წ.) და „დაბრუნებულნი“ (1946 წ.). ომი არ ყოფილა რაღაც უჩვეულო მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. პირიქით, როგორც პოეტი ამბობს, „ქართველი კაცი, მუდამ კეთილი, მაინც ნიადაგ იყო მტრიანი“. მაგრამ დიდი სამამულო ომი მაინც განსაკუთრებული იყო, როგორც თავისი მასშტაბით, ისე სისასტიკით. მან ბევრი მსხვერპლი მოითხოვა, ბევრი ვაჟაკიც შეიწირა, მათ შორის პოეტის მამა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის აკვანს — გმირ ლენინგრადს იცავდა. სწორედ მის ხსოვნას მიუძღვნა გ. სალუქვაძემ მშვენიერი ლექსი „მუხა ჩემი სახლის წინ“. ეს მუხა განასახიერებს კეთილსახელსა და კეთილ საქმეს. იგი თავისი მძლავრი „ტოტებით ჰფარავს სახურავს, რომ ველარ ავნოს სახლს ქარიშხალმა“. ადამიანი იღუპება, მისი კეთილი საქმე კი რჩება და უკვდავდება ეს არის. ამიტომ წერდა პოეტი მისი სახლის წინ აღმართულ ფესვმაგარ

და მძლავრტოტებიან მუხაზე:
„დაღუპულ მამას მაგონებს მუ-
დამ, დგას, როგორც მისი ცოცხა-
ლი ძეგლი“.

ორი დიდი ადამიანური გრძნო-
ბის — ერთადერთი ვაჟის დაღუ-
პვით გამოწვეული უსაზღვრო
მწუხარებისა და ომში ჩვენი გამა-
რჯვების, ასევე უსაზღვრო სიხა-
რულის ჭიდილს გადმოგვცემს
თავის ფართოდ ცნობილ ლექსში
„მოდინ, შვილო, ჯარისკაცები“
ნესტორ მაღაზონია. ასეთი ბედი
მარტო პოეტს როდი ხვდა წილად
— იგი მილიონთა ხვედრი იყო.
ხალხი ზეიმობდა გამარჯვებას. გა-
მარჯვება, აბა, ვის არ გაახარებდა,
მაგრამ ამ წიხარულს თან სდევდა
შინმოუსვლელთა მშობლების, მე-
უღლეების, ძმებისა და დების, ნა-
თესავ-მეგობრების სევდა-ნალვე-
ლი და ღრმა მწუხარება. თითქოს
შეუძლებელი იყო ამ ორი ანტი-
პოდური გრძნობის მორიგება, მა-
გრამ ბოლოს და ბოლოს, ისევე,
როგორც პოეტმა, მილიონობით
ადამიანმაც შეძლო დაეძლია ღრმა
პირადული მწუხარება მაღალი
პატრიოტული შეგნებით, იმის შე-
გნებით, „რომ ჩემი ქვეყნის საკუ-
რთხეველში ჩემი პატარა პატრუ-
ქიც იწვის“. ამიტომაც მოიპოვა
ამ ლექსმა საყოველთაო აღიარება
და ფართო პოპულარობა.

სამამულო ომი იყო ჩვენი პრო-
ზაიკოსებისა და დრამატურგების
შემოქმედების მთავარი თემაც.
როგორც უკვე ვთქვით, ომის

წლებში პარმენ ლორიამ გამოაქ-
ვეყნა რამდენიმე მოთხრობა და ნა-
რკვევი, ხოლო უფრო მოგვიანე-
ბით რომანი „ალისფერი დილა“.
საბჭოთა ხალხის ერთიანობასა და
მონოლითურ შეკავშირებას,
ფრონტისა და ზურგის მეზობ-
ლებს მიუძღვნა კ. რუსიძემ რომა-
ნები „იწერებოდა სისხლით“, „ყე-
დირ დედე“, აგრეთვე შედარებით
გვიანდელი ვრცელი რომანი „გა-
მარჯვება“. ომის წლებში შედგა
დრამატურგ ვალერიან კანდელა-
კის დებიუტი — მისი „ბაბუა თე-
ვდორე“ დადგა ბათუმის სახელმ-
წიფო თეატრმა. პრესამ და მაყუ-
რებელმა მაღალი შეფასება მის-
ცეს დრამატურგ ამირან შერვაში-
ძის პიესას „მხედართმთავარი ბა-
გრატიონი“. მართალია, ეს პიესა
ისტორიული იყო, უშუალოდ დიდ
სამამულო ომს არ ასახავდა, მაგ-
რამ, როგორც პრესა აღნიშნავდა,
„პიესას რომ უცქერის, მაყურებე-
ლი სცენაზე დანახულს უნებლი-
ეთ უკავშირებს დღევანდელ სინა-
მდვილეს. მას ერთი წუთითაც არ
ტოვებს ფიქრი გმირ წითელ არ-
მიაზე, რომელიც უღმრთოდ
სპობს გერმანელ ფაშისტ დამპყ-
რობლებს“, აქვე უნდა მოვიხსე-
ნიოთ ა. შერვაშიძის პიესა „კრავ-
ჩუკის ცრემლები“, რომელშიც
დრამატურგმა ასახა დასავლეთ
უკრაინის განთავისუფლების და-
უვიწყარი დღეები. ეს პიესა უკ-
რაინის ოცამდე თეატრში დაიდგა
და ცალკე წიგნადაც გამოვიდა კი-
ევში 1940 წელს, დიდი სამამულო
ომის წინ.

დიდი სამამულო ომის პერიოდის ლიტერატურა ისტორიული ფენომენია, გარკვეული საფეხურია ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. მისი გამოცდილება დიდად გვეხმარება დღეს თანამედროვეთა მართალი მხატვრული სახეების, ეპოქის შესაფერისი ნაწარმოებების შექმნაში. მან მემკვიდრეობად დაგვიტოვა საბჭოთა საზოგადოებაში აღზრდილი მებრძოლი ადამიანის მხატვრული სახე, ადამიანისა, რომელიც ცოცხლობს კომუნისტური იდეალებით, იბრძვის ამ იდეალების დამკვიდრებისათვის. მისი გრძნობე-

ბი, მისი ფიქრები მთელ მსოფლიოს მოიცავს. იგი იღვწის და იბრძვის, რომ ქვეყნად გაიმარჯვოს მშვიდობამ და სიკეთემ, გაიმარჯვოს კომუნიზმმა.

და დღეს, ჩვენი, ცოცხლად დარჩენილთა და ომის გმირების შთამომავალთა წმინდა მოვალეობაა ღირსეულად დავაგვირგვინოთ დიდი ოქტომბრის საქმე, ჯეროვნად დავაფასოთ შინმოუსვლელნი, პატივი ვცეთ იმ ადამიანთა ხსოვნას, რომლებმაც თავი შესწირეს დედამიწაზე უდიდესი ბოროტების — გერმანული ფაშისმის მოსპობას.

ყველა იმათ, ვინც თავი არ დახარა,
ვინც გმირობით ჩვენი ხალხი ახარა,
ვისაც წვავდა ჩვენი ქვეყნის თაკარა
და ვინც სისხლის ყველა წვეთი ანკარა,
განურჩევლად — დიდი იყო პატარა —
ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელოდ

დაღვარა, —

დიდება და ხსოვნა ჰქონდეთ მარადი!



იოსებ მეგჩელიძე

ნოდარ დუმბაძის „დიდროს“ შესახებ

ზოგი ლიტერატურისმცოდნე, კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, როგორ შეიქმნა მწერლის ესა თუ ის ნაწარმოები, და, თუკი ამისი მსგავსი რამ ცხოვრებაში უნახავს ან გაუგონია, თემის ნასესხობასა და ლიტერატურული სახის პროტოტიპზე ალაპარაკდება. კიდევ უფრო თამამად მსჯელობენ აგრე, როდესაც ნაწარმოების სათაურის ქვეშ ან ტექსტში წერია: „ნამდვილი ამბავი“.

ბედნიერი შემთხვევა იყო, რომ იპოლიტე ვართაგავას კრიტიკას ვაჟა-ფშაველას ქმნილებათა ხალხური საწყისების შესახებ თვით მგოსანმა უპასუხა, თორემ ამ პოეტის ზოგი ნაწარმოების ამბისა თუ სიუჟეტის ხალხურ წარმოშობასა და ლიტერატურული სახეების პროტოტიპზე აუარებელი ქა-

ღალდი აჭრელდებოდა, დიდ პოეტს ზოგი ვინმე ნატურალისტად გამოაცხადებდა.

ვაჟამ სწორად აღნიშნა: „სალი ფანტაზია ისეთს არაფერს შექმნის, სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს, არ შეეფერებოდეს“...

პოეტმა წინდახედულად თქვა: ბეჭდვის გაადვილების მიზნით, ჩემი ზოგიერთი ნაწარმოების სათაურის ქვეშ აღნიშნულია: „ძველის ძველი ამბავი“, „ზღაპარი“, „თქმულება“, თუმცა მათში „იოტის ოდენი ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია“. მიუთითა იმაზეც, რომ იგი აქა-იქ მართლაც იყენებს გაგონილ ამბავს, მაგრამ იმდენად გადაამუშავებს, გარდაქმნის, რომ მეორე პირველს აღარცა ჰგავს.

აღნიშნულის კვალობაზე ვაჟა-ფშაველამ გააკრიტიკა ალ. ხახანაშვილის ჰიპოთეზა „ვეფხისტყაო-

შნის“ ამბის ხალხური წარმოშობის თაობაზე, და განავითარა აზრი: პოემის ამბავიც რუსთაველის მიერაა შექმნილიო.

მანვე წამოაყენა დებულება: თქმულება ან ამბავი, „თუ მან გაიარა მწერლის ფანტაზიის გონების მანქანაში“, თუ მას მწერალმა „არ ჩაჰბერა უკვდავი სული... არ შეუღისხლხორცა საკუთარ სულსა და გულსა, არაფერი გამოვა“, ე. ი. მაღალმხატვრულ ნაწარმოებს ვერ მივიღებთო.

დარწმუნებული ვართ, ზოგიერთები ჩვენი თანამედროვე შესანიშნავი მწერლის ნოდარ დუმბაძის ზოგი ნაწარმოების ამბის თუმისი ლიტერატურული სახის პროტოტიპის ძებნასაც დაიწყებენ, მით უფრო — „დიდროსი“, რადგან ავტორი თვითონვე წერს: „ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგითხრობთ, შარშან მოხდა გაზაფხულზე“, სოფელში.

ამიტომ ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ, ჩვენთვის ცნობილი ზოგი რამ შევნიშნოთ იმის თაობაზე, თუ რამდენად სცვლის ეს მწერალი ნახულსა და გაგონილს, ამბის გარემოსა და დროს, სრულიად სხვადასხვა ხასიათებიდან როგორ ქმნის ერთ სახეს, ამდიდრებს მას საკუთარი ფანტაზიით, მოკლედ — როგორ შემოქმედებით ქურაში ატარებს იგი ასეთს.

ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ რომ „მე“ თვითონ მწერალია, ბებია — ნამდვილი ბებიათა — ოლღა ქერქაძე-დუმბაძე, ხოლო ილიკო და ილარიონი ოლღას მეზობლები იყვნენ გურიის ხიდისთავის სასოფლო საბჭოს სოფელ ზენობანში, ეს მწერლის თანასოფლელებმა იციან და სხვაგანაც არის ცნობილი.

ამ წერილის ავტორი თითოეულ მათგანს იცნობდა, და შეუძლია თქვას, რომ წიგნში მხოლოდ მათი სახელები და ზოგი რამ ხასიათებიდანაა განზოგადებული. ნამდვილად კი ყოველი მათგანი მწერლის მიერაა ხორცშესხმული და ამიტომ არიან ისინი ლიტერატურული სახეები. თვით წიგნური ბებიაც კი, რომელიც შედარებით ახლო სდგას ცხოვრებისეულ ოლღასთან, გამდიდრებული სახეა.

ჩვენმა მწერალმა ძალიანაც რომ მოინდომოს გაიმეოროს ბებიამისის — ოლღას დალოცვისა და დაწყევლის ასხმული ტექსტები, რომლებიც ჩვენც მოგვისმენია, ვერ შესძლებს, მთლიანად იმათ ლექსიკასაც კი ვერ აღადგენს.

ახლა აქ ზემოხსენებულ ნაწარმოებზე უფრო მწერლის ნოველა „დიდრო“ („ცისკარი“, 1973 წ. № 5) გვაინტერესებს და მასზე ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით.

ეს არის პატარა, მაგრამ ღრმა-

შინაარსიანი, მაღალმხატვრული, კარგად შეკრული ნაწარმოები. იგი ზოგმა ვერ გაიგო. მართალი იყო კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი, ზოგიერთებს რომ შეესიტყვა, და „დიდროც“ საყურადღებო ქმნილებად სცნო.

ამ ნოველის შინაარსი მოკლედ ასეთია:

ედემიკა ვეშაპიძის ვაჟს დიდრო ჰქვია. იმის გამო, რომ მამა პორტ-არტურში იყო ნამყოფი, მის ნაშინს, გასაბრაზებლად, ოიამას ნაბიჭვარს ან პორტ-არტურის შპინსაც ეძახიან; მისთვისვე ბურძგალა, ხაბაკა და ქაფურაც შეურქმევიათ; მას ხშირად ამ მეტსახელებით ახსენებენ.

ბურძგალა იმიტომ უწოდებიათ მისთვის, რომ „თმები ჰქონდა ზღარბივით აბურძგნული, და, გარდა ამისა, ნიძლავზე, ხიდან ჩამოგდებულ წაბლს, ბურძგალს შიშველი ფეხით აცლიდა“.

„ხაბაკა იმიტომ იყო დიდრო, რომ მაგაზე მეტ სიმძიმეს კაცი ვერ წევდა სოფელში“, მგზავრების ბარგს — ხაბაკს დაატარებდა და ამის გასამრჯელოთი ცხოვრობდა.

ქაფურა იმიტომ შეარქვეს მასვე, რომ პარიკმახერმა ენაზე საპნის ქაფი წაუსვაო.

ერთ დღეს მოკრეფილი ჩაის მისაღებ პუნქტზე მისატანად წახალისეს დიდრო, ნაძლევი დათქ-

ვეს: თუ დიდრო დათქმულ ტვირთს ასწევდა და ადგილზე მიიტანდა, დალაქ ექვთიმა ყვავუტას იგი ერთ წელიწადს უნდა ეპარსა, ხოლო ნოდარს დიდროსათვისვე ტეხასური შარვალი უნდა მიეცა.

დიდი გოდორი ჩაით დაბეკნეს, კიდეცო, — იძახდა დიდრო; გოდორზე თოკით ორი გატენილი ტომარაც დააკრეს. ჩაიმუხლა დიდრომ, ვერ დასძრა, მაგრამ უკან აღარ დაიხია, — ამიწიეთო, — თქვა. „ოთხმა კაცმა დიდი გაჭირვებით მოჰკიდეს დიდროს ზურგზე გოდორი“ და როგორც იყო, პუნქტამდე მიიტანა. 141 კილოგრამი ჩაუწერეს დიდროს, მაგრამ გული ჩასწყვეტოდა!..

ნოველის დასაწყისიდანვე საინტერესოდ მოთხრობილ ამბებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წარმტაცად და დამაჯერებლად არის აქ გადმოცემული დიდროს ჭიდილი მძიმე ტვირთთან, მაყურებლის განცდებითა და სპორტული ინტერესით გამოწვეული შეძახილები, შემდეგ უკვე შინ საუბარი მომაკვდავ დიდროსა და დამსწრეს შორის, ბორგვა დიდროსი, რომელსაც იმის აზრი კიდეც შერჩენია, რომ იბარებს: ჩემს ძველ შარვალში არ დამმარხოთ, მოგებული ტეხასის შარვალი ჩამაცვით, გამალამაზეთო!..

მოკლედ რომ მოვჭრათ, აქ შემნილია ტრაგიკული ბედის ადამიანის სიკვდილის შთამბეჭდავი სურათი. მიხეილ ჯავახიშვილის

კიდე უფრო ტრავიკული ჩანს —
რა მოგვაგონდა, თუმცა ამასა და
დიდროს შორის, გარდა ზოგადი
ფინალისა, საერთო არაფერია.

ახლა ნ. დუმბაძის შემოქმე-
დებით ლაბორატორია-
ში შევიხედოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
მწერალი გვაუწყებს: სოფელში
მომხდარ ამბავს გადმოგცემთ.
ნოველა 1973 წელს გამოქვეყნდა.
მაშასადამე, აქ 1972 წლის შემთხ-
ვევასთან უნდა გვქონოდა საქმე,
მაგრამ არა, — გაცილებით ადრი-
ნდელი რაღაც მსგავსი შერქმეუ-
ლი სახელები მეორდება და მოქ-
მედება ზემოხსენებული ხიდის-
თავისა და მდინარე გუბაზოულის
ნაპირებიდან მათგან 5-6 კილომე-
ტრით დაშორებულ გუთურსა და
სუფსის ხეობაშია გადატანილი.

ხიდისთავში, 4-5 ათეული
წლის წინათ, მართლაც ცხოვრობ-
დნენ: დიდრო (შარაშიძე), ხა-
ბაკა (ლუკა ბროკიშვილი), ქა-
ფურა (გრიშა კალანდაძე), ახ-
ლაც ცხოვრობს პარიკმახერი
ყვავუტა და გვარის რამდე-
ნიმე ოჯახი, მეტსახელად ბურ-
ძგლად რომ იწოდება.

პირველი სამი სახელი და მათი
ზოგი შტრიხი მწერალს ერთ დი-
დროში აქვს ჩაქსოვილი, მაგრამ
ცალ-ცალკე არც ერთი არა ჰგავს
დიდროს; იგი მწერლისეულად გა-
ხლავთ წარმოდგენილი ნოველაში
და არის ცხოვრებისეულ ადამია-

ნებზე ამაღლებული სახე.

მწერალს ამ ნოველაში ავტო-
ბიოგრაფიული შტრიხიც აქვს —
ხავს. მაგალითად, — ვინაა ხარბინა
შენ? — ეკითხება მას დიდრო.

— „მე ვარ ნოდარი, ქიშვარ-
დის ბაღში“, — პასუხობს მწე-
რალი.

დიდრო შესძახებს: „აუ, რა კა-
ტლეტს მაჰმევდა უფასოდ ბაბუა-
შენი გუთურის სასადილოში, პოვ-
რად რომ მუშაობდა“.

ჩვენი მწერლის ბაბუას სწო-
რედ ქიშვარდი ერქვა; აქ შვილი-
შვილს ბაღში უწოდებენ.

მართლა ქიშვარდი აჰმევდა დი-
დროს კატლეტს? არა, სხვაგვარად
იყო საქმე, მაგრამ ამაზე ცოტა
ქვემოთ. ჯერ თვით ცხოვრებისეუ-
ლი დიდრო გავიცნოთ.

დიდრო შარაშიძე ახმახი კაცი
იყო. წაბლისფერი, ბოლოაწვე-
ტილი უღვაწითა და „ბლანჯით“
იგი პირადად ჩვენ დონკიხოტის
სურათს ან ბიუსტს გვაგონებდა.

არა დიდროს მამა, — ედიმიკა,
როგორც ეს ნ. დუმბაძეს უწე-
რია, არამედ თვითონ დიდრო იყო
ხარბინში ნამყოფი და ამიტომ
მას თანასოფლელები დიდრო ხა-
რბინსკისაც ეძახდნენ. მაშასადამე,
აქაც შემოქმედებითად სცვლის
მწერალი ფაქტს.

ახლა — კატლეტის შესახებ.
დიდროსაგან ბევრს გავვიგონია:
პორტარტურში ბუფეტი გავხსენი

(1904 წ). „პოვრად მყავდა ქიშვარდი“ და გამოჩნდებოდა თუ არა იქ ვინმე ქართველი, ამას იგი ჩემს ხარჯზე აქეიფებდა, გამაკოტრა კაციო!..

ქიშვარდი კი პირიქით ამბობდა: „ქუხნაში აზნოური დიდრო ბრძანდებოდა“, მე ბუფეტში გახლდით და „გადაკარქულ ქვეყანაში თუ კი ქართველს ვნახვიდი, პატივს ვცემდი, აბა, რას ვიზამდი?! წევე, დიდ ჯამაგირს მაძლევდა დიდრო!“..

რევოლუციის შემდეგ ცხოვრებაზე განაწყენებული დიდრო დადიოდა ხიდისთავში და თითქმის არავის არ ელაპარაკებოდა. მხრიდან მოსახსნელ სკამს ჩამოდგამდა, დაჯდებოდა ზე, წინ ყუთს დაიდგამდა და ღიღინებდა თავისთვის. დაინახავდა თუ არა ვისმეს, დიდრო ყუთზე ჯაგრისების ყუებს შეათამაშებდა, კაკუნით ყურადღებას მიიქცევდა და მსურველს ფეხსაცმელებს გაუწმენდდა; არც ბაზრის დაგვას თაკილობდა იგი, თუკი რომელიმე მედუქნე მას ცოტა გასამრჯელოს შეჰპირდებოდა.

ღღის მეორე ნახევარში დიდრო აქვე ისაღილებდა ან იყიდდა პურს და ისევ ღიღინით სახლისაკენ გაუდგებოდა.

პარიკმახერ ექვთიმე ყვაპუტაზე შევნიშნეთ, რომ ისიც რეალური პიროვნებაა. მას „ყვაპუტას მისი მორჩილი ტანისა და სიმსუქნის

გამო ეძახდნენ“, — გვაუწყებს მწერალი. სწორედ აგრეა ეს, მაგრამ მას არა ექვთიმე, არამედ დავითი ჰქვია. (მისი გვარი კალანდაძე, მისივე ნებართვით ვახსენეთ). იგი მართლაც ბატონობით მიმართავს ხნით ყველა უფროსს, როგორც ეს მწერალს აქვს შენიშნული.

როდესაც ამ პარიკმახერს ნოველიდან წაუკითხეს: ეს პარიკმახერი დიდროს პარსავდაო, უთხრა მას: რალაც ნასიცხარს ჰგავხარ, ენა გამოჰყავი! იმანაც გამოჰყო, ამან ზე ქაფიანი ფუნჯი წაუსვა და ამიტომ დიდროს ქაფურაც შეარქვესო, დავითმა (მწერლის ექვთიმემ) თქვა: „არაფერიც, თვითონ ნოდარია დუმბაძეს წავუსვი მე ენაზე ქაფი!“..

ქაფურა ჩვენთან სწავლობდა სკოლაში. თავისებური ბიჭი იყო. იგი თავის ტკივილს უჩიოდა ხშირად. დედამისი მას ქაფურს („კამფორა“) უსვამდა შუბლზე და ზოგჯერ ამისი სუნი ჰქონდა. ამიტომ მას ქაფურა შეარქვეს (იგი შემდეგ მსახურობდა ფოსტალიონად, ბოლოს ჩოხატაურის საავადმყოფოში მუშაობდა და იქვე გარდაიცვალა ომის წლებში).

მაშასადამე, აქ თავისი შემთხვევა გადაიტანა მწერალმა სხვაზე და სიტყვაც თავისებურად გააზარა.

ხაბაკაც, რომელსაც ჩვეულებრივ ლუკაია ხაბავას ეძახდნენ, სხვა ვინმე იყო და არა თვითონ დიდრო. იგი სწორედ მეტვირთეობდა, როცა დასჭირდებოდა, კუ-

რტანიც გააჩნდა; მოხუცდა, შინ მოკვდა.

ედემიკა კონცხოულას სასაფლაოზე დამარხესო, — ამბობს მწერალი და გვარ ჭანიშვილსაც ახსენებს. ეს გორაკი და გვარიც ზენობანში გვხვდება და არა გუთურში.

ნოველაში შესანიშნავადაა დაჭერილი გაღატაკებული გურულისაც კი თავმოყვარე ბუნება. დიდრო რომ კვდება, მას მწერალმა ათქმევინა: გამალამაზეთ, არა ჩემი ძველი, არამედ მოგებულ ტეხასური შარვლით დამმარხეთო; ფულსაც იხდის შარვალში, მათხოვრად არ ჩამთვალონო!

ჩვენ ვიცნობთ ს. სუფსაში მომღერალ ილიკო გუჯაბიძეს. მოხუცმა ცოლ-ქმარმა აგერ ახლა აიგეს ორსართულიანი სახლი! ვკითხეთ ილიკოს, რას იწვალეზდით თავს, ამოდენა სახლი მარტოხელა ორს რად გინდათ?!..

მან გვიპასუხა: მკვდარი რომ ვინმეს ძველ სახლში ვენახე, მოსაკვდომი ყოფილა, — იტყოდარო. ახალში რომ მნახოს კი, იტყვისო კაცი ყოფილაო...

ზემოთქმულიდან ცხადია: ნოდარ ღუმბაძე თუ ცხოვრებისეულ ფაქტებს იყენებს, მათაც ისე ამ-

ხატვრულებს და საკუთარი ფანტაზიით ამდიდრებს, ააზრიანებს, ამაღლებს, რომ ქმნის სრულიად ახალს, მიმზიდველ სახეს.

ამ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში წარმოიქმნენ რიგი მაღალმხატვრული ლიტერატურული სახეები; ისინი გასაგები, ფსიქოლოგიურად მართალნი, არსებით ნათელნი არიან. მისი ფილოსოფიური მსჯელობანიც აზრიანი და მიმზიდველია. მწერალს შესანიშნავად ეხერხება შინაარსით საინტერესო ამბის დინამიკურად გადმოცემა და სხარტი დიალოგების გამართვა. ყოველივე ამის გამო მისი ქმნილებანი სცენასაც კარგად ეგუებიან, ამიტომ სცენურდებიან ისინი.

ნ. ღუმბაძის ხალასმა ნიჭმა და დაკვირვების უნარმა შედარებით მცირე დროის, 1940-1945 წლების, განმავლობაში როდესაც იგი ხიდისთავში ცხოვრობდა და საშუალო სკოლაში სწავლობდა, შესძლო ბრწყინვალედ აღექვა მთელი გურია, მისი კოლორიტული მხარეები, და ასეთები მთლიანი საქართველოს ფონზე წარმოედგინა, ლიტერატურული სახისათვის ზოგადადამიანური იერი მიეცა.



აზიზ ახვლედიანი

მემედ აბაშიძე

დაბადების 100 წლისთავის ბაგო

„თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსკვალეობა, იდუმალი მიმზიდველობა იმდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს“... — ასე წერდა ილია ჭავჭავაძე თავის წინასაახალწლო მიმოხილვაში, ჯერ კიდევ თურქეთის ბატონობაში მყოფი აჭარის და მთლიანად საქართველოს შესახებ 1877 წელს.

დიახ, სწორედ „იდუმალი შემსკვალეობა“ იყო ის ძალა, რომელიც იფარავდა ერს მრავალი ქარ-

ტეხილისაგან. ყოველი ქართველი სათუთად ინახავდა გულში ამ „შემსკვალეობას“ და მოხერხებულდროს უცდიდა იმ, თითქოსდა, მიძინებული ერთსულოვნებისა და ერთგულების გამოსამყდვენებლად. საბედნიეროდ ასეთი პირები, ასეთი ოჯახები, ასეთი სოფლები მრავლად იყო. და, თუ გადარჩა საქართველო, გადარჩა მისი ნაწილი, — სწორედ ამიტომ!

ასეთ ოჯახში, 1873 წელს, დაიბადა მემედ აბაშიძე, შემდეგში სახელგანთქმული მამულიშვილი, ერის გამთლიანებისათვის თავდადებული მებრძოლი. ეს თავდადება, ეს ერთგულება მას მა-

მა-პაპათავან მოსდგამდა. დიახ, იყო ერთი დიდი სალოცავი: საქართველო, ქართველობა, — სწორედ ეს ლოცვა ჰქონდათ გულისფიცარზე, სწორედ ამ ლოცვით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ.

დიდი იყო რწმენა კვლავშეერთებისა და საამისოდ, როგორც ილია იტყოდა, შემთხვევას ელოდნენ. ასეთი შემთხვევაც დადგა. მაგრამ ხანგრძლივ კირთებას, დედასამშობლოსთან დიდი ხნით ჩამოშორებას არ შეიძლებოდა რაღაც კვალი არ დაემჩნია მოსახლეობისათვის. საჭირო იყო გზების, საშუალებების ძებნა, რათა მოშუშებულიყო ამ ჩამოშორებით გამოწვეული იარები.

ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მოწინავე ქართველობა სწავლავანათლებას მიიჩნევდა. ჯერ კიდევ შემოერთებამდე, თბილისში მყოფი შერიფ ხიმშიაშვილი ასე ავედრებდა აჭარას ერის მოწინავე მებაირახტრეებს: „განათლებაი ეჭირება, ბატონებო, იმათ... შკოლა გამართეთ, ასწავლეთ“... (დროება, 1878, № 126).

ასეთი სკოლა კიდევაც გაიხსნა ბათუმში 1881 წელს. ამ სკოლაში მიიღო განათლება მემედ აბაშიძემ. ოთხგანყოფილებიანი სკოლა, თითქოსდა, არ უნდა ყოფილიყო საკმაო იმ თვალშეუდგამ საქმიანობისათვის, რომელიც ამ პატრიოტმა გასწია, მაგრამ ცხოვრებისეულმა სკოლამ, ურთიერთობამ ტიტან ადამიანებთან, და-

უოკებელმა სწრაფვამ ნათელი მიზნისაკენ, არა მარტო შეაძლებინა ყოველივე ეს, არამედ თავისი დროის სამშობლოს ერთ-ერთ განათლებულ ადამიანდაც აქცია.

თუ გავითვალისწინებთ აჭარის ისტორიის შემოერთებამდელ და შემდეგ პერიოდს, დავრწმუნდებით, რომ სწორედ მაშინ ესაჭიროებოდა წინამძღოლი და მოძღვარი, რომელიც სწორ გზაზე გაიყვანდა მას. აი, ასეთი მისია დაეკისრა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მემედ აბაშიძეს და მან ეს ბრწყინვალედ შეასრულა.

როდესაც მემედის მიერ გაწეულ დიდ ღვაწლზე ვლაპარაკობთ, უნდა გუწევდეთ ანგარიშს რთულ ისტორიულ ვითარებას და მოსახლეობის ერთი ნაწილის შეგნებაში გადმოყოლილ წარსულის სამწუხარო დანაშრევებს. მაშინ ნათელი გახდება ის ზოგიერთი წინააღმდეგობა, ამ პიროვნების მოღვაწეობაში რომ შეინიშნება ერთი შეხედვით.

მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის დასაწყისი აჭარაში მაჰმადიანობის ერთგვარი მოძალებით აღინიშნა. პარადოქსადაც კი გვეჩვენება ახლა ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია. მართლმადიდებელი ქრისტიანობის ერთგულ მეფის რუსეთს თითქოსდა, არ უნდა შეეწყო ხელი მაჰმადიანობის გაძლიერებისათვის, მაგრამ ცარიზმი, ერთგული თავისი პრინციპისა „დაჰყავი და იბატონე“,

ყველაფერს აკეთებს, რომ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები ერთმანეთს არ დაუახლოვდნენ. სწორედ ამიტომაც, რომ 900-იან წლებში და ცოტა მოგვიანებით აჭარაში იმდენი ჯამე-სამლოცველო იგება, რამდენიც მაჰმადიანობის შემოტანიდან ამ დრომდე, მთელი სამი საუკუნის მანძილზე არ აუგიათ.

მეფის რუსეთის ეს მზაკვრული პოლიტიკა გასაგები იყო ყველა სალად მოაზროვნე მოღვაწისათვის და, მითუმეტეს, მემედ აბაშიძისათვის, რომელმაც ამ ვითარებას იმთავითვე ალლო აულო და ჯიქურ მიდგომას საქმის შემოვლით გადაწყვეტა არჩია. დარწმუნებული იმაში, რომ ძალით თავს მოწვეული რელიგია, ადრე თუ გვიან, მაინც გადაშენდებოდა, იგი, როგორც იტყვიან, ჩათრევას ჩაყოლას არჩევს და აჭარელთა შგენებაში უკვე საკმაოდ გამჭდარ მაჰმადიანობას ერთგვარ საშუალებადაც კი იყენებს „ჩატეხილი ხიდის“ გასაპრთელებლად — ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა დაახლოება-შემტკიცების საქმეში. სწორედ ამ თავისებურებას უდებს იგი საფუძვლად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. ეგრეთ წოდებულ სამუსლიმანო საქართველოს, ავტონომიის პოლიტიკურ სტატუსს. აქ, ამ საკითხში მემედ აბაშიძე გვევლინება როგორც გულისხმიერი პედაგოგი, დაკვირვებული დიპლომატი და, უმთავრესად, მხურვალე პატრიოტი, რომე-

ლსაც ერთი მიზანი დაუსახავს — სამშობლოს გამთლიანება, მისი განმტკიცება-დაწინაურება.

იმდროინდელი ვითარება მოითხოვდა მრავალმხრივ საქმიანობას. და მართლაც, არ დარჩენილა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო, სადაც მემედს თავისი სიტყვა არ ეთქვას და თავისი ნაღვაწი არ დაემჩნიოს.

საზოგადოებრივი საქმიანობა მ. აბაშიძემ პედაგოგობით დაიწყო იმავე სკოლაში, რომელიც მან დაამთავრა. ეს მოღვაწეობა გამოიყენა მოსწავლეთა შორის. ეროვნული თვითშეგნების გასაღვივებლად. იგი ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანი იყო, ვინც საღვთო სჯულის ქართულად სწავლებას მოითხოვდა. მემედი პრესაში გამოთქვამს არაერთ საყურადღებო შენიშვნას ამ საკითხზე („დედაენა და სამაჰმადიანო საქართველო“), იგი ამბობს, რომ „შინაგანი არსებისა და გონების ნაკარნახევს უნდა დავუყავშიროთ შესაფერისი ტაქტიკა“. იქნებ თანამედროვე საერთო-ეროვნული და პედაგოგიური თვალსაზრისით ზოგი რამ მიუღებელი იყოს ამ წერილებში, მაგრამ იმ დროისათვის უდავოდ ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა.

1899 წლიდან მემედი თბილისში ჩადის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოთავე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს უახლოვდება. განსაკუთრებით ახ-

ლო ურთიერთობა ჰქონდა მას ვალერიან გუნიასთან. ამ მკიდრო ურთიერთობის შედეგი იყო, რომ 1906 წლამდე მემედი სოციალ-ფედერალისტების პარტიას ეკუთვნოდა. ვალერიან გუნიას, ამ უდრეკ მოღვაწეს, მ. აბაშიძე სხვა პირად ღირსებებშიაც ჰგავდა. გავიხსენოთ, თუნდაც, ვ. გუნიას წაძლოა დიმიტრი ყიფიანის ნეშტის თბილისში გადმოსვენების პროცესიაზე; 1904 წელს ბათუმში გამართულ სპექტაკლზე დასარბევად მოსული პოლიციელების დატყვევება და სხვა. ასევე იყო მემედიც. საჭირო შემთხვევაში იგი არ დაიხვედა არავის და არაფრის წინაშე. სწორედ იმავე ხანებში, 1899 წელს იყო, რომ მემედმა საჯაროდ სილა გააწნა ბათუმის ოლქის მაშინდელ უფროსს პოლკოვნიკ სლავოჩინსკის, ხოლო ცოტა მოგვიანებით, ბათუმის ოლქის ოკუპაციის მიზნით ჩამოსულ თურქეთის სამხედრო მინისტრს ენვერ ფაშას. კეთილი სტუმრობა და უკან ადრე გაბრუნება უსურვა. ეს იყო დიპლომატიური ტაქტიკით შესრულებული საჯარო დემონსტრაცია მთელი მოსახლეობის ნება-სურვილისა.

როდესაც მ. აბაშიძის სოციალ-ფედერალისტურ პარტიასთან ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ და აგრეთვე მის „პარტიათა გარეშე“ ყოფნაზეც, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მისი მუშაობა გაცი-

ლებით მეტ ნაყოფს გამოიღებდა, თავიდანვე რომ გამოეჩინა პოლიტიკური ალღო და თავისი ბედი, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე რსდმპ (ბოლშევიკების) ბათუმის კომიტეტის საქმიანობასთან დაეკავშირებინა.

„ჩემს წინაშე — წერდა იგი მოგვიანებით, — როგორც ქართველი ინტელიგენტის წინაშე, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისმებოდა პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური ხასიათის საკითხები (როგორც სამუსლიმანო, ისე საქრისტიანო საქართველოს შესახებ). ურყევად დავდექი საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე და ბრძოლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტიკი იერიში მომიგერიებია“. (ავტობიოგრაფია).

თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი პატრიოტი, ცხადია, სიმპათიურად იყო განწყობილი რევოლუციონერებთან და თანამშრომლობდა მათთან. ამიტომ იყო, რომ იგი არაკეთილსაიმედო პირად შერაცხეს და მრავალჯერ განიცადა პატიმრობა-გადასახლების სიმწარე.

1905 წლის რევოლუციის დასაწყისში მემედ აბაშიძეს მუშები ირჩევენ ბათუმის ნავსადგურის მუშათა სახალხო მოსამართლედ. ამ მოვალეობის შესრულების დროს იგი არჩევდა ყოველდღიურად წამოჭრილ სადაო საკითხებს.

ის პატარა კანტორა, სადაც იგი თავის სამოსამართლო პრაქტიკას ეწეოდა, იქცა მუშათა თვითშეგნების იდეის გავრცელების კერად. აქ ებრძოდა იგი შტრაიკბრეხერებს.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შემდეგში იგი კონსტიტუციის შემდგენელ კომისიაში მუშაობდა, ეს ფაქტი მის იურიდიულ განსწავლულობაზეც მიგვანიშნებს.

მემედ აბაშიძე იყო ინტერნაციონალისტი. იგი ყველა ერის წარმომადგენლისადმი თანასწორ და მოკიდებულებას და ერთა შორის მეგობრობას ქადაგებდა. ცნობილია მრავალი ფაქტი, იმის დამადასტურებელი, თუ როგორ აქრობდა ის ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის წამოჭრილ შუღლსა და განხეთქილებას. ხშირად ამას იგი საკუთარი სიცოცხლის რისკითაც კი აკეთებდა. როდესაც პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ მოსყიდულმა მკვლელმა, ეროვნებით სომეხმა, ხელი აღმართა მის წინააღმდეგ, მან ის შეიპყრო, განაიარაღა და შემდეგ შეიწყნარა. ხოლო მთავრობის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე — შური ეძია ბათუმში მცხოვრებ სომეხებზე — გადაჭრით უარი თქვა და ერთხელ კიდევ საქ-

მით დაადასტურა თავისი ინტერნაციონალურობა, თავიდან აღიცილა ერთა შორის მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტის ინციდენტი.

ზემოთ აღვნიშნეთ მ. აბაშიძის ერთი დიპლომატიური ქესტის შესახებ და აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ მთელი საქმიანობა მას იმ რთულ პერიოდში გამოცდილი დიპლომატის ტაქტიკითა და ალლოთი მიჰყავდა. 1918 წლის „გაზაფხულზე“, თურქების მიერ აჭარის ოკუპაციისას, ბათუმში დარჩენილმა ქართველებმა შექმნეს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს გრიგოლ ელიავა, ხოლო მოადგილედ მემედ აბაშიძე. ეს ეროვნული საბჭო ერთგვარი საკონსულოც იყო, სადაც თავისებურ დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა მ. აბაშიძეც. 1921 წლის მარტში, როდესაც თბილისიდან გამოქცეული მენშევიკური მთავრობა ქუთაისში ითვლიდა თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს, აჭარაში ჩამოვიდა თურქეთის დელეგაცია, რომელსაც სურდა მეჯლისთან მოლაპარაკება თურქეთთან აჭარის შეერთების თაობაზე. თვით მეჯლისის შემადგენლობაც არ იყო ერთგვაროვანი. ასეთ ვითარებაში მემედ აბაშიძემ, როგორც მეჯლისის თავმჯდომარემ, მოახერხა შექმნილი მდგომარეობა.

რეობიდან თავის დაღწევა. მან გა-
წუცხადა დელეგაციას, რომ მეჯ-
ლისს არა აქვს იურიდიული უფ-
ლება ოფიციალურად დასვას აჭა-
რის პოლიტიკური ორიენტაციის
საკითხი, განიხილოს ის და რაიმე
სახის დადგენილება გამოიტანო-
ს. ამით მან ძალიან რთულ პი-
რობებში შეძლო დაეცვა სამშობ-
ლოს ინტერესები. ყველაფერი ეს
მემედის ტაქტიკაზე დიპლომატიუ-
რმა ალლომ და მოქმედებამ განა-
პირობა.

მემედ აბაშიძე, უპირველესად,
შესანიშნავი ჟურნალისტი და პუ-
ბლიცისტი იყო. თითქმის არ ყო-
ფილა იმ დროისათვის რაიმე მნი-
შვნელოვანი მოვლენა, რომელ-
საც იგი არ შეხებოდეს და არ გა-
მოეთქვას თავისი აზრი. უდიდესი
აღწეოთებითა და მრისხანებით
არის აღსავსე მისი წერილი ილია
ჭავჭავაძის მკვლელობაზე სათაუ-
რით „სამშობლოს“ დანო და ძმა-
ნო“.

იგი აქტიურად თანამშრომლობ-
და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებ-
ში. განსაკუთრებით სრულად გა-
მომჟღავნდა მისი პუბლიცისტურ-
ჟურნალისტური შეხედულებანი
მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდ-
გა გაზეთ „სამუსლიმანო საქარ-
თველოს“. ეს გაზეთი განუხრელად
იბრძოდა ქართველი ხალხის, სა-
ქართველოს ერთიანობისათვის.
მემედს თანამემამულეთა მიმართ
თანაბარი პატივისცემა და სიყვა-

რული, ნდობა და გულახდილობა
სამშობლოს ბედნიერების გზა-
ჯად მიაჩნდა.

ამ სახელოვანი მოღვაწის მრავალმხრივ საქმიანობას ამკობს აგრეთვე მთარგნელობითი შემოქმედება. მის მიერ თარგმნილი ნაწარმოებები აუცილებლად გამოირჩეოდა თანამედროვეობის აქტუალობით. მან თარგმნა ნამიკ ქემალის „სილისტრია“, რომელიც „სამშობლოს“ სახელწოდებით დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1905 წელს. იმავე წელს დაიდგა სცენაზე. იგი თარგმნიდა აგრეთვე ომარ ხაიამის რუბაიებს. თურქულად თარგმნა შანშიაშვილის „ანზორი“, დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ ენაზე თარგმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა მისი დამთავრება.

1916 წელს „სახალხო ფურცლისა“ და „საქართველოს“ გვერდებზე გაიშალა დისკუსია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა, ვითომცდა, მუსლიმანური სამყაროდან წარმომავლობის შესახებ. ამ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო მ. აბაშიძემ.

1926 წელს მ. აბაშიძე მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა ყრილობაზე და წარმოთქვა სიტყვა ენის სიწმინდის შესახებ. იგი მოითხოვდა ენის დახვეწას, ბრძოლას უცხო სიტყვათა გაუმართლებელი შემოღების წინააღმდეგ.

იმავე 1926 წელს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ № 1-ში მან გამოაქვეყნა სტატია „ქართული ენის გაწმენდისათვის“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მ. აბაშიძე აქტიურად ჩაება სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

ასი წელი გავიდა ამ თავდადე-

ბული მამულიშვილის დაბადებიდან. ახლა, ასი წლის შემდეგ, უფრო ნათლად ჩანს თუ რა დიდი საქმე გააკეთა მან თავისი სამშობლოს — საქართველოს, მისი ორგანიზებული ნაწილის აჭარის დღევანდელი დღისთვის. ამიტომაც მაღლიერი ერი კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებს თვალს მის მოღვაწეობას და გულში ინახავს მის ნათელ სახელს.



მოთაქ თემათიძე

ქარიშხალი მთაში

პეტერბურგის პროლეტარიატის 1905 წლის 9 (22) იანვრის გამოსვლებით, რომელიც ცნობილია „სისხლიანი კვირის“ სახელით, დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქის რუსეთის პირველი რევოლუცია. პეტერბურგის პროლეტარიატის „სისხლიანმა კვირამ“ უდიდესი გამოძახილი ჰპოვა რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ყველა კუთხეში. „რევოლუციის დროს პროლეტარიატის მასობრივი გაფიცვებისა და შეიარაღებული ბრძოლების ზემოქმედებით გაიშალა გლეხთა ფართო მოძრაობა.¹

რუსეთის პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს მშრომელები. საქართველოში, ისე როგორც რუსეთის იმპერიის დანარჩენ ნაციონალურ რაიონებში, სოციალურ ჩაგვრას ემატებოდა ეროვნულიც. ეს კიდევ უფრო მძაფრ სახეს აძლევდა მშრომელი მასების რევოლუციურ მოძრაობას.

¹ სკკპ ცკ დადგენილება „რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 70 წლისთავის შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 1975, 7 იანვარი.

ცარიზმისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის მდიდარ მატრიანეში ერთ-ერთი საყურადღებო ფურცელია აჭარის, კერძოდ, ქედის გლეხთა 1905 წლის აჯანყება. სამწუხაროდ, გლეხთა ეს რევოლუციური გამოსვლა დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი.

აჭარის გლეხობა რევოლუციამდე აუტანელ, მძიმე პირობებში ცხოვრობდა. ამ მხარის ტერიტორიის მეტი ნაწილი მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარი იყო. ამიტომ მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მოსახლეობა — გლეხობა მწვავედ განიცდიდა ვარგისი მიწების უკმარისობას.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მდგომარეობით ქვემო აჭარის მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში მყოფი დამუწავებული მიწები შეადგენდა 3530 დესეტინას. ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 1,37 დესეტინა.² ცხადია, მიწების მფლობელობა-სარგებლობა

² საქ. სახელმწ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 229, ანაწ. 2, საქ. 674, ფურც. 279.

არ იყო ერთნაირი. მათ უმეტეს ნაწილს და საუკეთესო სავარგულებს ალა-ბეგები ფლობდნენ. გლეხები, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ, იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწები. მიწის საიჯარო ქირა აქ ყველაზე მაღალი იყო. ხშირ შემთხვევაში იგი მონახევრობის ფორმით გამოიხატებოდა.

მიწის ნაკვეთები დამრეცი და გამოფიტული იყო, მცირე მოსავალს იძლეოდა. ასევე დაბალმოსავლიანი იყო ხეხილის ბაღები. ქედის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი კ. მკურნალი თავის სტატიაში, რომელიც 1905 წლის 15 მარტს დაიბეჭდა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკში“, აღნიშნავდა, რომ ქვემო აჭარის გლეხები მეტისმეტად ღარიბნი არიან და შიმშილობენო.³

რევოლუციამდე ქვემო აჭარაში სუსტად იყო განვითარებული სასაქონლო მეურნეობა. გლეხები, ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის, გარესაშოვარზე დადიოდნენ. ქ. ბათუმსა და საქართველოს სხვა კუთხეებში.

ქვემო აჭარის მოსახლეობას დაკისრებული ჰქონდა მრავალრიცხოვანი გადასახადები და გამოსაღებები. მეფის მთავრობამ აჭარაში 1900 წლამდე შეინარჩუნა ოსმალური გადასახადებისა და გამოსაღების ყველა სახეობა. პირველ წლებში მოსახლეობა გადასახადებსა და გამოსაღებებს ძირითადად ნატურით იხდიდა, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში მეფის რუსეთის მთავრობამ აჭარაში გაატარა საგადასახადო რეფორმა, რითაც ნატურალური გადასახადი შეიცვალა ფულადით. ამ აქტს პროგრესული მნიშვნელობაც ჰქონდა, რამდენადაც მან ხელი შეუწყო სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას, მაგრამ მეორეს მხრივ, მან კიდევ უფრო გააძლიერა გლეხთა ექსპლუატაცია.

1900 წელს მეფის რუსეთმა ბათუმის ოლქში განახორციელა ახალი რეფორმა საგადასახადო პოლიტიკასა და სასოფლო-მმართველობის დარგში ოსმალური გადასახადებისა და გამოსაღებების სახეები შეიცვალა რუსულით, ასევე ოსმალური მუხტარის თანამდებობის ნაცვლად, რომელსაც ევალებოდა გადასახადებისა და გამოსაღებების აკრეფა, შემოღებულ იქნა მთავრობის მამასახლისის ინსტიტუტი. მთელი ბათუმის ოლქი დაიყო 22 სასოფლო ოკრუგად. მათ შორის ქვემო აჭარაში იყო სამი სასოფლო ოკრუგი (ხერთვისის, ქედისა და ცხმორისის), რომელშიც 64 სოფელი შედიოდა.

ამ რეფორმით ოდნავადაც არ შემსუბუქებულა გლეხთა გადასახადებისა და გამოსაღებების ტვირთი. პირიქით, იგი კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი შეიქმნა. მიწის, ტყისა და საძოვრებ-საბალახოების მფლობელობა - სარგებლობის გამრ გლეხები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ სახელმწიფო საღალო გამოსაღები და საეროებო შესაყრები, რაც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა.

გლეხობას მეტად უმძიმდა ტყის სარგებლობისათვის გადასახად-ბაჟების გადახდა და სასოფლო მმართველობის შესანახი ხარჯების გაღება. მათივე (გლეხთა) განცხადებით ქვემო აჭარის გლეხობა ყოველ 100 ცალ ყავარზე იხდიდა ორ-ორნახევარ მანეთს გადასახადის სახით და სამ მანეთს ბაჟს.⁴ ბაჟი, გადასახადთან ერთად, ვრცელდებოდა აგრეთვე სამასალე ხე-ტყეზე. ამას უნდა დაემატოს მეტყევეთა და ადგილობრივი ტყისმცველების თვითნებობა და ბოროტმოქმედება.

აღელვებული გლეხები არაერთხელ გამოსულან ტყისმცველების წინააღმდეგ, გაუძევებიათ ისინი სოფლებიდან. ასე მოხდა, მაგალითად, ქვემო აჭარის სოფელ ახოში 1905 წლის თებერვალში.

3 „Черноморский вестник“, 1905, № 7.

4 ბათუმის რევ. მუზეუმის არქივი, ფ. 2, საქმე 111, ფურც. 2;

გლებებმა სასტიკი უარი განაცხადეს ტყის ბაჟისა და გადასახადის გადახდაზე, მოკვლით დაემუქრნენ ტყისმცველს, რომელმაც გაქცევის უშველა თავს. მთავრობამ ამის გამო 12 გლეხი დააპატიმრა და ციხეში ჩამწყვდია. მძიმე კატორღულ პირობებში, სასტიკი წამებით სამი მათგანი ჰკუთხე შეიშალა და მალე გარდაიცვალა.⁵ გლეხობას საკუთარი სახსრებით უნდა შეეცადა სასოფლო მმართველობის ადმინისტრაციული შენობებში, უზრუნველყო გათბობა-განათებით, გადაეხადა სასოფლო ოკრუგების მმართველობისა და მწერლების წლიური გასამრჩელო, უფასოდ გაეწია სამსახური მთავრობის მოხელეებისათვის როგორც პირადად, ისე ცხენითა და გამწევი ძალით, ამას თან ახლდა სასოფლო მმართველობის ჩინოვნიკების თვითნებობა და ბოროტმოქმედება. ქვემო აჭარის მოსახლეობამ არაერთხელ გამოთქვა პროტესტი სასოფლო ოკრუგების მმართველობის ინსტიტუტის შემოღების გამო და გამოვიდა მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ.⁶

გლეხობას ძალიან უმძიმდა აგრეთვე სამხედრო ვალდებულებასთან დაკავშირებული სპეციალური გადასახადის გადახდა, რომელსაც მოსახლეობა ეძახდა „საღდათის ფულს“. საქმე ისაა, რომ მეფის მთავრობა აჭარას უნდობლად ეკიდებოდა და ამ მხარიდან სამხედრო სამსახურში არ გაჰყავდათ ახალგაზრდობა. სამაგიეროდ ახდევინებდნენ სპეციალურ გადასახადს.

კიდევ უფრო მძიმე იყო მრავალრიცხოვანი საბაჟო გადასახადები. მათგან აღსანიშნავია ნავთზე დაწესებული ბაჟი. ოფიციალური მასალებით ქ. ბათუმში ერთი ფუთი ნავთი ღირდა 40 კაპიკი,

ხოლო აჭარის სოფლებში 1 მანეთი და 20 კაპიკიდან 2 მანეთამდე.⁷

მშრომელი მოსახლეობა მძიმე ტანჯვის განიცდიდა ადგილობრივი ალა-ბეგებისა და სასულიერო წოდებისაგან. ალა-ბეგები უმოწყალოდ იყენებდნენ გლეხთა შრომას თავიანთ მამულებში, განუკითხავად ერეოდნენ მათ ყოფა-ცხოვრებაში, მეტწილად გლეხების ქალ-ვაჟთა გათხოვება-დაქორწინებასა და სხვა საკითხებში, რისთვისაც იღებდნენ ქრთამს.

ალა-ბეგები ისე გათავზედებული იყვნენ, რომ თავიანთ გარშემო შემოკრებილი ჰყავდათ მძარცველები და მკვლელები — დეკლასირებული ელემენტები, რომლებიც ნადირობდნენ გლეხებსა და მათ საკუთრებაზე. ქედის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ს. დიასამიძის მოგონებაში აღნიშნულია, რომ ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილს ჰყავდა საიდუმლო შეიარაღებული რაზმი, რომელიც ბათუმისა და ყარსის ოლქებში მშრომელი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯასა და მკვლელობას ეწეოდა.⁸

გლეხებისათვის არანაკლებ მძიმე იყო აგრეთვე მუსლიმანური სასულიერო წოდების შესანახი ხარჯების გაღება. მედრესეებსა და ჯამეებში მოკალათებული მოლა-ხოჯებისათვის გლეხებს რიგრიგობით უნდა მიეტანათ საჭმელი, რომელსაც მოსახლეობა „ხოჯის ვახშამს“ უწოდებდა. გარდა ამისა, თითოეულ კომლს დაკისრებული ჰქონდა წლიურად გადაეხადა სპეციალური გადასახადი (სამ მანეთამდე) მუსლიმანური სასულიერო წოდებისათვის, როგორც გასამრჩელო.

7 „Красный архив“, 1940, № 2 (99), стр. 112.

8 ბათუმის რევ. მუზ. არქივი, ფ. 5, საქმე 51, ფურც. 1-2.

5 იქვე, ფურც. 3.

6 „Черноморский вестник“, 1905, № 7.

ეკონომიურ-პოლიტიკურ უფლებობასა და ექსპლუატაციას ემატებოდა ჭროვნილი ჩაგვრა, მორალურ-პოლიტიკური დამცირება, აბუჩად აგდება და სხვა.

ასეთ მძიმე, არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ გლეხები. ქვემო აჭარის გლეხობა არაერთხელ გამოსულა ცარიზმისა და ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგ, მაგრამ მისი ბრძოლა ახალი ძალით გაიშალა და უფრო ორგანიზებული სახე მიიღო 1902 წლის დამდეგს, ბათუმში ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის შემდეგ.

ქვემო აჭარიდან, ისე როგორც საქართველოს სხვა სოფლებიდან, ქ. ბათუმში ზშირად ჩამოდიოდნენ გლეხები. ერთი ნაწილი სამუშაოს დაეძებდა ფაბრიკა-ქარხნებში, ნაწილს კი ხეხილი და სხვა წვრილმანი საქონელი ჩამოჰქონდა გასაყიდად. ისინი ეცნობოდნენ ბათუმის პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას, რასაც სოფლებში დაბრუნებისას თანასოფლელებს აცნობდნენ. ქვემო აჭარის გლეხთა გამოფხიზლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან სამუშაოდ ჩამოსული პირები. რომელთა ნაწილს ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

ქვემო აჭარაში გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები აღინიშნებოდა 1905 წლის რევოლუციამდეც, კერძოდ, 1902 წლის აგვისტოში სოფელ ზუნდაგას მცხოვრებლებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ცარიზმის მოხელეებს მახუნცეთის მახლობლად. ბერძნებით შეიარაღებულმა გლეხებმა განაიარაღეს მეფის მთავრობის მოხელენი, რომლებიც მათ (გლეხებს) ჩაქვის საუფლისწულო მამულის მთიან ზოლში საძოვრებისა და ტყის სარგებლობის საშუალებას არ აძლევდნენ. მთავრობის ადგილობრივმა ორგანოებმა უარი განაცხადეს გლეხთა წინააღმდეგ გამოსვლა-

ზე. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ საქმეში ჩაერია კავკასიის მეფისნაცვლი და სხვა უმაღლესი ჩინის მოხელეები.⁹

გლეხთა რევოლუციური გათვითცნობიერება თანდათან იზრდებოდა. 1902-1905 წლებში ქვემო აჭარის სოფლებში იმართება გლეხთა ფარული შეკრებები, სადაც მონაწილეობდნენ ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. ერთ-ერთი ასეთი შეკრება 1905 წლის რევოლუციის დაწყების წინ გამართულა სოფელ გულეზში მოწინავე გლეხი რევოლუციონერის სერდალ დიასამიძის ბინაში. ამ ფარულ შეკრებას ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ აქტიური გლეხი რევოლუციონერები ზვარედან, მერიისიდან, ზენდიდიდან და სხვა სოფლებიდან.

ამ შეკრებაზე ჩამოყალიბდა გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი. ამ ცენტრს, რომლის შემადგენლობა შემდგომში გაფართოვდა, სისტემატური კავშირი ჰქონდა რსდმპ ბათუმის კომიტეტთან. მათგან იღებდა რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს.

აჯანყებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ გლეხები: სერდალ დიასამიძე, მურთაზ დელიბალი-ოღლი, ახმედ დიასამიძე, მემედ ცინცაძე, ზუსეინ დიასამიძე, მურად ბერიძე, ოსმან ბასილაძე, დაუთ თურმანიძე და სხვები.

გლეხთა რევოლუციური გამოსვლის მომზადებასა და განხორციელებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქედში სამუშაოდ მივლინებული პირები: ექთან გ. სალუქვაძე, სასოფლო მმართველობის მაძასახლისის კანცელარიის მწერალი ლ. მენაბდე და მასწავლებელი კ. მკურნალი. თუმცა აღნიშნული პირები კონსპირაციულად ეწეოდნენ რევოლუციურ საქმიანობას, მაგრამ მთავრობამ

9 საქ. სახ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 13, ანაწ. 7, საქმე 2866, ფურც. 9.

შვედ მაინც მიიტანა მათზე. გ. სალუქვაძე აჯანყების დაწყებამდე გადაიყვანეს ქედიდან, ხოლო დანარჩენები აჯანყების დამარცხების შემდეგ. მასწავლებელი კ. მკურნალი 1906 წლიდან ცხოვრობდა ბათუმში. მას მთავრობა „არასაიმედო“ პირად თვლიდა.¹⁰

ხელმძღვანელი ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ გლეხები შეუდგნენ აჯანყებისათვის მზადებას. ქედის რაიონის ყველა სოფელში ჩამოყალიბდა გლეხთა მცირერიცხოვანი კონსპირაციული ჯგუფები, რომლებთანაც მთავარ ხელმძღვანელ ცენტრს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული. მისი წარმომადგენლები სისტემატურად, შენიღბულად დადიოდნენ სოფლებში და ამზადებდნენ გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლას. ამასთან აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი ცენტრი მოხერხებულად იყენებდა ქედაში პარასკევობით გამართულ ბაზრობებს. ამ დღეს ქედაში ქვემო აჭარის საპოლიციო უზნის სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოდიოდნენ გლეხები. აქ ეწყობოდა გლეხთა შეკრებები, იმართებოდა მიტინგები, სადაც გაისმოდა მოწოდების ხმა ცარიზმისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქვემო აჭარის სოფლებში ჩამოყალიბდა შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც სათავეში ედგნენ ასისტავები. აჯანყებულმა გლეხებმა ტყვია-წამლის ნაწილი მიიღეს რსდმპ ბათუმის კომიტეტისაგან. აჯანყების დაწყებამდე ხელმძღვანელი ცენტრის წარმომადგენელს საუბარი ჰქონდა რსდმპ ბათუმის კომიტეტში, აქ მას მისცეს საჭირო რჩევა-დარიგება და მითითება.

1905 წლის დასაწყისში უკვე არსებობდა აჯანყების ობიექტური პირობები — რევოლუციური სიტუაცია, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: ჯერ-ერთი, გაბატონებულ კლასებს —

„ზედაფენებს“ აღარ შეუძლიათ უცვლელი სახით შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა, ხოლო ჩაგრულ კლასებს — „ქვედაფენებს“ არ სურთ იცხოვრონ ძველებურად, ვინაიდან გაბატონებული კლასების პოლიტიკური კრიზისი იწვევს მათ უკმაყოფილებასა და აღშფოთებას; მეორე, ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად; მესამე, აღნიშნული მიზეზების გამო მასების აქტივობის მნიშვნელოვანი გაძლიერება, რის შედეგად იწყება მათი რევოლუციური გამოსვლები.¹¹

შექმნილი რევოლუციური სიტუაცია სუბიექტური ფაქტორების გავლენით ქვემო აჭარაში 1905 წლის თებერვლის დამდეგს აჯანყებაში გადაიზარდა. 7 თებერვალს დაიწყო გლეხთა მძლავრი აჯანყება. ცარიზმის სულშემხუთავი რეჟიმით და ექსპლოატატორული კლასების სისასტიკით აღშფოთებული ქვემო აჭარის გლეხები ერთიანად დაიძრნენ ქედისაკენ. აქ იყო ქვემო აჭარის საპოლიციო უზნისა და ქედის სასოფლო მმართველობის კანცელარიები.

გლეხები შეიარაღებული იყვნენ თოფებით, რევოლვერებით, ცულებით, წაღლებით, დანებით და სხვ. თანაც თითოეულ აჯანყებულ გლეხს წამოღებული ჰქონდა 4-5 დღის საგზალი. აჯანყების ძირითად ბირთვს ზრდასრული მამაკაცები შეადგენდნენ, მაგრამ მასში აქტიურად მონაწილეობდნენ მოხუცებიცა და ახალგაზრდებიც. ყველა ერთად იბრძოდა თავისუფლებისათვის.

აჯანყებაში გლეხთა მრავალრიცხოვანი მასა მონაწილეობდა. წყაროებში აჯანყებულთა რიცხვი სხვადასხვაა ნაჩვენები. მეფის მთავრობის ოფიციალური მასალების მიხედვით აჯანყებაში მონაწილე გლეხთა რაოდენობა შეადგენდა 1000 კაცს.¹² აჯანყების მონაწილეთა ერთი

11 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 248.

12 „Красный архив“, 1905, № 2(99), стр. 112; ბათუმის რევ. მუზეუმის არქივი, ფ. 2, საქმე 111, ფურც. 10.

10 ბათუმის რევ. მუზეუმის არქივი, ფ. 2, საქმე 162, ფურც. 43.

ნაწილის მოგონებებში მათი რიცხვი განსაზღვრულია მიახლოებით 3000 კაცის რაოდენობით.¹³

ვფიქრობთ, არც ერთი და არც მეორე არ არის ზუსტი. მეფის მთავრობის მოხელენი ზოგჯერ განგებ ამცირებდნენ აჯანყებულთა რაოდენობას, ასეთი მაგალითები მაშინ იშვიათი როდი იყო. მეორე მხრივ, ცხადია, გადაჭარბებულია აჯანყების მონაწილეთა მიერ ნაჩვენები რიცხვით.

სხვადასხვა წყაროების შეჯერება საშუალებას გვაძლევს მიახლოებით დავადგინოთ აჯანყებაში მონაწილე გლეხთა რაოდენობა. ერთ-ერთი ასეთი საიმედო წყაროა ქედის სკოლის მასწავლებლის კ. მკურნალის სტატიები, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკში“ 1905 წლის 15 და 16 მარტს. აქ აღნიშნულია, რომ აჯანყებაში მონაწილეობდა 2000 კაცი.¹⁴ კ. მკურნალი ამ აჯანყების თვითმხილველი და მონაწილე იყო. მისი სტატიები დაწერილია აჯანყების დამარცხების დღეებში და, ამდენად, იგი უფრო სარწმუნოა.

კ. მკურნალის ამ ცნობას ადასტურებს აგრეთვე გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელთა სერდალ და ხუსეინ დიასამიძეების მოგონებანი.¹⁵

გლეხთა აჯანყება ერთსულოვანი იყო. თოვლიანი ზამთრის, გაუვალი და ძნელად გადასასვლელი გზების მიუხედავად, შეიარაღებული გლეხები დარაზმულნი გამოცხადდნენ ქედაში. 1905 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ქვემო აჭარის საპოლიციო უბანში ცხოვრობდა 2557 კომლი.¹⁶ აჯანყებაში მო-

ნაწილეობას იღებდა ცხმორისისა და ქედის სასოფლო ოკრუგების თითქმის ყველა კომლი და ხერთვისის სასოფლო ოკრუგის გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

აჯანყებული შეიარაღებული გლეხები შეიკრიბნენ ქედის ხილთან, აქ გამართეს მიტინგი, გულისწყრომით დაგმეს არსებული სულშემსუთავი წყობილება, აღაბეგებისა და სხვა მჩაგვრელების ძალადობა. ბოლოს ერთგულების ფიცი დასდეს, რომ არ ეღალატათ ერთმანეთისათვის და ებრძოლათ ერთსულოვნად.

ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ შეიარაღებული გლეხები მწყობრად მივიდნენ ქედის საპოლიციო უბნის შენობასთან, სადაც საუბნო სამმართველოს უფროსს სერგეევს წარუდგინეს მოთხოვნები.

აჯანყებული შეიარაღებული გლეხები მოითხოვდნენ სასოფლო ოკრუგების გაუქმებას და გლეხთა განთავისუფლებას მათი შესანახი ხარჯებისაგან. გლეხთა განცხადებით წელიწადში თითოეული კომლი სასოფლო ოკრუგების სამმართველოების შესანახად იხდიდა ერთ მანეთსა და 20 კაპიკს. ისინი მოითხოვდნენ აღდგენილიყო ძველი მუხტარის თანამდებობა, რომლის შესანახავად გლეხები ორჯერ ნაკლებ თანხას იხდიდნენ, საშუალება მისცემოდათ თვითონ წამოეყენებინათ და აერჩიათ თავიანთი წრიდან სოფლის მუხტარი, მთავრობის მიერ ბეგების ფენიდან დანიშნული მამასახლისების მაგივრად.

მოითხოვეს აგრეთვე ტყისმცველთა თანამდებობის გაუქმება და გლეხთა განთავისუფლება ტყის გადასახადისა და ბაჟისაგან, ბათუმიდან ნავთის თავისუფლად ამოტანის უფლება და მასზე ბაჟის გაუქმება.

აჯანყებულები ცდილობდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე სამუშაო ქირის გადიდებას (ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე უფასოდ მუშაობდნენ). მათივე განცხადებით გლეხების სამუშაო დღის ხანგრძლივობა გზების შე-

13 ბათუმის რევ. მუზეუმის არქივი, ფ. 2, საქმე 111, ფურც. 2.

14 „Черноморский вестник“, 1905, № 7.

15 ბათუმის რევ. მუზეუმის არქივი, ფ. 5, საქმე 38, ფურც. 1; იქვე, საქმე 51, ფურც. 6;

16 „Кавказский календар“ на 1907 год, Тифлис, 1906, стр. 156-158.

კეთებაზე 12 საათს აღმატებოდა, ხოლო გასამრჩელო 50 კაპიკს აღწევდა. აჯანყებულნი მოითხოვდნენ დღიური ანაზღაურების გადიდებას ერთ მანეთსა და 20 კაპიკამდე.

ასევე მოითხოვდნენ ქედის ურთიერთდახმარების სალაროს მართვის გლეხთა განკარგულებაში გადაცემას, ანდა მათ მიერ შეტანილი ფულის უკან დაბრუნებას. საქმე იმაშია, რომ XIX საუკუნის ბოლოს ქედაში გაიხსნა ურთიერთდახმარების სალარო, რომლის ფულადი თანხა შედგებოდა გლეხთა საწევრო შენატანებისაგან. ეს ურთიერთდახმარების სალარო ფაქტიურად გლეხებს არავითარ დახმარებას არ უწევდა. მის სათავეში იდგა დევრიშ-ბეგ შერვაშიძე, რომლის ძმამ დედე-ბეგმა სალაროდან სესხად აიღო 7000 მანეთი და თურქეთში მიიმალა. ამის გამო გლეხები დიდად აღელვებული იყვნენ.¹⁷

შეშინებული მოხელენი დაიმაღნენ კანცელარიებში, ხოლო საპოლიციო უბნის უფროსი სერგეევი იძულებული გახდა გამოსულიყო აჯანყებულთა წინაშე. მან ღმობიერი ტონით განუცხადა აჯანყებულებს, რომ ამ მოთხოვნების შესრულება არ შედის ჩემს კომპეტენციებში და შესრულებაც არ შემოძლიაო. მაშინ აღშფოთებული გლეხები დაერივნენ მეფის მთავრობის დაწესებულებებს და მათ მოხელეებს. 1905 წლის 8 თებერვალს დაარბიეს ცხმორისის სასოფლო ოკრუგის კანცელარია, ხოლო 9 თებერვალს ქედის საპოლიციო უბნისა და სასოფლო ოკრუგის სამმართველოების კანცელარიები.

ქედის სასოფლო ოკრუგის კანცელარიაში გლეხებმა ნახეს 42 „დაშაშხული ქათამი“, დიდძალი ხილი და ნიგოზი.¹⁸ იგი გაჰირვებული და დაბეჩავებული

გლეხებისაგან გამოძალული „ნადავლი“ იყო.

აჯანყებულმა გლეხებმა განაიარაღეს მთავრობის მოხელენი და გამოძევეს ისინი დაწესებულებიდან. ჩამოსწვნი აბრები ადმინისტრაციულ შენობებს, გარეთ გამოყარეს კანცელარიების ნივთები, ქუჩაში საჯაროდ დახიეს ნიკოლოზ მეორის სურათი. ასევე ქუჩაში დაწვეს და გაანადგურეს კანცელარიების დოკუმენტები, ლურსმანებით დაჭედეს დაწესებულებათა კარები და დამცველები გამოჰყვეს, რომ გამოძევებული მოხელეებიდან შიგ არავინ არ დაბრუნებულიყო. ამასთან ერთად გაწყვიტეს სატელეფონო კავშირი ბათუმთან.¹⁹

მეფის რუსეთის მთავრობამ ზომები მიიღო გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად. 10 თებერვალს ბათუმიდან ქედაში ჩავიდა ოკრუგის უფროსი პოდპოლკოვნიკი ჩერნოვი, რომელსაც ევალებოდა აჯანყების ჩაქრობა და ხელმძღვანელთა გამოვლენა.²⁰ გლეხებმა მასწავლებელ კ. მკურნალის დახმარებით რუსულ ენაზე შეადგინეს ვრცელი პეტიცია პოდპოლკოვნიკ ჩერნოვზე გადასაცემად.

1905 წლის 11 თებერვალს დილით ქედის ხიდთან კვლავ შეიკრიბნენ მრავალრიცხოვანი აჯანყებული გლეხები. ისინი მოუთმენლად ელოდნენ პოდპოლკოვნიკ ჩერნოვის გამოჩენას. აჯანყებულთა დასამშვიდებლად ჩამოსულ პოდპოლკოვნიკ ჩერნოვს მასწავლებელმა კ. მკურნალმა წაუკითხა გლეხთა პეტიცია. პოდპოლკოვნიკმა პირფერული სიტყვებით დაუწყო ხალხს დამშვიდება, დაპირდა ზოგიერთი მოთხოვნის შესრულება, მაგრამ უარი განაცხადა სასოფლო ოკრუგების სამმართველოების დახურვაზე, რასაც

19 ბათუმის რევ. მუხ. არქივი, ფ. 2, საქმე 111, ფურც. 3; იქვე, ფონდი 5, საქმე 50, ფურც. 2.

20 ბათუმის რევ. მუხ. არქივი, ფონდი 2, საქმე 111, ფურც. 4.

17 ბათუმის რევ. მუხ. არქივი, ფ. 2, საქმე 162, ფურც. 41; „Красный архив“, 1940, № 2(99), стр. 112.

18 გაზ. „ივერია“, 1905, № 10.

აჯანყებულები დაჟინებით მოითხოვდნენ.²¹

აჯანყებულები ჩიოდნენ ბეგარა-გადასახლებისა და ბაჟების სიმძიმის, ადგილობრივი ალა-ბეგებისა და მოხელეების თვითნებობის შესახებ. გლეხები გულისწყრომით ამბობდნენ: გავლატაკდით და ხსნა არსაიდან ჩანს. ერთი აგვიხსენით და გვითხარით (მიმართავდნენ ისინი მეფის მთავრობის მოხელეებს) საიდან შეუძლია სოფელს ამოდენა გადასახადის ატანა, სად არის შესაფერი მოგებაო.²²

აჯანყებულები არ ცხრებოდნენ, მათ არ სჯეროდათ პოდოლკოვნიკ ჩერნოვის დამამშვიდებელი, პირფერული სიტყვები. ისინი აღშფოთებული გაიძახოდნენ „წინათაც ხშირად გავვიგონია ასეთი დაპირება და საქმით კი არაფერი არ გამოსულა მაინცო“.²³ ჩერნოვის ეს მოგზაურობა ქვემო აქარაში უშედეგოდ დამთავრდა. მან ვერ შეძლო გლეხთა აჯანყების ჩაქრობა.

1905 წლის 12 თებერვალს დილის 10 საათზე აჯანყებული გლეხები ორგანიზებულად, მწყობრი რიგებით ისევ შეიკრიბნენ ქედის ხიდან და კვლავ გამართეს მიტინგი, ერთსულოვნად გმობდნენ არსებულ რეჟიმს, მოითხოვდნენ თავისუფლებას. თვითმხილველნი გადმოგვცემენ, რომ გლეხთა რისხვას იწვევდა მთავრობის მამასახლისების თვითნებობა და ბოროტმოქმედება. ისინი გაიძახოდნენ: ჩვენი მამასახლისი ღმერთიაო. ქედის საპოლიციო უბნის უფროსმა გლეხებს მეტად ღმობიერი, დამამშვიდებელი სიტყვით მიმართა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.²⁴

მეფის მთავრობამ სხვა ტაქტიკას მიმართა. აჯანყებულებს მოსალაპარაკებლად მიუგზავნა ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი და თოფან-ბეგ შერვაშიძე. მთავრობა ფიქრობდა ამ ერთეული ბეგების დახმარებით გლეხთა რევოლუციური გამოსვლის ჩაქრობას, მაგრამ აჯანყებულთა მიტინგზე მათმა გამოჩენამ კიდევ უფრო ააღელვა გლეხები.

ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი და თოფან-ბეგ შერვაშიძე, რომლებიც მთავრობას არწმუნებდნენ, რომ ხალხი მათი გავლენის ქვეშაა, ბევრს ეცადნენ დაეშოშმინებინათ აჯანყებულები, მოთაფლული სიტყვებით თხოვდნენ დამშვიდებას, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოლოს მუქარასაც მიმართეს, რის გამოც მათ აჯანყებულებმა ზიზლით უპასუხეს: გეყოფათ, რაც ყელიფეთ და ძარცვით მშრომელი ხალხი, ამიერიდან ჩვენ გვსურს თავისუფლება და არავისი ბატონობა არ გვინდაო.²⁵

მეფის რუსეთის მთავრობას გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა. ქვემო აქარაში ფაქტიურად პარალიზებული იყო ცარიზმის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. მთელ საპოლიციო უბანს გლეხები განაგებდნენ.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი და მისი ჩინოვნიკური აპარატი ვერ ბედავდა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ შეიარაღებული ჯარის გამოყენებას, რადგან ეს თავის მხრივ დიდ მსხვერპლს მოიტანდა, ამხედრებდა მთელ ქართველ გლეხობას, გამოიწვევდა საერთაშორისო გამოსმაურებას. ყოველივე ამას მთავრობა კარგად გრძნობდა, მაგრამ დიდი მეცადინეობის მიუხედავად, მან ვერ შეძლო მშვიდობიანი გზით გლეხთა აჯანყების ჩაქრობა. 13 თებერვალს სასწრაფოდ თბილისში გაემგზავრა ბათუმის ოლქის სამხედრო გუ-

21 „Черноморский вестник“, 1905, № 8

22 გაზ. „ივერია“, 1905, № 10

23 გაზ. „ივერია“, 1905, № 10

24 „Черноморский вестник“, 1905, № 8.

25 ბათუმის რევ. მუზ. არქივი, ფონდი 5, საქმე 38, ფურც. 2; იქვე, საქმე 51, ფურც. 6.

ზერნატორი აჯანყებულთა წინააღმდეგ დაბრძოლველად კავკასიის მეფისნაცვლისა და უმაღლესი პოლიტიურ-სამოხელეო აპარატისაგან ახალი ინსტრუქციებისა და მითითებების მისაღებად, აგრეთვე დამატებითი მასშველი შეიარაღებული ჯარების გამოსათხოვად.

ცარიზმმა გადაწყვიტა იარაღით ჩაექრო ქვემო აჭარის გლეხთა რევოლუციური გამოსვლა, აღედგინა დარბეული საპოლიციო უზნისა და სასოფლო ოკრუგების მმართველობა და ამისათვის საგანგებოდ მოემზადა. 19 თებერვალს ბათუმიდან ქელაში გაიგზავნა კარგად შეიარაღებული კაზაკების ასეული ორი ოფიცრისა და ოკრუგის უფროსის პოდპოლკოვნიკ ჩერნოვის შემადგენლობით. მათ თან ახლდნენ რეაქციონერი ალაზგეები, რომელთა დახმარებით მთავრობას უნდა გამოეცვლინებინა და დაედგინა აჯანყების ხელმძღვანელი პირები.

აჯანყებული გლეხების ერთსულოვანი განზრანვა იყო ჩაბმულიყვნენ კაზაკებთან ორთაბრძოლაში და განეიარაღებინათ ისინი. მაგრამ რსდმპ ბათუმის კომიტეტმა, რომელსაც სისტემატური კავშირი ჰქონდა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობასთან, მიზანშეწონილად არ მიიჩნია გლეხების მიერ კაზაკებთან შეიარაღებული ბრძოლის გამართვა. თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მან ურჩია აჯანყებულ გლეხებს არ ჩაბმულიყვნენ კაზაკებთან შეიარაღებულ ბრძოლაში.

ამ აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი სერდარ დიასამიძე თავის მოგონებაში გადმოგვცემს: ჩვენ განზრახული გვქონდა ჩავსაფრებოდით კაზაკებს და განგვეიარაღებინა ისინი. ამას შევძლებდით, რადგან რიცხოვრებულ ვკარბოდით მათ და იარაღიც საკმარისი გვქონდა. კაზაკებს სროლაშიც არ ჩამოუვარდებოდათ, ვინაიდან ჩვენს ხალხს, წამოიზრდებოდა თუ არა, თოფი ხელში ეჭირა, მაგრამ სანამ ქელაში კაზაკთა ასეული

ამოვიდოდა, მანამდე თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა ბათუმის კომიტეტმა, რომელმაც გვირჩია ჯარისათვის არ გაგვეწია შეიარაღებული წინააღმდეგობა. ჩვენც ასე მოვიქცით.²⁶

შეიარაღებულ კაზაკებზე დაყრდნობით მთავრობა შეუდგა აჯანყების ლიკვიდაციას, მისი ხელმძღვანელების დაპატიმრებას და პარალიზებული საპოლიციო უზნისა და სასოფლო მმართველობის აღდგენას. მოსახლეობის დაშინებისა და აჯანყების ხელმძღვანელთა დაპატიმრების მიზნით ქელაში შეკრიბეს გლეხები. კვლავ დაპირდნენ ზოგიერთი მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამასთან ერთად აქვე გამოაცხადეს წინასწარ შედგენილი სია იმ 60 კაცისა, რომელთა დაპატიმრება მთავრობას ჰქონდა განზრახული. გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელთა მოგონებებით ირკვევა, რომ იგი შედგენილი იყო დევრიშ-ბეგ ბეჟანბის მიერ, რომელიც მოსახლეობის ძარცვითა და აწიოკებით ქვემო აჭარის ბეგებს შორის გამოირჩეოდა. ამ შეკრებაზე დაპატიმრეს გლეხთა აჯანყების 38 აქტიური მონაწილე, ხოლო მთავარი ხელმძღვანელების დაპატიმრება ვერ შესძლეს — ისინი არალეგალურ მდგომარეობაში იყვნენ. პოდპოლკოვნიკი ჩერნოვი ხალხისაგან დაჟინებით მოითხოვდა უზრუნველყო დაპატიმრებას გადარჩენილი მთავარი ხელმძღვანელების მთავრობაში გამოცხადება, საწინააღმდეგო შემთხვევაში სოფლებში ეგზეკუციის ჩაყენებით იმუქრებოდა.²⁷

მეფის მთავრობის მოხელეთა ვერაგობა, მშრომელთა დაუნდობელი აწიოკება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომ აჯანყების ხელმძღვანელებმა გლეხთა ოჯახებში ეგზეკუციის ჩაყენებას, საკუთარი თავის ტანჯვა-წამება ამჯობინეს.

26 ბათუმის რევ. მუზ. არქივი, ფ. 5, საქმე 51, ფურც. 6.

27 ბათუმის რევ. მუზ. არქივი, ფ. 5, საქმე 50, ფურც. 2; იქვე, საქმე 51, ფურც. 7.

ნეს. მალე სხვებთან ერთად ისინიც საპრობილეში მოათავსეს.

გლახთა აჯანყება დამარცხებით დაითავრდა. 22 თებერვალს ქვემო აჭარაში მთავრობამ ძლივს აღადგინა სოფლის მმართველობის ორგანოები — გაიხსნა სასოფლო ოკრუგების სამმართველოს კანცელარიები, თავიანთ საქმიანობას შეუდგნენ მოხელეები — მთავრობის მამასახლისები და კანცელარიის მდივან-მწერლები.²⁸

მეფის ჯალათებს განზრახული ჰქონდათ სასტიკად გასწორებოდნენ გლახთა აჯანყების ხელმძღვანელებს, მაგრამ მთავრობა აჭარის მიმართ პოლიტიკური მოსაზრებითაც ხელმძღვანელობდა და გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა: დაპატიმრებულთა უმრავლესობა რამდენიმე დღის შემდეგ ციხიდან გაათავისუფლეს, მხოლოდ მთავარი ხელმძღვანელები დაიტოვეს და ისინიც სამი თვის შემდეგ გამოუშვეს.

მთავრობამ გლახთა მოთხოვნების უმნიშვნელო ნაწილი შეასრულა, კერძოდ, შემცირდა სასოფლო ოკრუგების სამმართველოების მამასახლისების წლიური ჯამაგირი, რომელიც ქვემო აჭარაში განისაზღვრა 100 მანეთით, ხოლო ბათუმის ოლქის დანარჩენ სასოფლო ოკრუგებში 150 მანეთით.²⁹ ამასთან, ქვემო აჭარაში რამდენადმე გაფართოვდა გლახთა უფლებები მამასახლისების არჩეუ-ნებში.

გლახები არ იყვნენ კმაყოფილი მთავრობის ამ უმნიშვნელო დათმობებით.

28 ბათუმის რევ. მუზ. არქივი, ფონდი 2, საქმე 111, ფურც. 5;

29 იქვე, ფურც. 5-6.

აჯანყების დამარცხების შემდეგაც ისინი განაგრძობდნენ კლასობრივ ბრძოლას სხვადასხვა ფორმით.

1905 წლის აგვისტოში გლახების დამთხოვნების მიზნით ქვემო და ზემო აჭარაში იმოგზაურა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა. 18 აგვისტოს ქედაში გლახობამ გუბერნატორს ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები წაუყენა: ბათუმიდან ნახევარ ფუთამდე ნავთის უბაჟოდ წაღების უფლება, სახელმწიფო და კერძო პირთა ტყე-მამულის ერთიმეორისაგან გამოიჯნა, ტყისმცველთა თვითნებობის აღაგმვა, გადასახადებისა და ტყის ბაჟის შემცირება, უმიწაწყლო გლახებისათვის ბათუმის ოლქის დაუსახლებელი სახელმწიფო მიწების გადაცემა, ხალხის მიერ უმრავლესობით არჩეული „სლოვესნი სუდიას“ (სიტყვიერი სასამართლო) დამტკიცება, ქედაში ფოსტა-ტელეგრაფის დაარსება და იარაღის თავისუფლად ტარების უფლება.³⁰

მეფის მთავრობამ ყურად არ იღო ხალხის მოთხოვნები.

მართალია, გლახთა აჯანყება ქვემო აჭარაში დამარცხდა, მაგრამ მას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ჩაგრული მასების საერთო დემოკრატიული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი. ამ მოძრაობამ, რომელიც სოციალიზმისათვის ბრძოლას ერწყმოდა, დიდი როლი შეასრულა გლახთა კლასობრივი თვითშეგნების ამაღლების საქმეში; მან შექმნა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების წანამძღვრები.

30 გაზ. „ივერია“, 1905, № 155.

ლევან კალენდარიშვილი

სოფელი და შრონტი

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ფაშისტურ გერმანიასთან იყო სოციალისტური სოფლის მეურნეობის სისტემის სიცოცხლისუნარიანობის მკაცრი გამოცდა. საკოლმეურნეო წყობამ პირნათლად გაუძლო ამ გამოცდას.

ომის პირველ პერიოდში ფაშისტურმა გერმანიამ დროებითი ოკუპაცია უყო საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილს. ამის გამო ზურგის რაიონებს დაეკისრა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ფრონტისა და მრეწველობის მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებითა და ხელღებულთ. პარტიისა და მთავრობის მოწოდებების საფუძველზე, აჭარის კოლმეურნეებმა თავდადებული შრომით სათანადო წვლილი შეიტანეს დასახული ამოცანის შესრულებაში.

სამამულო ომმა აჭარის კოლმეურნეთა მანამდე არნახული შრომითი ალტყინება და პატრიოტიზმი გამოიწვია. სამუშაოდ გამოვიდნენ მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი, რომლებმაც შესცვალეს ფრონტზე წასულები. თავდადებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, აჭარის მრავალდარგოვანმა სოფლის მეურნეობამ 1941 წელს გადამეტებით შეასრულა ძირითადი სახელმწიფო გეგმები: ჩაის ფოთლის კრეფისა — 126, ციტ-

რუსოვან ნაყოფთა ჩაბარებისა — 112, კარტოფილისა — 112 და თამბაქოს — 108 პროცენტით.¹ გადიდდა სახელმწიფოსათვის ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. განვითარდა მეფრინველეობა. კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ რესპუბლიკის მეფუტკრეებსაც; ხულოს რაიონიდან — ა. სირაძემ, ქედის რაიონიდან — ო. დუმბაძემ, ბათუმის რაიონიდან — ს. კახიძემ და სხვებმა სახელმწიფოს ჩააბარეს რამდენიმე ასეული კილოგრამით მეტი თაველი ვიდრე გეგმით ჰქონდათ გათვალისწინებული.

მეცხოველეობის განვითარება დამოკიდებული იყო ადგილობრივი საკვები ბაზის შექმნაზე. აჭარის მესაქონლეებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანას და 1941 წელს წინა წელთან შედარებით დაამზადეს 1555 ტონით მეტი სილოსი, ხოლო 1942 წელს — 11 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი სათიბებს დაუთმეს.

პარტიისა და მთავრობის მოწოდების საფუძველზე აჭარის კოლმეურნეებმა

¹ აჭარის ასსრ ცსა, ფონდი 84, ან. 2, საქ. 43, გვ. 26-29.

დაიწყეს სათვის ფართობების გადიდება, გამოიყენეს არა მარტო ყამირი მიწები, არამედ ხეხილის და ციტრუსების პლანტაციების რიგთაშორისი ადგილებიც, სადაც ითვისებოდა ერთწლიანი კულტურები, უმეტესად სიმინდი და პარკოსანი მცენარეები, აგრეთვე ბოსტნეული.

ახალი მიწების ათვისება საკოლმეურნეო მიწების დამუშავებასთან ერთად მოიხზოდა დამატებით მუშახელს, რის გამოც აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1942 წლის 26 მაისს მიიღო დადგენილება „ქლაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის სასოფლო სამეურნეო სამუშაოებზე მობილიზების შესახებ“, ხოლო იმავე წლის 8 ივნისს გამოიტანა დამატებითი დადგენილება „ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და შრომისუნარიან მასწავლებელთა მობილიზების შესახებ“. ამან დადებითი შედეგი გამოიღო. თუ 1941 წელს მარცვლულთა და პარკოსანთა კულტურებით ათვისებული იყო 14207 ჰექტარი, 1943 წლის დასაწყისში ამ ციფრმა მიაღწია 19336 ჰექტარს. ასე რომ, ერთწლიანი კულტურების სათვის ფართობები გაიზარდა 36,8 პროცენტით. ასეთი შედეგები განაპირობა მუშა ხელის გეგმიურმა გამოყენებამ და ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა პატრიოტულმა აღტყინებამ.

კოლმეურნეთა შრომით წარმატებებში დიდ როლს ასრულებდა კოლმეურნეობებსა და რაიონებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. გამოჩნდნენ შრომის მოწინავენი, რომლებსაც გამოეშველებული ჰქონდათ 570-600 შრომადღე. ბათუმის რაიონის სოფელ აჭარისწყლის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები მ. ლორთქიფანიძე, ე. თავდგირიძე, ხ. ასამბაძე ჩაის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებდნენ. ქობულეთის რაიონის სოფელ ხუტუბნის 64 წლის კოლმეურნეს ო. ემირიძეს, რომელსაც სამი

ვაგი ფრონტზე ჰყავდა, 1941 წლის 1 ივლისისათვის გამოეშველებული ჰქონდა 150 შრომადღე. სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის წევრის ხ. კაკაბაძის ოჯახის წევრებმა ერთ დღეს, 1941 წლის 28 ივნისს მოკრიფეს 821 კგ. ჩაის ფოთოლი. და ეს მაწინ, როცა შრომისუნარიან კოლმეურნეთა უმეტესობა საბჭოთა არმიის რიგებში იყო.

პარტია და მთავრობა ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მოქალაქეთა, კოლმეურნეთა, ფრონტზე წასულთა ოჯახებს, თავიანთი საჭიროებისათვის აეთვისებინათ დაუმუშავებელი ყამირი მიწები ქალაქის გარეუბნებში, რკინიგზის გასწვრივ და მრავალწლიან ნარგავთა რიგებს შორის. ამ ფართობებზე მოწეულ მოსავალს ისინი მთლიანად ღებულობდნენ და ამით მნიშვნელოვნად იზრდებოდა ოჯახის შემოსავალი. ბუნებრივია, ასეთი ღონისძიება გარკვეულ გავლენას ახდენდა საბაზრო ფასებზე, მისი შემცირების თვალსაზრისით. ეს თავისთავად დადებითად მოქმედებდა მშრომელთა საოჯახო ბიუჯეტზე.

სკკპ ცკ დადებითად შეაფასა კოლმეურნეთა შრომითი პატრიოტიზმი ომის წლებში. 1944 წელს კოლმეურნეებისადმი მიმართვაში ნათქვამი იყო: „თუ ომის მესამე წლისთავზე ჩვენი არმია არ განიცდის პროდუქტთა სიმცირეს, თუ მოსახლეობა მარაგდება პროდუქტებით, ხოლო მრეწველობა ნედლეულით, ეს ჩვენი საკოლმეურნეო სისტემის სიცოცხლისუნარიანობის და კოლმეურნეთა პატრიოტიზმის ნაყოფია“. მართლაც, აჭარის კოლმეურნეებმა სამამულო ომის პერიოდში თავისი პატრიოტული შრომით დაამტკიცეს თავდადება სამშობლოსადმი, სწრაფვა საერთო მიზნისაკენ — ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებისათვის. ამის ნათელი დადასტურება იყო ის, რომ აჭარის კოლმეურნეები, სხვა რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად იდგნენ მოწინავეთა რიგებში და

თავიანთ მხრებზე გადაჰქონდათ ომის სიმძიმე. აჭარის კოლმეურნეებმა კოლექტიური სულისკვეთება გამოამჟღავნეს არა მარტო თავდადებულ შრომაში მინდვრებზე, არამედ პატრიოტულ მოძრაობაში — ძმური, უსასყიდლო დახმარება გაეწიათ საოჯახო დანაზოგებიდან რუს, ბელორუს, უკრაინელ და სხვა თანამოძმეებისათვის, რომლებმაც უშუალოდ გამოსცადეს ფაშისტთა დროებითი ოკუპაციის საშინელებანი. აჭარის კოლმეურნეებს ნებაყოფლობით შეჰქონდათ თავიანთი ოჯახების დანაზოგი სამშობლოს თავდაცვის ფონდში. ამ თანხით მზადდებოდა სამხედრო ტექნიკა, რომელიც უმოწყალოდ ანადგურებდა მტერს. 1941 წლის სექტემბრისათვის ქალაქ ბათუმის მშრომელებმა შეაგროვეს და თავდაცვის ფონდს გადასცეს 2503964 მანეთი, სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა — 12000 მანეთი ერთდროულად და დაადგინეს ომის დამთავრებამდე თავდაცვის ფონდში გადაერიცხათ ორ-ორი დღის ხელფასი, სოფელ ხუტუბნის კოლმეურნეობის წევრებმა ერთდროულად შეიტანეს 15020 მანეთი და დაადგინეს ომის დამთავრებამდე ორ-ორი შრომადღის ღირებულება ყოველთვიურად შეეტანათ თავდაცვის ფონდში, რაც თვითურად შეადგენდა 3664 მანეთს. გარდა ამისა, 1941 წლის 7 ოქტომბრისათვის აჭარის მშრომელებმა შეაგროვეს და ფრონტზე გადაგზავნეს 2699 წყვილი შალის წინდა, 2925 თბილი ქურთუკი, 1364 წყვილი თბილი ფეხსაცმელი, 2189 წყვილი შალის ხელთათმანი, 1249 წყვილი ფეხსახვევი, 503 შალის ყელსახვევი და სხვ.

კიდევ უფრო მეტ დახმარებას უწევდნენ აჭარის მშრომელები ფრონტს შემდგომ წლებში. 1943 წლის დამდეგს მათ სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ ასაშენებელ ფონდში შეიტანეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი. ამ

ფონდში 50 ათასი მანეთი თავისი პირადი დანაზოგი შეიტანა ქედის რაიონის კოლმეურნემ დ. დ. ბერიძემ, ხოლო ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა ულიანოვკის კოლმეურნეებმა ა. დოლიძემ, ა. დუმბაძემ, ო. გორჯელაძემ და სხვ. თითოეულმა შეიტანა 10 ათასი მანეთი. ცალკეული სოფლების მიხედვით შეაგროვეს და იმავე ფონდში შეიტანეს ხულოს რაიონიდან რიყეთმა — 100 ათასი მანეთი, ლორჯომმა — 322470 მანეთი, დიოკნისმა — 148428 მანეთი, უჩამბამ — 160180 მანეთი, ხიხაძირმა — 50 ათასი მანეთი და ა. შ. 1943 წლის იანვრის ბოლოსათვის ხულოს რაიონის კოლმეურნეებმა ხსენებული სატანკო კოლონის აშენების ფონდში სულ შეიტანეს 2 მილიონ 40 ათასი მანეთი. მშობლებსა და უფროს ამხანაგებს არც მოსწავლე ახალგაზრდობა ჩამორჩა. კომკავშირელებმა და პიონერებმა საზაფხულო არდადეგების დროს საკოლმეურნეო მინდვრებზე გამომუშავებული შრომადღეების ღირებულება მთლიანად შეიტანეს თავდაცვის ფონდში. ქობულეთის რაიონის სოფ. ხუტუბნის სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ ს. რ. ხალვაშმა სატანკო კოლონის „ნორჩი პიონერის“ აშენების ფონდში შეიტანა 10 ათასი მანეთი. სურჩის პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურნენ აჭარის მოსწავლეები.

1943-1944 წლებში საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. ასეთ პირობებში გადაუდებელი ამოცანა გახდა განთავისუფლებულ რაიონებში დანგრეული სახალხო მეურნეობის უმოკლეს დროში აღდგენა. აჭარის კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის ამ მოწოდებას. გაჩაღდა პატრიოტული მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეგროვების მიზნით, რაც უსასყიდლოდ ეგზავნებოდათ რუს, უკრაინელ და ბელორუს თანამოძმეებს. მარტო 1943 წელს აჭარიდან რუსეთში გაგზავნეს 800 სული მსხვილფეხა რქოსა-

ნი პირუტყვი.² ამის გარდა დახმარების სახით გაიგზავნა: ხულოს რაიონიდან — 8, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებიდან — 12; მალე ბათუმის რაიონმა განთავისუფლებულ რაიონებში დამატებით გადაგზავნა 9 ძროხა, 7 უშობელი და 26 მსხვილფეხა რქოსანი სანაშენო საქონელი, ქობულეთის რაიონმა კი — 10 მევწველი ძროხა.³

პროდუქტების შეგროვებისა და განთავისუფლებული რაიონებისათვის უსასყიდლოდ, ძმური დახმარების პატრიოტული კამპანია გრძელდებოდა 1944 წელსაც. ამ საქმეში ინიციატივა გამოიჩინა ხულოს რაიონის კომკავშირელმა ახალგაზრდობამ, რომელმაც შეაგროვა და უკრაინაში, კერძოდ დონბასის ოლქში, გადაგზავნა 9,5 ტონა კარტოფილი, 5 ტონა კაკალი, 302 კგ. ვაშლი, 231 კგ. ლობიო, 134 კგ. თამბაქო, 109 ფრთა

ქათამი, 234 წყვილი შალის წინდები, 147 შალის ზელთათმანი და სხვ. იმავე წელს ახალგაზრდებმა კოლმეურნეობისაგან თავიანთი შრომითი დანაზრგით შეისყიდეს და უკრაინაში საჩუქრად გადაგზავნეს 77 მუშა ხარი.⁴ ამასთან, ყოველწლიურად აჭარის კოლმეურნეები ფრონტზე აგზავნიდნენ 10 ათას ლიტრ არაყს, რომლის ნაწილი, ჩვეულებრივ მოხმარების გარდა სამედიცინო დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი.

ამგვარად, ომის მძიმე წლებში ზურგმა, კერძოდ, საკოლმეურნეო წყობამ გამოავლინა სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა. ამის შესახებ ი. ბ. სტალინი ამბობდა: „თუ საბჭოთა წყობილებამ განსაცდელს ესოდენ იოლად გაუძლო და კიდევ უფრო მეტად განამტკიცა თავისი ზურგი, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა წყობილება ახლა ყველაზე უფრო მტკიცე წყობილებაა“.

2 აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 84, საქ. 50, გვ. 30

3 იქვე, ანაწ. 2, საქ. 52, გვ. 2.

4 აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 84, ნაწ. 2, საქ. 52, გვ. 1-30.

კავშირე შეგუბუბი

პოეტის ტრავიკული ცხოვრების მართალი უბრცლები

ახლახან გამომცემლობა „ნაკადულმა“ კიდევ ერთხელ გაახარა თავისი მრავალ-ათასიანი მკითხველი: წიგნის ბაზარზე გამოვიდა ელგუჯა მალრადის „გოდება“ უკვდავი „დავითიანის“ ავტორის შესახებ. დავით გურამიშვილმა პირველად საქართველოს სინამდვილეში ავტობიო-გრაფიული დეტალები მხატვრული შემოქმედების საგნად აქცია.

ევროპაში მეცნიერული ქართველო-გიის მამამთავრის მარი ბროსეს შემდეგ ბევრი მკვლევარი ცდილობდა, ფარდა აეხადა პოეტის ბიოგრაფიისა თუ მხატვრული შემოქმედების ძირითადი მომენტებისათვის. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ დიდი ხარვეზი შეიმჩნევა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ელგუჯა მალრადის ახალი ნაშრომი „გოდება“, რომელიც ანოტაციაში ასეა დახასიათ-

ბული: „ეს წიგნი არაა დ. გურამიშვილის ცხოვრების მეცნიერული გამოკვლევა. არც ბიოგრაფიული რომანია, არც მონოგრაფია გახლავთ, არც წმინდა რომანის პრეტენზიები გააჩნია. ესაა მწერლის შემოქმედებიდან ნაწილი და თითქმის მოსმენილი შინაგანი მონოლოგებითა და ხმებით აღდგენილი ისტორიული სინამდვილის მხატვრული გააზრება“. ჩვენ განზრახ მოვიტანეთ მთელი ანოტაცია, რათა მკითხველისათვის ორიენტაციის საშუალება მიგვეცა. მაშ, რა ხასიათის ნაწარმოებია სარეცენზიო წიგნი? იკითხავს მკითხველი. ელგუჯა მალრადის ნაშრომი, ჩვენი ღრმა რწმენით,

მეცნიერული გამოკვლევის, ბიოგრაფიული რომანის, მონოგრაფიისა და წმინდა რომანის ბედნიერ სინთეზს წარმოადგენს. აქ ერთი ადრის, მეორეც, მესა-

მეც და მეოთხეც, მაგრამ ცალ-ცალკე არც ერთი არაა. კიდევ მეტი, ეს ნაშრომი შინაგანი მონოლოგების მხატვრული წარმოსახვაა, ხორცშესხმაა, მხატვრული სიტყვის ოსტატის მაღალი ხელოვნებით შესრულებული.

3. ჰაინე ამბობდა: „თუ თქვენ გსურთ ურღვევი ძეგლი დაიდგათ, ჩააქსოვეთ თქვენი სული კარგ წიგნში“.

ვინც დაკვირვებით წაიკითხავს სარეცენზიო წიგნს, მისთვის დღესათვის ნათელი იქნება ის, რომ ელგუჯა მალრაძეს მასში ჩაუქსოვია საკუთარი სულის ნაწილიც. სწორედ ამიტომ არის, რომ ეს წიგნი ასე ინტერესითა და, ვიტყვით, სულმოუთქმელად იკითხება. ავტორი არც ცდილობს, შეალამაზოს ფაქტები და მოვლენები, აღწერს იმას, რასაც გული და გონება უკარნახებს, შინაგანი მონოლოგები ეუბნება, ლირიკული წიგნის სვლები შთააგონებენ. მწერალმა თითქოს დაუჯერა დიდებული გოგოლის შეგონებას: „ხელს ნუ მოჰკიდებ კალამს მანამდე, სანამ ყველაფერი ისეთი სიხალდითა და წესრიგით არ დალაგდება თავში, რომ ბავშვმაც კი შეძლოს, გაიგოს და დაიმახსოვროს ყველაფერი“. ჯერ კიდევ გასული საუკუნის გარიჟრაჟზე აკაკი წერეთელი, არჩევდა რა ივანე ელიაშვილის საბავშვო მოთხრობების წიგნს, ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ყმაწვილებისათვის ის არის გამოსადეგი და სასარგებლო. ასეთი წიგნია ელგუჯა მალრაძის „გოდება“, მას ინტერესით წაიკითხავს მოხუციც და ახალგაზრდაც. როგორც ჩანს, მწერალს ძლიერ უყვარს ის თემა, რაზეც წერს, გატაცებულია. გურამიშვილის ტრაგიკული ცხოვრების ფურცლებით, ღრმად იხედება პოეტის სულის ლაბირინთებში და იქიდან ამოაქვს ზოგი ნაცნობი, ზოგი ნაგძნობი, ზოგი კიდევ სრულიად ცოცხალი ფაქტები და მოვლენები, რომლებსაც მხატვრულ სულს შთაბერავს და მკითხველთა კუთვნილებად აქცევს.

ეპიგრაფად გოეთეს გამონათქვამი აქვს

წამძღვარებული სარეცენზიო წიგნის პირველ თავს, რომელსაც „გოდება“ ჰქვია და რომელიც მთელი წიგნის უკვე რტიურასავით გაისმის. აი, ეს გოდებები ული სიტყვებით: „ვისაც თავის დროში სამაგალითოდ უცხოვრია, ის ყველა დროში ცოცხლობს“. რა დიდებულადაა ნათქვამი! ეს სიტყვები ახალგაზრდობას აყვარებს სამშობლოს, შრომას, მოუწოდებს უკეთესი ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

სარეცენზიო წიგნში მკითხველი თანამიმდევრობით ეცნობა დ. გურამიშვილის ტრაგიკული ცხოვრების ყველა მომენტს, დაწყებული თავფურცელიდან გათავებული საბოლოო აღსასრულამდე, სიცოცხლის დასამდე. ელგუჯა მალრაძე გურამიშვილის შესახებ წერს დამაჯერებლად, მხატვრულად. აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი თითქოს პოეტის სულში ზის, იქიდან ხედავს ყველაფერს, მასთან ერთად განიცდის ტკივილს ლამისყანიდან მოყოლებული დაღესტნის ჯურღმულეზამდე. შემდეგ ორგზის გაქცევას ლეკების ტყვეობიდან, მოსკოვში ვახტანგ მეექვსის კარზე გატარებულ წლებს, ისევ ბრძოლებს, ისევ ჯურღმულეზს — ახლა უკვე პრუსიულს, კიუსტინისა და ტორნო დორფის შეტაკებათა კვალად, — და მირგოროდს, სამუდამო ადგილს გურამიშვილის ფიზიკური არსებისა, ადგილს, სადაც იგი ცხოვრობდა სამშობლოსაგან მოწყვეტილი ქართული ლექსის ახალ შემართებათა პარნასზე (იხ. გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, 5, 140-141).

სარეცენზიო წიგნი ქვეთავებად იყოფა. ყველა ქვეთავი გემოვნებით არის შემოსილი. ისინი მოკლეა და შთამბეჭდავი, მხატვრულია და ემოციური. თითოეული ქვესათავური გარკვეულ მხატვრულ ამოცანას წყვეტს. ჩვენზე კი ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა „დანი-

სლულმა გაზაფხულმა“. აქ მეცნიერული კვლევაც არის, პუბლიცისტურობაც, მხატვრობაც. რა თქმა უნდა, დომინანტობს ეს უკანასკნელი და ამიტომაც იკითხება იგი ინტერესით. აქ ჩანს ბუნებაც, საქართველოს ბედუქულობართი წარსულის სურათებიც და მოქმედ პირთა ენებათა ლელვაც. მაგრამ მწერალი ყველაფერში ზომიერებას იცავს. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ახალგაზრდა დავით გურამიშვილის და მისი მიჯნურის შეხვედრის სცენები.

ცისიერი იყო პირველი ქალი, რომელსაც დავითი დაუთვლა და ვერც გაერკვა, რა იყო ის ძალა, რომელიც ქალისაქენ ასე იზიდავდა. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“ ნაადრევად დასრულდა ცოლყოფილი ცისიერისა და ჭაბუკი დავითის მიჯნურობა...

წიგნში დეტალურად არის აღწერილი ვახტანგ მეფის აყრა და 2.000 ქართველით რუსეთისაკენ გამგზავრება; ქსნის ხეობისა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა ლეკიანობასთან დაკავშირებით, ჭაბუკი პოეტის ლამისყანაში დამკვიდრება ნათესავებთან, დავითის მოტაცება, ლეკთა თარეში საქართველოში, პოეტის მდგომარეობა ტყვეობაში, ტყვეობიდან გაქცევა, დაქერა, ხელახლა გაქცევა, უქმელ-უსმელი დავითის უგზო-უკვლოდ ხეტიალი... აქ ავტორი ცოტახნით წყვეტს მხატვრულ თხრობას და ლოგიკური ცნებებით ასეთ ცნობებს აწვდის მკითხველს: „დავითმა იცის გალობანი, ბიბლია, დოგმატიკა, რიტუალი, თეოლოგია“. კარგად იყენებს ელგუჯა მალრაძე დავითისეულ სტრიქონებს თავისი მხატვრული შთანაფიქრის ხორცშესასხმელად. ეს სიტყვებია „დავითიანის“ სტრიქონები: „ერთმან მიუთხრა მეორეს: „დაი ხლებაო, ლაზარი!“ ან კიდევ: „რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო“... ელგუჯა მალრაძე ხაზგასმით მიუთითებს, თუ როგორ მიიღეს დავითი რუსებმა,

როგორ აჭამეს, ასვეს, დააყენეს გზაზე, იხსნეს სიკვდილისაგან. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ელგუჯა მალრაძის წიგნი გამთბარია ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის იდეებით. ეს იდეა წიგნს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს. მწერალი ამას ერთი წუთითაც არ ივიწყებს.

წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი ქართველ ემიგრანტთა ცხოვრება რუსეთში. განსაკუთრებით ჩერდება ავტორი დავითზე, როგორც რუსეთის არმიის მემოარზე; მშვენიერად აქვს გააზრებული გურამიშვილისეული უკვდავი „ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი“. ჩვენ საესებით ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ფრაზა „მისმან ეშხმან დაცამლენა, შემიმუსრა ძვალი“ მწიგნობრული ხასიათისა კი არ არის, არამედ უაღრესად ნატიფი რუსთაველისებური პოეტური ფრაზაა, რასაც მაღალ რეგისტრში აჰყავს ლირიკული ლექსი და ამლიერებს ემოციურ შთაბეჭდილებას. (გვ. 181).

ელგუჯა მალრაძე აღწერს პოეტის ტყვეობას მაგდენბურგის ციხეში, ავადმყოფი დავითის მგზავრობას გერმანიიდან პეტერბურგამდე, დავითის მხედრული ცხოვრების დასასრულს, პოეტის გარდაცვალებას. მწერალი აქ წყვეტს დროებით თხრობას და გადმოიღის ჩვენს ეპოქაში, როცა 1949 წლის 7 აგვისტოს პოეტის საფლავზე უკრაინაში შევჩენკოს ხალხმა ძეგლი დაუდგა ქართველ პოეტს. მთელი 150 წელი ჩვენთვის დაკარგული იყო დ. გურამიშვილის საფლავი. იგი იპოვეს უკრაინელებმა. დიდი ამ საქმეში და საერთოდ პოეტის შემოქმედების შესწავლა - პოპულარიზაციის საქმეში უკრაინელი მკვლევარის დმიტრი კოსარიკის ღვაწლი, რასაც სიყვარულითა და პატივისცემით აღწერს და გვიჩვენებს ელგუჯა მალრაძე.

როგორც ცნობილია, 1948 წელს შ. დადიანი სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მირგოროდში იყო მივლინებული დ. გურამიშვილის დაკარგული საფ-

ლავის აღმოჩენასთან დაკავშირებით. შალვას გამოსვლას ასე აღწერს ლევან ასათიანი: „მიტინგის მონაწილეებზე უღრმეს ზთაბეჭდილებას ტოვებს შ. და-
დიანის გამოსვლა. თავის სიტყვას ის იწყებს ქართულ ენაზე. იგი მიმართავს დ. გურამიშვილის აჩრდილს მუხლმოდ-
რეკილი:

„დიდო დავით, — ამბობს ის, — სამ-
შობლომ დაგვაბარა გადმოგცეთ შენ
მშობლიური ქვეყნის უზომო სიყვარუ-
ლი. ამიერიდან შენ აღარა ხარ უპატ-
რონო და მიტოვებული. შენ წმინდა სა-
ფლავს აფარია მოძმე ხალხის სიყვარუ-
ლის სათუთი კალთა“.

შ. დადიანი მთრთოლვარე ხელით
ხსნის პარკს, რომლითაც დელეგაციას
მოტანილი აქვს თითო მუჭა მიწა მთაწ-
მინდიდან ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავა-
ძის, ა. წერეთლისა და ვაჟას საფლავე-
ბიდან. მშობლიური ქვეყნის მიწა, რო-
მელსაც მთელი სიცოცხლე ნატრობდა
პოეტი, ჩუმი ზრიალით ეყრება მის სა-
ფლავს (იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხე-
ლოვნება“, 1948, № 32).

ელგუჯა მალრაძე დ. გურამიშვილს
გვიხატავს თავისი ქვეყნის დიდ პატრი-
ოტად, მოძმე ხალხების მხურვალე მო-
სიყვარულედ. პოეტმა 62 წელი გაატარა
რუსეთსა და უკრაინაში და თითქოს
ლამისყანასა და საგურამოში, თავისი-
ანებში იყო. მაგრამ ერთი წუთითაც არ
იფიქრებდა „ცა-ფირუზ, ხმელთ-ზურმუხ-
ტოვან“ მხარეს. ზოგჯერ მოხუცი პოე-
ტი ნოსტალგიით ავადდებოდა, საქარ-
თ-ველოზე ლოცულობდა, მასზე ფიქრით
ათენ-ალამებდა.

სარეცენზიო წიგნში ღრმად და საფუ-
ძვლიანად არის გაანალიზებული „დავი-
თიანის“ უკვდავი სტრიქონები. ეს ნაშ-
რომი ამართლებს დავით გურამიშვილი-
სეულ დებულებას: „სიბრმე უდროოდ
კაცს არ აბერებს, თუ გული მთლად
აქვს, კიდეც ამღერებს“.

ელგუჯა მალრაძე ოსტატურად გად-
მოგვცემს პოეტის ღრმა შინაგან ტკი-

ვილებს, აგრეთვე ლირიკულ პასაჟებს,
განცდებს, ალაგ-ალაგ იძლევა დ. გურა-
მიშვილის მინიატურულ პორტრეტსაც.

სარეცენზიო წიგნში კარგად და ნა-
ჭაყრებლად არის განხილული ყველა
პრობლემა, რაც კი „დავითიანს“ უკავ-
შირდება. დიდი ინტერესით იკითხება
ქვეთავი — „ასე აღიდებენ სიტყვის ოს-
ტატები“, რომელსაც უძღვის გამოჩენი-
ლი დაღესტნელი მწერლის, ლენინური
და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის
რასულ გამაზათოვის შემდეგი მოსწრე-
ბული სიტყვები: „დავით გურამიშვილმა
მწარედ გადაგვიხადა. ჩვენ ის მხოლოდ
ორი წელიწადი გვყავდა ტყვედ, თვითონ
კი სამუდამოდ დაგვატყვევა“. აქ სარე-
ცენზიო წიგნის ავტორი მკითხველს ესა-
უბრება იმ დიდ გავლენაზე, რომელიც
დ. გურამიშვილმა იქონია ქართული
ლიტერატურის ისტორიაზე: „შენ ჩემო
წინამორბედო“, — მიმართავს ვაჟა
გურამიშვილის აჩრდილს; ნ. ბარათაშვი-
ლის მომხიბლავ პოეზიასაც აჩნია და-
ვითის ნატერფალი; გ. ლეონიძემ, ელ-
გუჯა მალრაძის სიტყვით, მთელი ჰიმნი
უძღვნა დ. გურამიშვილის საფლავის
ხსოვნას, ს. ჩიქოვანმა ძვირფასი პოემა
დაწერა ამ ტრაგიკული ბედის პოეტზე;
საოცრად შთამბეჭდავია ანა კალანდაძის,
ხარიტონ ვარდოშვილის, პავლო ტიჩი-
ნას, მაქსიმ რილსკისა და სხვათა ლექსე-
ბი გურამიშვილზე.

ბევრი სხვა საკითხია განხილული სა-
რეცენზიო წიგნში, მაგრამ ყველაზე ვერ
შეგჩერდებით. აქ მხოლოდ შევნიშნავთ,
რომ დიდი დაკვირვებითაა დაწერილი
წიგნის ბოლოთქმა, რომელშიც ძირითა-
დად საუბარია დ. გურამიშვილის მხატ-
ვრული ენის საკითხებზე, მისი ლექსიკის
გასაოცარ სიმდიდრესა და მოქნილობა-
ზე (მშვენიერია წიგნში ჩართული სუ-

რათების მხატვრობა).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, დ. გურამიშვილის მხატვრულ აქსესუარში მეტწილად ვხვდებით კონკრეტულ სახეებს, ნაცვლად განყენებულისა. ისიც მართებულად არის შენიშნული, რომ პოეტის მიერ გამოყენებული მხატვრული სახეები აღებულია ან ყოფითი ცხოვრებიდან, ანდა ბუნებიდან. აქ იმოწმებენ ფლობერს, რომელიც არ ცნობდა ენაში სინონიმების არსებობას. მისი აზრით, ყოველ საგანს, ყოველ მოვლენას თავისი გამომხატველი ერთადერთი სიტყვა გააჩნიაო; ასე არ იქცევა დ. გურამიშვილი; იგი გასაოცარ მხატვრულ ტაქტს ავლენს სიტყვათა შერჩევაში. მაგრამ არ არის სწორი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, არცერთ საგანს, არც ერთ მოვლენას პოეტი ორი, თუნდაც სინონიმური სიტყვით არ გამოხატავდეს. დ. გურამიშვილის ლექსიკის მკვლევარმა თავის დროზე შენიშნა, რომ პოეტისათვის არ არის უცხო სინონიმური სიტყვების ხმარება; მაგ., ხარბი, ანგარი, უძლები, გაუმიძღარი; სახედარი — ვირი — ყოყინა: ქურდი — მპარავი და სხვ. (იხ. რ. ა. კუსრაშვილი, დავით გურამიშვილის ლექსიკა, საკანდიდატო დის. ავტორეფერატი, 1956, გვ. 14).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს სარეცენზიო წიგნი უნაკლო იყოს. მას გააჩნია ხარვეზები, რომლებიც, რა თქმა უნდა, მომავალ გამოცემაში გამოსწორდება. მთავარი ის არის რომ, როგორც პროფ. ალ. ბარამიძემ შენიშნა, „ნაშრომი საერთოდ საინტერესოდ არის დაწერილი“... და „ჩვენთვის უდავოა „გო-

დების“ მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა“.¹

სარეცენზიო წიგნში გვხვდება მეტად ღრმა ლინგვისტიკური დაკვირვების ნიმუშებიც. ელგუჯა მალრაძის სავესებით სწორი შენიშვნით, სამშობლოსაგან მოწყვეტილ პოეტს მხოლოდ ქართული სიტყვა შერჩენოდა სულის საოხად. თუგინდ უცხოური წარმოშობის, თუგინდ ქართული მჭლე სიტყვა მოხვდეს პოეტს ხელში, რაღაცნაირად ბარაქითა და დოვლათით დატვირთავს, ახალ სისხლს გადაუხსამს, სულს ჩაუდგამს, სრულყოფილს გახდის, ძვალს დაუმსხვილებს, ფერს დაუსრულებს, კეთილად დაამწიფებს და სამოთხის უცხო ნაყოფს დამგვანებს. პოეტი მეტად გაბედულად, თავისუფლად მოგზაურობს მშობლიურ ენის უსიერ ტევრში. სიტყვას საჭიროებისამებრ ათასნაირ მოზაიკაში განალაგებს და მუდამ სასურველ ეფექტს აღწევს... ვისაც ენათმეცნიერული თვალთ ჩაუხედავს „დავითიანში“, იგი უეჭველად დაეთანხმება ამ მოსაზრებას.

ელგუჯა მალრაძეს დიდი შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია. მას ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეუსწავლია. დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილი ყველა ნაშრომი, თვით „დავითიანის“ ტექსტი, მე-18 საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობანი, ისტორიული წყაროები, საარქივო მასალები, მემუარული ლიტერატურა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა; ავტორი მთელ თავის ცოდნას, ენერგიას, მხატვრულ შესაძლებლობას არ იშურებს, რათა სრულყოფილად წარმოგვიჩინოს გოდება იმ ადამიანისა, რომელმაც ყველაფერი ანაცვალა თავის სამშო-

1 ალექსანდრე ბარამიძე, სახელდახელო შენიშვნები: „კრიტიკა“, 1975, № 9, გვ. 24, 34.

ბლოს, თვის მშობელ ხალხს, ქართული
ლიტერატურის განვითარებისა და წინს-
ვლის საქმეს, ხალხთა მეგობრობის განმ-
ტკიცებას.

როგორ უნდა გავიგოთ სარეცენზიო
წიგნის სათაური — „გოდება“? ჩვენი
აზრით, აქ გოდება არის არა ერთი ადა-
მიანისა, არამედ მთელი საქართველო-
სი, მთელი ერისა უკუღმართი სოციალ-
ეკონომიური და პოლიტიკური მდგო-
მარეობის გამო. ნაშრომში მთელი საქა-

რთველოა დახატული თითქმის მთელი
საუკუნის მანძილზე, ყოველ შემთხვე-
ვაში დ. გურამიშვილის ცხოვრების წლებში.

ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება სწრა-
ფად ითარგმნოს რუსულსა და უკრაი-
ნულ ენებზე ელგუჯა მაღრაძის „გოდე-
ბა“, რადგან ამ ნაწარმოებს წითელ ზო-
ლად გასდევს რუსი, უკრაინელი და ქარ-
თველი ხალხების დიადი და უბერებელი
მეგობრობის იდეა.

მიხეილ შენგელია

მნიშვნელოვანი ქმელი

შარშან ბათუმში რამაზ სურმანიძის გამოკვლევითა და პუბლიკაციით დაისტამბა „მცირე კარაბადინი“. ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების, ხელნაწერი წიგნების, ფრაგმენტების მეცნიერული დამუშავება და გამოქვეყნება უაღრესად საპატიო საქმეა. ძველი ქართული მედიცინა ჩვენი ეროვნული კულტურის მეტად მნიშვნელოვანი უბანია და ჯერ კიდევ დამუშავებელი. თუ ჩვენი ძველი კულტურის ცალკეულ დარგებს — ლიტერატურის ისტორიას, ხელოვნების ისტორიას, სამართლის ისტორიას და სხვ. ათეული წლების განმავლობაში ასობით მკვლევარი იკვლევს, ქართული მედიცინის ისტორიაში მხოლოდ ერთეულები მუშაობენ, ამიტომაც ძველი ქართული სამედიცინო ძეგლები და წყაროები ჯერ კიდევ გამოუვლენელია, და რაც გამოვლენილია, ისიც მუზეუმების სეიფებშია გამოკეტილი და მკვლევარს ელოდება. ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე ქართული ხალხური მედიცინისა და სამედიცინო-ფოლკლორული მასალების შეგროვებისა და შესწავლის საქმე. რაც დრო გადის, მათი ჩაწერის და შეგროვების საშუალება ისპობა, თანდათან მცირდება იმ ხანდაზმულ პირთა რიცხვი, რომელთა მახსოვრობას ჯერ კიდევ შემორჩა უძველესი

ხალხური მედიცინის ნიმუშები. სამედიცინო დარგების თანამედროვე მეცნიერულმა დონემ განსაზღვრა ის, რომ უკვე საჭიროებას აღარ წარმოადგენს ახალმა თაობამ ძველი თაობისაგან შეითვისოს მკურნალობის ხალხური მეთოდები, ამიტომაც ის არ გადაეცემა თაობიდან თაობას და თუ დროზე ვერ მოვასწარით მათი ჩაწერა, დავიწყებას მიეცემა ხალხის საუკუნოვანი ნაფიქრ-ნაზრევი.

რ. სურმანიძის მიერ დამუშავებული და გამოცემული „მცირე კარაბადინი“ ქართული ხალხური მედიცინის საკმაოდ მნიშვნელოვანი ძეგლია — დაავადებათა სახელწოდებები, ლექსიკა, სამკურნალო საშუალებების (მინერალური, ცხოველური), სამკურნალო მცენარეების სახელწოდებები, ტერმინები წმინდა ქართულია. მასში არ იგრძნობა არც ძველდამოსავლური (რაც ხშირია ძველსამკურნალო ძეგლებში), არც რუსულ-ევროპული ტერმინების გავლენა, ამიტომაც იგი ნამდვილი ქართულ-აჭარული ძეგლია და ამდენად თავისებური მნიშვნელობის მქონე. მართალია, თვით ტექსტი ძალზე მცირეა, ის 0,5 ნაბეჭდი თაბახიც არაა, მაგრამ მასში 73-მდე დაავადება და სინდრომი ნახსენები სათა-

ნადო მკურნალობით. ავტორმა, უნდა ითქვას, რომ ტექსტი კარგად დაამუშავა, პროფესიულ-მეცნიერულ დონეზე დაწერილი შესავლის გარდა მოგვცა ცალკეულ თავებად ხელნაწერის აღწერილობა, ხელნაწერის ავტორი და დაწერის თარიღი, ხელნაწერის ზოგადი დახასიათება. ტექსტის პუბლიკაციას თან ერთვის ძალიან გულდასმით შედგენილი მეცნიერული აპარატურა, დაძეგნილია პარალელები ძველ ქართულ კარაბადინებში თითოეული სამკურნალო საშუალების გამოყენების შესახებ (გვ. 40-57). კარგად არის შედგენილი ლექსიკონი ვრცელი განმარტებებით (გვ. 61-83). დიფერენცირებულად არის შედგენილი საძიებლები: დაავადებები, წამლები, წამლების მომზადების წესები, მკურნალობა, რაც აადვილებს ტექსტის გამოყენებას. კარგია, რომ წიგნს თან ერთვის რუსულ-ინგლისური რეზიუმე. რ. სურმანიძის „მცირე კარაბადინი“ მეტად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის პირველი ნაშრომია, რომელიც ასახავს აჭა-

რის, საქართველოს ამ უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიული მხარის საუკუნეების წინანდელ ხალხურ სამედიცინო აზროვნებას.

„მცირე კარაბადინის“ გამოცემამ ერთგვარი სტიმული უნდა მისცეს ჩვენს სამედიცინო საზოგადოებრიობას, სათანადო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს, რომ აჭარაში გაიშალოს შემკრებლობითი სამუშაოები სამედიცინო შინაარსის ხელნაწერების, ხალხური მედიცინის ნიმუშების, სამედიცინო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეგროვება-შესწავლისათვის.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა რამაზ სურმანიძემ, რომელიც საერთოდ კეთილსინდისიერად იღვწის ქართული მედიცინის ისტორიის კვლევის დარგში, ამჯერადაც მეტად მნიშვნელოვანი საქმე გააქეთა, „მცირე“ მაგრამ თავისი მნიშვნელობით საკმაოდ დიდი ძეგლბ შესძინა ძველ ქართულ სამედიცინო ისტორიულ წყაროებს.

6177



ფასი 40 კპვ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 76118